დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 10 - 16 თებერვალი

N7 1578

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## არ უნდოდათ რძე და ყველი?

საქართველოში ამერიკული კანონის – FARA-ს ზუსტი ანალოგი – ფარა ამოქმედდება!

FARA FOREIGN AGENTS REGISTRATION ACT

3-4

გრიფით USAIDუმლო



### ირაკლი ზაქარეიშვილი:



აგენტურა რჩება მშიერი და დატოვებს ასპარეზს, როგორც, მაგალითად, საქართველოში პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა ფარული დასის აგენტმა თამარ კორძაიამ! 6

2





## სააკაშვილს მიუწვინეს!

ვისი პატიმარია ამაღლობელი





## USAID-ის შვილები 5

### დემურ გიორხელიძე:



„ენდიაიებს“, „აირაიებს“ და მსგავს ორგანიზაციებს საქართველოში არაფერი ესაქმებათ! 14

### ლაზარე ჯორბენაძე:

NDI

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების თითოეული მცდელობის უკან სწორედ „იუსაიდი“, „ნედი“, „აირაი“ და „ენდიაი“ იდგნენ! 22

USAID

### მერაბ შათირიშვილი:



49 ნაცდეპუტატის პარლამენტიდან გაძევება სრულიად სამართლიანი გადაწყვეტილებაა! 19

„ტრამპის გამარჯვებამ სულზე მოგვისწრო!“

## სწორედაც რომ ფარული დასი! 8

ბავშვებო, ეგ ლევან ლოლობერიძის ქუჩაა და ტაძარში არ მიგიყვანოთ!



ეს ნაგავიც ლადარიაში გვერგო?



10-11

### იგორ გიორგაძე:



აუცილებელია იმ ადამიანთა და, პირველ ყოვლისა, სააკაშვილის ცოლის პასუხისგებაში მიცემა, ვინც საპატიმროებში მყოფთა შინაგანი ორგანოებით ვაჭრობა სისხლიან ბიზნესად აქცია!

20

# სააკაშვილს მიუწვინეს!

***ლიბერალური ონლაინგამოცემების — „ნეტგაზეთისა" და „ბათუმელების" დამფუძნებელი, ამჟამად წინასწარ პატიმრობაში მყოფი მზია ამაღლობელი, რომელმაც ბათუმში გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციის მაღალჩინოსან ირაკლი დგებუაძეს სილა გააწნა, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კლინიკა „ვივამედში" გადაიყვანეს.***

საქმე ის არის, რომ **პოლიციელზე თავდასხმაში ბრალდებული ამაღლობელი,** რომელსაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, 20 დღეზე მეტია, პროტესტის ნიშნად შიმშილობს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, აუცილებელი გახდა, კლინიკაში მოეთავსებინათ.

რადგან **ბრალდებული ამაღლობელი** სწორედ იმ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც უკვე 3 წელიწადია, **მსჯავრდებული ნაცბელადი** განცხრომით განისვენებს, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ იგი **სააკაშვილს მიუწვინეს.**

„ვივამედში" **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობელი** სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სამედიცინო ჯგუფის წევრებმა 2025 წლის 7 თებერვალს მოინახულეს და განაცხადეს — ექიმების საერთო აზრით, პაციენტმა მკურნალობა კლინიკის პირობებში უნდა გააგრძელოსო!

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **სააკაშვილისათვის მიწვენილ ამაღლობელს** „ვივამედიდან" სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კარგა ხანს არ დააბრუნებენ!

თუმცა, იმის შესაძლებლობაც არსებობს, რომ **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობელი** კლინიკა „ვივამედიდან" ციხეში კი არა, პირდაპირ სახლში დაბრუნდეს!

დიახ, თუ **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობელი** წაყენებულ ბრალდებას დაეთანხმება, საკუთარ საქციელს დაგმობს და განაცხადებს, რომ პოლიციელზე თავდასხმას ნანობს, შესაძლოა, წინასწარი პატიმრობა უფრო მსუბუქი და ლმობიერი აღკვეთის ღონისძიებით, მაგალითად, გირაოთი ან თავდებობით შეუცვალონ.

მაგრამ მოიქცევა კი ასე „ვივამედში" **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობელი?**

უნამუსო სპეკულაცია ან, უბრალოდ, უკიდეგანო სიბრიყვე იქნება იმაზე საუბარი, რომ საპროტესტო აქციაზე მყოფმა **მზია ამაღლობელმა** სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელ პოლიციელს ხელი ემოციური აღელვებისა თუ აფექტის მდგომარეობაში დაარტყა... **არა, მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა და ამას მოწმობს გავრცელებული კადრებიც, რომლებშიც ჩანს, რომ ამაღლობელი მისთვის ზურგშექცეულ პოლიციელ დგებუაძეს ქურთუკში ჩაავლებს ხელს, თავისკენ მიატრიალებს და სილას გააწნავს.**

ერთ-ერთი მთავარი, რასაც ფერადი რევოლუციის ტექნოლოგია, ე.წ. **აკერმანის მეთოდიკა და „კანვასის" ტრენინგები** ქუჩის საპროტესტო მოძრაობაში ჩართულ აქტივისტებს ჩააგონებს, სწორედ პოლიციელებზე თავდასხმა და მათი სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფაა, რათა მასებს წარმოდგენა შეუქმნან, რომ სახელმწიფო დაუძლურებულია, ძალოვანი სისტემა ჩამოშლილია და ხელისუფლებას არაფრის თავი აღარა აქვს.

ჰოდა, აწ უკვე **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობლის** მიერ პოლიციელისათვის ხელის დარტყმაც სწორედ ამ სცენარის ნაწილი იყო, ანუ მან შეგნებულად და გამიზნულად გააკეთა ის, რაც გააკეთა და ამიტომაც ნაკლებად სავარაუდოა, ახლა თავზე ნაცარი დაიყაროს და საკუთარი საქციელი დაგმოს.

არც ის არის გამორიცხული, **ლიბერალური მედიასაშუალებების დამფუძნებელი ამაღლობელი** თავადაც ლიბერალური პროპაგანდის ზანგით ყოფილიყო გაბრუებული და მართლა ჰგონებოდა — **სახელმწიფო ისეა დასუსტებული, რომ მე, პროდასავლელ მედიაპერსონას, რომელსაც მარტო ქართული არასამთავრობო სექტორი და ნაცოპოზიცია კი არა, თვით ევროკავშირის ბიუროკრატია მიმაგრებს ზურგს, პოლიციელზე თავდასხმის გამო ყურებზე ხახვსაც ვერავინ დამაჭრისო!** თუმცა, ახლა, როცა რეალობას შუბლით დაეჯახა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი ისე როდი ყოფილა, როგორც მას ეგონა, შესაძლოა, **მზია ამაღლობელი** ჩადენილ დანაშაულს გულის სიღრმეში მართლაც ნანობდეს და საჯარო მონანიების წინააღმდეგიც არ იყოს, მაგრამ საკითხავია — **რამდენად ეკუთვნის იგი საკუთარ თავს და მის უკან მდგომი ძალები რამდენად მისცემენ საშუალებას, თავისუფლება დანაშაულის მონანიების გზით მოიპოვოს?**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კლინიკა „ვივამედში" **სააკაშვილისათვის მიწვენილი მზია ამაღლობელი** ქართული სახელმწიფოსა და „ქართული ოცნების" პატიმარი კი არა, იმ ნაცლიბერალური სექტის ტუსაღია, რომელიც მას რევოლუციის ინსტრუმენტად თუ იარაღად განიხილავს.

აკი, გლობალური **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ერთ-ერთმა მთავარმა აგენტმა, **ყოფილმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა** რამდენიმე დღის წინათ ღიად განაცხადა:

> *„ყველანაირად უნდა ვცადოთ და შევინარჩუნოთ და, პირიქით, გავაძლიეროთ ჩვენი ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან. ამაშიც **მზია ამაღლობლის** მაგალითი არის მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ეს არის ის ქვეყნები, რომლებიც ძალიან ღრმად აფასებენ პიროვნებებს. ერთია, როდესაც ეუბნები, რომ ხალხი მასობრივად გამოდის, მასობრივი პროტესტია, მაგრამ, როდესაც ამ პროტესტს უკვე სახე აქვს და სახელი, ეს იღებს სულ სხვა განზომილებას. ჩვენ ამას ჯერ, შეიძლება, ვერ ვხვდებით ბოლომდე, მაგრამ ეს არის ძალიან ძლიერი იარაღი და ამ იარაღს ჰქვია **მზია ამაღლობელი**".*

**გესმით? მზია ამაღლობელი ჩვენთვის ძლიერი იარაღიაო! იარაღიო!**

**ადამიანი კი არა, ქალი კი არა, დედა კი არა, ჟურნალისტი კი არა, პატიმარი კი არა, იარაღი არისო!**

ესე იგი, **მზია ამაღლობელი** არის ის **იარაღი,** ის **ინსტრუმენტი** და ის **მასალა,** რომელიც ჩვენი მიზნებისათვის უნდა გამოვიყენოთო!

მართალია, **ზურაბიშვილს** პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მისი განცხადების ქვეტექსტში აშკარად იკითხება — **ახლა, როცა ქუჩის პროტესტი თითქმის ბოლომდე მიინავლა და გამარგინალურდა, მზია ამაღლობლის პატიმრობამ სულზე მოგვისწროო!**

მოგეხსენებათ, **გლობალური ფარული დასის აგენტურამ,** რომელიც საქართველოში ნაცმაიდნის მოწყობასა და 1 120 000 ადამიანის მიერ არჩეული ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობას ცდილობდა, საპოლიციო ძალების პროფესიონალური მოქმედებების გამო, ვერაფრით მიიღო **ე.წ. საკრალური მსხვერპლი,** ანუ ერთი ან რამდენიმე „მშვიდობიანი მომიტინგის" გვამი, რასაც მასების ეგზალტაცია უნდა გამოეწვია და რევოლუცია წარმატებულ ფინიშზე გაეყვანა.

თუმცა, **გლობალური ფარული დასის ნაცლიბერალურმა აგენტურამ საკრალური მსხვერპლის, ანუ საპოლიციო ძალებთან შეტაკებისას დაღუპული „მშვიდობიანი მომიტინგის" მაგივრად ცოცხალი მსხვერპლი — მზია ამაღლობელი მიიღო!**

შესაბამისად, დღეს ერთადერთი ძალა, ვისაც აწყობს და სჭირდება, რომ **მზია ამაღლობელი** ციხეში იჯდეს ან კლინიკა „ვივამედში" სააკაშვილისათვის იყოს მიწვენილი, ნაცლიბერალური სექტა გახლავთ!

ამდენად, თუ **სააკაშვილისათვის მიწვენილი ამაღლობელი** პოლიციელზე თავდასხმას მოინანიებს და პატიმრობას გირაოთი ან თავდებობით დააღწევს თავს, ამით წაგებული დარჩება ისევ და ისევ ერთადერთი ძალა — ნაცლიბერალური სექტა, რომელიც მისი სახით უკანასკნელ პოლიტიკურ იარაღსა თუ ინსტრუმენტსაც დაკარგავს!

არ ვიცით, რამდენად აცნობიერებს ამ ყველაფერს თავად **მზია ამაღლობელი,** რომლის ციხეში ჯდომაც ნამდვილად არ გვიხარია, მაგრამ, თუ მცირედი შანსი მაინც დარჩენია, რომ ნაცლიბერალური სექტის ტყვეობიდან თავი დაიხსნას, ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს!

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ამას ვუსურვებთ — **იპოვოს საკუთარ თავში ძალა, რომელიც ციხიდანაც გამოიყვანს და ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონის" ტყვეობიდანაც გაათავისუფლებს!**

**ჯაბა ხუბუა**






## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ბოლომდე დავიცავთ ეროვნულ ინტერესებს,** მათ შორის ისეთი უცხოელი აგენტების მიმართ, როგორიც არის **ხაზარაძე** და რადიკალური ოპოზიციის სხვა ლიდერები.

„რეზონანსი"



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

პასუხი უნდა აგოს ყველა დამნაშავემ, **ვინც ღალატი ჩაიდინა ქვეყნის წინაშე** და ტერიტორიების გარკვეული ნაწილი ჩააბარა.

„იმედინიუსი"



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ყოველგვარი შინაარსობრივი საკითხები რომ მოიხსნას და ახსნა-განმარტებები არ იყოს საჭირო, **აგერ არის აშშ, აგერ არის აშშ-ის „ფარა",** რომლითაც ჩვენ, ყველა ვსარგებლობთ. **რომ არა „ფარა", ხომ ვერ გავიგებდით, რომ „ფორმულას" მესაკუთრე კეზერაშვილი და ეს ტელევიზია საქართველოს წინააღმდეგ ლობისტებს აფინანსებდნენ,** რათა სააკაშვილი დაეხსნათ და ა.შ. ვერ გავიგებდით, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები, თურმე, აშშ-ში იწერება ნაციონალური მოძრაობის მფარველების და ლობისტების მხრიდან და ა.შ. ამიტომ, **აგერ ამერიკა, აგერ „ფარა",** გამართულად მუშაობს, სასარგებლო რესურსია, **გადმოვიღებთ ერთი ერთში.** ჩვენ ვამბობთ, რომ **ვიღებთ ამერიკულ „ფარას", ვთარგმნით და ვიღებთ, როგორც არის.**

„პირველი არხი"



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი, პარლამენტარი*

**„იუსაიდი"** იყო სწორედ ის ორგანიზაცია, საიდანაც **შავი ფული რევოლუციებისთვის და არეულობისთვის** არამარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ირიცხებოდა!

„საქართველოს რესპუბლიკა"

# არ უნდოდათ რძე და ყველი?

***როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერებმა გამოაცხადეს, საქართველოს სულ მალე ექნება ცნობილი ამერიკული კანონის — ფარას (FARA), ანუ „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აბსოლუტური ანალოგი, რომელიც ჩაანაცვლებს ყბადაღებულ და ლიბერალური პროპაგანდის მიერ „რუსულად“ მონათლულ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.***




## საქართველოში მალე ამერიკული კანონის – FARA-ს ზუსტი ანალოგი –

# უარა

## ამოქმედდება!

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, **ამერიკული FARA**, რომელიც გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე საქართველოში დღეს არსებული და, ფაქტობრივად, უმოქმედო კანონი **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“**, სიტყვასიტყვით გადმოქართულდება და ყოველგვარი კორექტირების გარეშე იქნება მიღებული.

შესაბამისად, თუ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის დარღვევა მხოლოდ ფინანსურ ჯარიმას ითვალისწინებდა, ამერიკული FARA-ს ქართული ტყუპისცალის დარღვევა **ფინანსურ სანქციასთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც გამოიწვევს** და მისი დამრღვევი შესაძლოა, რამდენიმე წლით ციხეშიც კი აღმოჩნდეს.

მაგალითად, შეერთებულ შტატებში FARA-ს კანონისადმი შეგნებული და მიზანმიმართული დაუმორჩილებლობა **5-წლიანი თავისუფლების აღკვეთით** ისჯება, შედარებით უფრო მსუბუქი დარღვევისათვის კი **6-თვიანი პატიმრობაა** გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიღებული **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი ძალაში **2024 წლის 1 აგვისტოდან** შევიდა, მისი ბენეფიციარების უდიდესი ნაწილი, უპირველესად კი, უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული არცერთი ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ რეესტრში დღემდე არ დარეგისტრირებულა.

და მერე რა?

სახელმწიფომ რომელიმე მათგანს პასუხი მოსთხოვა და პირველ ჯერზე — **25 000 ლარით,** ხოლო ყველა მომდევნო დარღვევაზე **20 000 ლარით** დააჯარიმა, როგორც ამას **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი ითვალისწინებს?

რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი, სამართლებრივი თვალსაზრისით, მკვდრადშობილი აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ჯერ კიდევ მანამდე შეასრულა, სანამ მას პარლამენტი მიიღებდა — **ბოლომდე გააშიშვლა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა საქართველოში მოქმედი ლიბერფაშისტური „მეხუთე კოლონა“, რომელიც წლების განმავლობაში, ასე თუ ისე, ახერხებდა, რომ „სამოქალაქო საზოგადოებისა“ და „კრიტიკული მედიის“ შირმით შეენიღბა საკუთარი აგენტურული საქმიანობა ქართული სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ.**

უკეთ რომ ვთქვათ, „**უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ**“ კანონმა ერთბაშად მოახდინა მთელი იმ პოლიტიკური სიმსივნის ლუსტრაცია, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სულს და სხეულს შიგნიდან ღრღნის და აუძლურებს!

კაცმა რომ თქვას, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონს ამაზე კარგი და დიდი საქმე რაღა უნდა გაეკეთებინა?!

რაც შეეხებათ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სახის იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან მიღებული მსუყე დაფინანსების სანაცვლოდ საქართველოში **უცხო ძალების ინტერესებს** ემსახურებიან, მათ უკვე ამერიკული FARA-ს ქართული ასლი მიხედავს და თანაც, მიხედავს გაცილებით უფრო ეფექტურად, ვიდრე ამას მავანის მიერ **„რუსულ კანონად“ შერაცხილი გამჭვირვალობის კანონი** ითვალისწინებდა.




მოკლედ, კოლექტიურ ნაცლიბერალებს ისე დაემართათ, როგორც ქართულ ანდაზაშია — თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო, რადგან **იმდენი იხტუნავეს და იქამდე არ გაჩერდნენ, სანამ მსუბუქი ქართული კანონის მაგივრად მძიმე ამერიკულ კანონს არ გამოჰკრეს ხელი!**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაცლიბერალების მიერ **„რუსულ კანონად“ მონათლულ ქართულ კანონში** სიტყვები **„უცხოელი აგენტი“** ან **„უცხოეთის აგენტი“** საერთოდ არ ფიგურირებდა, ამერიკული FARA-ს გადმოქართულებულ ასლში კი **„უცხოელი აგენტის“** ან **„უცხოეთის აგენტის“** ცნება პირდაპირ სათაურშივე იქნება მოცემული.

მოგეხსენებათ, ინგლისურენოვანი აკრონიმი FARA იშიფრება, როგორც Foreign Agents Registration Act, რაც ქართულად **უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტს** ნიშნავს და რაკი ხელისუფლება ამერიკული კანონის სიტყვასიტყვით თარგმნას აპირებს, ცხადია, საქართველოში მიღებულ კანონსაც სწორედ **უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი** ერქმევა.

შესაბამისად, **უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის** ქართული აბრევიატურა იქნება — **უარა!**

ესე იგი, ამერიკაში მოქმედებს **FARA,** ხოლო საქართველოში იმოქმედებს მისი ზუსტი ანალოგი — **უარა!**

საქართველოში **უარა**-ს ამოქმედების შემდეგ საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ ყველა გრანტიყლაპიას, რომელიც უცხო სახელმწიფოებისა თუ **გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ინტერესებს ემსახურება, ოფიციალურად დაერქმევა **უცხოელი აგენტი.**

მაგალითად:

უცხოელი აგენტი **ეკა გიგაური!**

უცხოელი აგენტი **ნინო ლომჯარია!**

უცხოელი აგენტი **ნონა ქურდოვანიძე!**

უცხოელი აგენტი **ბაბუცა პატარაია!**

და ა.შ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ნაცლიბერალურმა სექტამ გამჭვირვალობის კანონს გარშემო იმდენი **უარა,** ბოლოს ხელში შერჩა **უარა,** რომელიც მისთვის გაცილებით უარესია, ვიდრე „რუსული კანონი“!

## ნაცლიბერალურმა სექტამ გამჭვირვალობის კანონს გარშემო იმდენი უარა, ბოლოს ხელში შერჩა უარა, რომელიც მისთვის გაცილებით უარესია, ვიდრე – „რუსული კანონი“!

ასეთ დროს ქართული ხალხური სკაბრეზი იტყვის, უფრო სწორად, რიტორიკულად იკითხავს — **„არ გინდოდათ რძე და ყველი?“...**

**როგორც ჩანს, კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურებს რძე და ყველი არ უნდოდათ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



აშშ-ის ახალმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ **ამერიკული დაფინანსება ხმარდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, არეულობის და რევოლუციის მხარდაჭერას.** შარშან პარლამენტმა მიიღო **„ფარას“ მსუბუქი ვერსია,** რომელიც ჯერ სრულფასოვნად არც ამოქმედებულა. თუმცა, მიუხედავად მისი ძალაში შესვლისა, **რეესტრში რეგისტრაციაც კი არ გაუვლია რამდენიმე ათეულ ყველაზე მდიდარ და გარე დაფინანსების მიმღებ ყველაზე მსხვილ არასამთავრობო ორგანიზაციას.** ამიტომ, მის ნაცვლად, **მივიღებთ ახალ, ამერიკულ კანონს, მისი მოქმედი რედაქციის პირდაპირ ასლს** და უზრუნველვყოფთ მის სრულფასოვან ამოქმედებას.

„პირველი არხი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



**მზია ამაღლობელმა ბოდიში რისთვის უნდა მოიხადოს,** არაფერი დაუშავებიაო! და ექიმმა **ვაჟა გაფრინდაშვილმა** რა დააშავა, **ბოდიშიც რომ მოიხადა და შეწყალების თხოვნითაც მიმართა „მის აღმატებულება სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს“?!** ბოდიშის მოხდის შემდეგ **„გმირ ვაჟა ექიმს“** რომ უწოდებთ, რა საგმირო საქმე ჩაიდინა?! **„იქ ჯდომას“** და **„აქ ჯდომას“** არ ვადარებ ერთმანეთს, უბრალოდ, გეკითხებით: **ოსი ექსტრემისტებისთვის ბოდიშის მოხდა რატომ არის გმირობა,** მითუმეტეს, როცა არაფერი დაგიშავებია და **ქართველი პოლიციელისთვის ბოდიშის მოხდა რატომ არის სირცხვილი,** როცა ქვეყანამ დაინახა, რომ დააშავე?! **„გმირი მზია“** და **„გმირი ვაჟა“** ერთად არ გამოდის და უნდა ჩამოყალიბდეთ!

„ფეისბუქი“

**გენო კეჭრიაშვილი**
*პარლამენტარი*



დიახ, **გმირია პოლიციელი და ყველა სამართალდამცავი!** დიახ, **გმირია ყველა ის ადამიანი, რომელიც სამშობლოს ემსახურება უანგაროდ, უღალატოდ!** თქვენ კი დარჩებით ისტორიას, როგორც გამყიდველები!

„რეპორტიორი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



კანონის გამკაცრებაა საჭირო, რათა **ქვეყანაში წესრიგი შენარჩუნდეს,** წინააღმდეგ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ **გარკვეული პრობლემები შეექმნა ეკონომიკას, ტურიზმსა და ეროვნულ ვალუტას.**

„პირველი არხი“

**სამართალწარმოების პროცესში არსებული პრაქტიკის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას გრიფი „საიდუმლო" ენიჭება, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება, მოიხსნას ან სულაც სამუდამოდ ხელშეუხებელი დარჩეს.**

# გრიფით USAIDუმლო

მაგალითისთვის რომ ვთქვათ, აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი **ჯონ კენედი** 1963 წლის 22 ნოემბერს, ანუ თითქმის 62 წლის წინათ მოკლეს და მის საქმეში საგამოძიებო მასალების ძირითად ნაწილს დღემდე **გრიფი „საიდუმლო"** ადევს, მაგრამ ამა წლის 24 იანვარს პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც, **45 დღის ვადაში კენედის საქმეს გრიფი „საიდუმლო" მოეხსნება და საჯარო გახდება მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული მკვლელობის გამოძიების მასალები,** რომლებიც ექვსი ათეული წლის განმავლობაში მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

**ტრამპის** განკარგულების თანახმად, **გრიფი „საიდუმლო"** მოეხსნება **პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმის,** 1968 წელს მოკლული სენატორის — **რობერტ კენედისა** და იმავე წელს მოკლული ცნობილი სამოქალაქო აქტივისტის — **მარტინ ლუთერ კინგის** საქმეებსაც.

თუმცა, **პრეზიდენტმა ტრამპმა** და მისმა ადმინისტრაციამ უკვე ახადეს ფარდა **ძმები კენედებისა და მარტინ ლუთერ კინგის** მკვლელობებზე არანაკლებ მნიშვნელოვან და სადღეისოდ კიდევ უფრო აქტუალურ საიდუმლოს, რომელიც USAID-ს, ანუ **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** უკავშირდება.

კერძოდ, **დონალდ ტრამპის, ილონ მასკის, მარკო რუბიოსა** და შეერთებული შტატების სათავეში მოსული სხვა პატრიოტების ძალისხმევით, ოფიციალურად დადასტურდა, რომ USAID-ი **(ქართულად — იუსაიდი)** თანამედროვე მსოფლიო ბოროტების ერთ-ერთ მთავარ ბუდეს წარმოადგენდა.

ცივილიზებულ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში პოლიტიკით დაინტერესებულმა და გეოპოლიტიკურ პროცესებში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა ადამიანებმა ისედაც იცოდნენ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ე.წ. ფერადი რევოლუციებისა და სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობა, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიასაშუალებებისა და ფსევდოელიტებისაგან შემდგარი ნეოლიბერალური „მეხუთე კოლონის" ფორმირება, ეროვნულ და რელიგიურ ფასეულობებთან ბრძოლა, ლგბტ პროპაგანდა და ოჯახის ინსტიტუტის დანგრევისაკენ მიმართული მთელი რიგი პროგრამები, ძირითადად, **სწორედ USAID-ის მიერ იყო დაფინანსებული,** მაგრამ სულ სხვაა, როცა ეს ყოველივე ოფიციალურად მჟღავნდება და დასტურდება თვით ამერიკის ხელისუფლების მიერ.

მარტო ეს კი არა, **ტრამპის** ადმინისტრაციაში შექმნილი სპეციალური უწყების — **მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა** USAID-ი ბიოლოგიური იარაღის დაფინანსებაშიც კი ამხილა, კრიმინალურ ორგანიზაციად მოიხსენია და ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს სოციალური ქსელის მეშვეობით მიმართა:

> ***„იცოდით, რომ USAID-მა თქვენი საგადასახადო დოლარების გამოყენებით დააფინანსა ბიოლოგიური იარაღის კვლევა, მათ შორის, კოვიდ-19, რომელმაც მილიონობით ადამიანი დაღუპა?"***

მოკლედ, მსოფლიოს ნომერ პირველი ზესახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი დღეს ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმ ყველაფერზე, რასაც ნეოლიბერალური პროპაგანდა აქამდე შეთქმულების თეორიად და მარგინალურ კონსპიროლოგიად ნათლავდა.

და არამარტო ალაპარაკდნენ, არამედ რადიკალური ზომებიც მიიღეს: USAID-**ის ცენტრალური შტაბბინა,** რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს, დაიხურა; მთელი მსოფლიოს მასშტაბით, USAID-**ის ოფისებში** მომუშავე ყველა თანამშრომელი ადმინისტრაციულ შვებულებაში გაუშვეს, 30 დღის განმავლობაში, ამერიკაში დააბრუნებენ და კონტრაქტებს გაუწყვეტენ; USAID-**ის ადმინისტრატორის მოვალეობის შემსრულებლად სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო დაინიშნა,** რაც იმას ნიშნავს, რომ USAID-ი **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** დაქვემდებარებიდან **ტრამპის** ადმინისტრაციის კონტროლქვეშ გადავიდა.

საბოლოო ჯამში, რა ბედი ელის მსოფლიო ბოროტების ბუდეს — USAID-ს? სამუდამოდ დახურავენ, სახელწოდებას და ფუნქციას შეუცვლიან, თუ იმავე ტიპის ახალ ორგანიზაციას შექმნიან, რომელიც **ტრამპის ადმინისტრაციის** მკაცრი კონტროლის ქვეშ იმუშავებს?

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი ისევ და ისევ ილონ მასკის განცხადებაში დევს:

> ***„როცა ჩვენ USAID-ის მოკვლევა დავიწყეთ, დავცხვდა არა ჭიანი ვაშლი, არამედ, უბრალოდ, ჭიების გორგალი. თუ თქვენ გაქვთ ჭიანი ვაშლი, ჭიის ამოღება შეგიძლიათ, მაგრამ, თუ თქვენ გაქვთ ჭიების გორგალი, ამას აზრი არა აქვს. USAID-ი ჭიების გორგალია, ის არ არის ვაშლი, ის, უბრალოდ, უნდა მოიშორო, მისი შეკეთება შეუძლებელია".***

ასეა თუ ისე, მთავარი რამ უკვე მოხდა — USAID**-ი, როგორც მსოფლიო ბოროტების ბუდე,** ოფიციალურად არის მხილებული და **გრიფი „საიდუმლო",** რომელიც მის საქმიანობას წლების განმავლობაში არაოფიციალურად ედო, მოხსნილია!

სხვანაირად რომ ვთქვათ, USAID-ი დღეს უკვე **გრიფით** USAID**უმლო ორგანიზაციაა,** რომლის დახურვამაც ნაცსექტას ძლიერი შოკი მოჰგვარა და კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები პანიკაში ჩაყარა!

აბა, როგორი საქმეა, **ტრამპის ხელისუფლებამ,** USAID-ის დახურვით, საქართველოში მოქმედ ნეოლიბერალურ „მეხუთე კოლონას" მთავარი საარსებო წყარო გადაუკეტა!

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, **ტრამპის ხელისუფლების** მიერ USAID**-ის დეკონსტრუქცია** იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ე.წ. ფერადი რევოლუციის პერმანენტულ მცდელობებს, რადიკალ აქტივისტთა დატრენინგება-რეკრუტირების პროგრამებს, მედიასა და სოციალურ ქსელებში დეზინფორმაციული კამპანიების წარმოებას, ლგბტ პროპაგანდას, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსა და ქართული სახელმწიფოსათვის ძირის გამოსათხრელ სხვა აქტივობებს წელიწადში რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის დაფინანსება მოაკლდება.

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურს, ნონა ქურდოვანიძეს, ბაია პატარაიას, თამთა მიქელაძეს, ნინო დოლიძესა** და კიდევ რამდენიმე მდიდარი ენჯეოს ხელმძღვანელებს არათუ ხუთნიშნა ხელფასები და პრემიები, ფეშენებელური ოფისები, ძვირადღირებული მივლინებები და უცხოურ კურორტებზე ლაქშერული დასვენება მოაკლდებათ, არამედ შეიძლება, ორგანიზაციული არსებობის პრობლემაც კი დაუდგეთ ისევე, როგორც, მაგალითად, ყოფილი ნაცდეპუტატისა და ცნობილი პოლიტიკური დოქსოპულოს — **გიორგი კანდელაკის** არასამთავრობო ორგანიზაცია **„სოვლაბს",** რომელმაც უკვე მათხოვრობა დაიწყო და სოციალურ ქსელში ანგარიშის ნომერი გამოაქვეყნა — ოფისის ქირისა და კომუნალური გადასახადების თანხა შემოგვწირეთო!

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში **დონალდ ტრამპის** მოსვლისა და ახალი ადმინისტრაციის მიერ USAID-ის ფაქტობრივი გაუქმების გამო საქართველოში მოქმედი **ნეოლიბერალური „მეხუთე კოლონა"** პოლიტიკურ აპათიაში რომ არის ჩავარდნილი, ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის — **„სოციალური სამართლიანობის ცენტრის" ხელმძღვანელის თამთა მიქელაძის** განცხადება, რომელიც რამდენიმე დღის წინათ „ტვ პირველის" ეთერში გააკეთა:

> ***„ტრამპი არის სერიოზული პრობლემა, რეალურად, წარმოადგენს ნეოფაშისტურ ძალას, რომელიც საბაზისო თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებებზე ამბობს უარს".***

ცხადია, **ტრამპის** ნეოფაშისტად შერაცხვა მხოლოდ ერთი გამწარებული და სასოწარკვეთილი გრანტიჭამია ქალის — **თამთა მიქელაძის** კერძო გამოხტომა არ არის, არამედ იგი მთელი ნეოლიბერალური არასამთავრობო სექტორისა და კრებსითი ნაცმოძრაობის პოზიციას გამოხატავს.

დიახ, საქართველოში მოქმედმა ნეოლიბერალურმა აგენტურამ, **კოლექტიური ლომჯარია-გიგაურის** ერთ-ერთი წარმომადგენლის — **თამთა მიქელაძის** პირით, აშშ-ის პრეზიდენტი ნეოფაშისტად გამოაცხადა და ეს გააკეთა იმიტომ, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ვაშინგტონიდან არავითარ პოლიტიკურ და ფინანსურ წყალობას არ ელოდება!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ **დონალდ ტრამპისა და ილონ მასკის** გრანდიოზული პოლიტიკური სპეცოპერაცია, რომელსაც ჩვენ კოდურ სახელად **„გრიფით USAIDუმლო"** შევურჩიეთ, ქართულ სახელმწიფოს არანაკლებ სარგებელს მოუტანს, ვიდრე თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს!

ოპერაცია **„გრიფით USAIDუმლო"** ამერიკული **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასისა** და საქართველოში მოქმედი მისი აგენტურის სრულ პოლიტიკურ განადგურებას მოასწავებს!

**ჯაბა ხუბუა**



ტრამპის ხელისუფლებამ, USAID-ის დახურვით, საქართველოში მოქმედ ნეოლიბერალურ „მეხუთე კოლონას" მთავარი საარსებო წყარო გადაუკეტა!

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი*



**სხვა გზა არც ჰქონდა საპარლამენტო ასამბლეას** — რაკი ჩვენს უფლებამოსილებებს აღიარებდნენ, **რაღაცა უნდა გადაეგდოთ იმ მყეფარე ძაღლებისთვის, რომლებიც დერეფნებში დაძრწოდნენ.** ეს რეალურად მათ გადაუგდეს, მაგრამ **ეს გადაგდებულიც დარჩა ხმელ პურად** იმიტომ, რომ ჩვენ წამოვედით. ოპოზიციამ, ალბათ, უნდა გადაწყვიტოს, **სად წაიღოს ახლა ეს დათქმები** და პასუხი, ალბათ, გასაგებიც არის, **სად უნდა წაიღოს!**

„იმედინიუსი"

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*



**დიფ სთეითის დამარცხება ასე მარტივი არ არის** და ასე სწრაფად ეს ყველაფერი არ მოხდება, **თუმცა, პროცესები დაწყებულია,** რაც თავისთავად შეამცირებს იმ გავლენას, რაც აქვს **დიფ სთეითს** ოპოზიციაზე ჩვენს ქვეყანაში.

„იმედინიუსი"

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**დონალდ ტრამპი და ილონ მასკი ღვთის რისხვად მოევლინნენ ფაშისტ ლიბერალებს!**

„აიპრესი"

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



აშშ-ის საელჩო თავისი ქმედებით **უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში** და აძლევს დამატებით დირექტივებს მოვლენების რადიკალიზაციის შესახებ **დიფ სთეითის ქართველ აგენტებს.**

„პირველი არხი"

***ტრამპი სამხედრო თვითმფრინავებით აგზავნის ამერიკულ ჯარს ყველა ქვეყნიდან USAID-ის თანამშრომლების ამერიკაში დასაბრუნებლად! მოდით, გავაყოლოთ მათ USAID-ის შვილობილი ორგანიზაციების — ხუციშვილის „ღია საზოგადოების“ (სოროსის ფონდის ფილიალის), კინწურაშვილის „მედიის განვითარების ფონდის“, მინდიაშვილის „ომბუდსმენის ოფისის“, გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“, ლომჯარიას „ევროპული ორბიტის“ ხელმძღვანელობა თანამშრომლებითურთ და არც ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები დავივიწყოთ:***



# არნო ხიდირბეგიშვილი

# USAID-ის შვილები

**1.** ადამიანის უფლებათა და სოციალური სამართლიანობის დაცვის კვლევის ცენტრი; **2.** ადამიანის უფლებათა ცენტრი; **3.** ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ზემო სვანეთი (Lag Mestia); **4.** ასოციაცია „ევროპის დროით“; **5.** ასოციაცია მერკური; **6.** ასოციაცია მწვანე ალტერნატივა; **7.** აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EEC-MD); **8.** ახალგაზრდული ალტერნატივა; **9.** ახალი აგორა; **10.** ახალქალაქის ბიზნეს ცენტრი; **11.** ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი; **12.** ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი; **13.** ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი; **14.** ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი; **15.** ბათომი; **16.** განათლება და სამყარო; **17.** განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი; **18.** განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD); **19.** გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და განათლების ცენტრი (CEPE); **20.** გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია ეკო; **21.** გურიის სამოქალაქო ცენტრი; **22.** დემოკრატ მესხთა კავშირი; **23.** დემოკრატიის ინდექსი — საქართველო; **24.** დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი; **25.** დემოკრატიის მცველები; **26.** დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტი; **27.** დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი; **28.** ევროპის ფონდი; **29.** ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI); **30.** ეკო ცენტრი; **31.** ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი; **32.** ზემო სვანეთის სათემო ორგანიზაცია; **33.** თანასწორობის მოძრაობა; **34.** თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი; **35.** თბილისის მედიაკლუბი; **36.** თემი ქედელი; **37.** ილიას სამართლის სახლი (ილიასი); **38.** ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); **39.** იურიდიული განათლების ფონდი; **40.** კავშირი კეა; **41.** კანონის უზენაესობის ცენტრი; **42.** კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი; **43.** კეთილდღეობის და განვითარების ცენტრი; **44.** კოძლის თემი; **45.** კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი; **46.** ლომეკი; **47.** ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი; **48.** მაისის მოძრაობა; **49.** მარგარეტ ტეტჩერის ცენტრი საქართველოში; **50.** მეგობრობის ხიდი ქართლოსი; **51.** მედია ომბუდსმენი; **52.** მედია ცენტრი კახეთი Media Center Kakheti MCK; **53.** მედიის განვითარების ფონდი; **54.** მედიის ინსტიტუტი; **55.** მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS); **56.** მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი მედიახმა; **57.** მესხეთის სამოქალაქო საზოგადოება; **58.** მთის თემი; **59.** მიშგოვ ლარდა (ზემო სვანეთი); **60.** მომავლის ჭიათურა; **61.** მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი; **62.** მშვიდობის ქარტია; **63.** მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი; **64.** მშობლები განათლებისთვის; **65.** ნეოგენი; **66.** ნინოწმინდის სათემო რადიო; **67.** ორგანიზაციული, სტრატეგიული და დემოკრატიული პრიორიტეტების ცენტრი; **68.** ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ (FAD); **69.** პრევენცია პროგრესისთვის; **70.** პროაქტივ ჯგუფი ჯორჯია; **71.** პროფესიო-პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი; **72.** ჟურნალისტები ბორჯომის ხეობის გადასარჩენად; **73.** რეგიონული ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“; **74.** რეგიონული პარტნიორობის ცენტრი (RPC); **75.** რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი; **76.** საერთაშორისო ბიზნესის განვითრების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი; **77.** საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; **78.** საზოგადოება ბილიკი; **79.** საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის საბუკო; **80.** საზოგადოება და ბანკები; **81.** საინიციატივო ჯგუფი „როდემდე“; **82.** საინიციატივო ჯგუფი „თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისათვის“; **83.** საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა; **84.** სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; **85.** სამოქალაქო აქტივობების ცენტრი; **86.** სამოქალაქო აქტივობის ცენტრი ლაკმუსი; **87.** სამოქალაქო აქტივობისა და რეგიონული განვითარების ცენტრი (CARDC); **88.** სამოქალაქო განათლებისა და განვითარების ცენტრი; **89.** სამოქალაქო განვითარების ცენტრი; **90.** სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისთვის; **91.** სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; **92.** სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრი (SCCSF); **93.** სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი (CEAC); **94.** სამოქალაქო, ეკოლოგიური და გენდერული განათლების ასოციაცია „ოაზისი“; **95.** სამცხე-ჯავახეთის მედია ანალიტიკური ცენტრი; **96.** სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი; **97.** საორსა; **98.** საუნჯე; **99.** საფარი; **100.** საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტი; **101.** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; **102.** საქართველოს ბავშვები; **103.** საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია; **104.** საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა; **105.** საქართველოს ინვალიდთა ფედერაცია „აღორძინება 2002“; **106.** საქართველოს მომავლის აკადემია; **107.** საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია; **108.** საქართველოს რეფორმების ასოციაცია — GRASS; **109.** საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია; **110.** საქართველოს სასამართლოს გუშაგი (Georgian Court Watch); **111.** საქართველოს სასოფლო დარბაზი (Georgian Rural Council); **112.** საქართველოს სხეულზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიის ასოციაცია; **113.** საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოება; **114.** საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი; **115.** სექტორი 3; **116.** სიქა — საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია; **117.** სოლიდარობის თემი; **118.** სოციალური სამართლიანობის ცენტრი; **119.** სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი; **120.** ტელე-რადიო კომპანია „ბორჯომი“; **121.** ტოლერანტობის სამყარო; **122.** ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი; **123.** უფლებები საქართველო; **124.** ფემინა; **125.** ფონდი აფხაზინტერკონტი; **126.** ფონდი პროდემოსი; **127.** ფონდი ტასო; **128.** ფრანკლინის კლუბი; **129.** ფუსფუსი — შენი უსაფრთხო სივრცე; **130.** ქალები რეგიონების განვითარებისათვის; **131.** ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) — საქართველო; **132.** ქალთა ასოციაცია „ვაკეთოთ ერთად“; **133.** ქალთა ასოციაცია გვირილა; **134.** ქალთა და შშმ პირთა მხარდამჭერი ცენტრი ილაპარაკე; **135.** ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); **136.** ქალთა ორგანიზაცია-კავშირი „პაროს“; **137.** ქალთა ფონდი საქართველოში; **138.** ქართული მედია ჯგუფი; **139.** ქვემო ქართლის ქალთა ასოციაცია „ქალი და სამყარო“; **140.** ღია საზღვრები; **141.** ღია სივრცე კავკასია (COS); **142.** ყაზბეგის განვითარების ფონდი; **143.** ყვარლის ევროკლუბი; **144.** შენმოქმედი; **145.** შშმ ქალთა ალიანსი; **146.** შშმ ქალთა ორგანიზაცია პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის; **147.** ჩართულობის და განვითარების ცენტრი CPD; **148.** ჩემი ხარაგაული; **149.** ცოდნის კაფე; **150.** ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი; **151.** წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი GCRT; **152.** წითელი ხიდი; **153.** ჰაბიტატი თანასწორობის მიღწევების და განვითარებისთვის; **154.** ჰეპა პლიუსი; **155.** Bridge-Innovation and Development; **156.** Caucasus Dialogue; **157.** Chavchavadze Center; **158.** Civic Education and Rehabilitation Center; **159.** Cognitive Center of Georgia ; **160.** Freedom Community Center; **161.** Georgian Association of Children Mental Health; **162.** ICGE-Belgie; **163.** Institute of Democracy; **164.** International Centre for geopolitical Studies; **165.** Promote Georgia; **166.** Real People Real Vision; **167.** Save the Children Georgia; **168.** Woman and Development; **169.** Z.axis.




ქართული ენჯეო სექტორის „ელიტა“ – ბაია პატარაია, გიორგი ბურჯანაძე, ლონდა თოლორაია, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური

ალბათ, გესმით, რომ აქ მოყვანილია **არასამთავრობო ორგანიზაციების არასრული სია** — საქართველოში სულ **30 ათასამდე** არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს. დავუშვათ, რომ ნახევარი, ანუ **15 ათასი** შექმნილია მარტო ფულის საშოვნელად — გრანტის მოსაპოვებლად ან კარგი საქმის საკეთებლად, მაგალითად — ეკოლოგიის, ეთნოკულტურის, ძეგლთა დაცვის მიზნით. მაინც რჩება **15 ათასი** ძირგამომთხრელი, არასახელმწიფოებრივი, უცხოეთის ინტერესთა და გავლენების გამტარებელი აგენტების, მოსყიდული რეზიდენტების ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, ანუ საქართველოს, ქართული კულტურის, ტრადიციების, ოჯახისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი ნეონაცისტური იდეოლოგიის მატარებელი დივერსიული ჯგუფი! იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულში, მინიმუმ, 10 წევრია — **15 000** გავამრავლოთ 10-ზე და მივიღებთ **150 ათას** საქართველოსთვის დაკარგულ მოქალაქეს. **150 ათასი** არის 3-მილიონიანი საქართველოს მოსახლეობის **5 პროცენტი,** თუ არ ჩავთვლით **„ევროქართველებს“** — რადიკალური ოპოზიციის აგრესიულ ელექტორატს — უცხოეთის აგენტებს, რომლებიც 4-ჯერ მეტნი არიან... გამოვაკლოთ **780 ათასს *(ამდენი ხმა როგორ მიიღო ოთხმა ოპოზიციურ-ფაშისტურმა პარტიამ 26 ოქტომბერს, დღემდე მიკვირს!)*** — **150 ათასი** „ენჯეოშნიკი“ და მივიღებთ **630 ათასს** ოთხი ოპოზიციურ პროპაგანდისტური ტელეარხის მიერ გონებაარეულ თანამემამულეს!

## კვირგვინოსნები

### იაგო ხვიჩია
*პარტია „გირჩის“ ლიდერი*



სანამ პროტესტი მეტწილად **ენჯეოშნიკური მორალისაა,** არაფერი გამოვა, რადგან თავისი შინაარსით **„ენჯეოშნიკური“ სიყალბეს ნიშნავს.**

მე არ მომწონს ბრძოლის ეს მეთოდი, მაგრამ, **თუ გზის გადაკეტვაა, ეს უნდა გააკეთონ იმუნიტეტიანმა დეპუტატებმა,** სწორედ ამიტომ აირჩია ისინი ხალხმა, ვინც ბრძოლის ამ გზას უჭერს მხარს.

„აიპრესი“

### მარკო რუბიო
*აშშ-ის სახელმწიფო მდივანი*



არსებობს **საგარეო დახმარების პროგრამები,** რომლებთან დაკავშირებითაც გვაქვს კითხვები — **ისინი არ ემსახურება ეროვნულ ინტერესებს და უნდა გაუქმდეს,** ასევე არის პროგრამები, რომელთა შესახებაც მეტი უნდა ვიცოდეთ.

„რუსთავი-2“

### რობერტ ფიცო
*სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი*



შემიძლია, დავადასტურო, რომ **სლოვაკეთში აქციების ორგანიზების უკან,** გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, **„ქართული ეროვნული ლეგიონი“ დგას.**

„რეზონანსი“

### ვიქტორ ორბანი
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ბრიუსელში ყველას შეუძლია, დაინახოს **ტრამპის ტორნადოს მოახლოება,** მაგრამ უმეტესობა ფიქრობს, რომ შეუძლია, მას თავი დააღწიოს, რასაც ვერ შეძლებენ.

„პრაიმტაიმი“



# ირაკლი ზაქარეიშვილი: ფარული დასის აგენტურული საქმიანობა მსოფლიოს მასშტაბით ჩერდება!

**„USAID-ი ყველაფერს აკეთებს იმ მიზნით, რომ მოსახლეობა იყოს დეზინფორმირებული!"**

***ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტრამპის არჩევამ იდუმალებით მოცულ უამრავ დანაშაულს ახადა ფარდა. გამჟღავნდა მეთოდები, რომლითაც აშშ და მის უკან ჩასაფრებული ფარული დასი უტიფრად ერეოდა სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მმართველობაში და არსებულ მდგომარეობას ურცხვად აყალბებდა! — აცხადებს უფლებადამცველი და იურისტი ირაკლი ზაქარეიშვილი:***

— პრეზიდენტის პოსტზე **ტრამპის** პირველივე ნაბიჯებმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყელამდე ჩაფლულია კორუფციის ჭაობში და არის **დიფ სთეითის** (ტრამპის მიერ ატაცებულ ამ ცნებას „ასავალ-დასავალის" რედაქტორმა, ბატონმა **ლაშა ნადარეიშვილმა** ზუსტი ქართული შესატყვისი — **ფარული დასი** მოუძებნა) ფლაგმანი! სწორედ **ფარული დასი** მართავდა მსოფლიოს ისეთ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, როგორიც გახლავთ **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო** USAID-ი და **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.** ეს ორგანიზაციები ამერიკის სახელმწიფოს თავიანთი საქმიანობის ანგარიშსაც არ აბარებდნენ, გასულები იყვნენ აშშ-ის კონგრესის და პრეზიდენტის კონტროლიდან, დამოუკიდებლად ახორციელებდნენ **ფარული დასის** მიერ დადგენილ საერთაშორისო პროგრამას! გაირკვა, რომ USAID-ს გააჩნდა 40-მილიარდიანი (!) ბიუჯეტი. **დაე, მკითხველმა გაიაზროს ეს ციფრი, იმის გათვალისწინებით, რომ მილიარდში შედის ათასი მილიონი დოლარი!** ამას გარდა, USAID-ს ჰქონდა თანადაფინანსებები, რომლებიც ამ ბიუჯეტში არ აისახებოდა! **ფარული დასის** ფინანსების ერთ-ერთი მთავარი წყარო **სოროსის ფონდთან, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან** ერთად სწორედ USAID-ი გახლდათ.

**— რას აეხადა ფარდა? მაინც, მიუღებელს რას აფინანსებდა ფარული დასი მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში?**

— USAID-ს 100-ზე მეტ ქვეყანაში 14 ათასი თანამშრომელი ჰყავდა და როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **მარკო რუბიომ** განაცხადა, ყველა მათგანს ჯერ უხელფასო შვებულება გაუფორმეს, შემდეგ კი ამერიკაში გამოიხმეს. ცნობილი ხდება, რომ USAID-ის თანამშრომლები თავიანთი ბერკეტებით ამა თუ იმ სახელმწიფოს ფაქტობრივ მართვას ახორციელებდნენ. **საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, USAID-ის მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების ჩართულობის გარეშე არ მიიღებოდა არცერთი კანონი ან ნორმატიული აქტი.** თუ USAID-ის ფავორიტ არასამთავრობოებთან შეთანხმებული არ იყო, ვერცერთი მოქალაქე სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თანამდებობაზე ვერ დაინიშნებოდა, უფრო მეტიც, თანამდებობებზე ხდებოდა სწორედ USAID-ის მიერ ლობირებული კანდიდატების დანიშვნა! ამის შედეგად, 35 წლის განმავლობაში საქართველოს დასავლეთის აგენტურა მართავდა! ამ პერიოდში ჩვენ ჩამოგვეშალა განათლების სისტემა, საშუალო სკოლები საჯარო სკოლებად გადაკეთდა და ყველგან დასავლეთის აგენტურა ჩაინერგა. USAID-ს ფავორიტები სპეციალური პროგრამების ფარგლებში საზღვარგარეთ მიჰყავდათ სასწავლებლად, მათგან აგენტურას აყალიბებდნენ და შემდეგ სახელმწიფოს მაღალ თანამდებობებზე მათ ჩანერგვასაც წარმატებით ახდენდნენ. სახელმწიფოს, ფაქტობრივად, USAID-ი მართავდა. მისი მავნე საქმიანობა სხვა სფეროებშიც აისახა.

**— კერძოდ?**

— ცნობილია, რომ საქართველოს, თავისი რესურსებიდან გამომდინარე, ყოველგვარი იმპორტის გარეშე 27 მილიონი ადამიანის გამოკვება შეუძლია, მაგრამ ფაქტია, რომ 3-მილიონიან საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბი და მშიერია, ხოლო მიწა — დაუმუშავებელი. ასე ინება **ფარულმა დასმა,** რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმრავლესობა რესურსებით მდიდარ საქართველოში უცხოეთიდან იყოს იმპორტირებული, ხოლო რაც საქართველოში მოჰყავთ, იყოს უგემური, გენმოდიფიცირებული და ჯანმრთელობისთვის მავნე, რისთვისაც თესლებიც კი გადაგვიჯიშეს!

**რაც შემოსავალს იძლეოდა, მაგალითად, თხილს, მაშინვე ფაროსანა დაახვიეს და თხილის ბიზნესი საერთოდ ჩამოშალეს! ფაროსანას გარდა, ათასგვარი მავნებელი შექმნეს; ათასგვარ შხამებსა და ქიმიას აფრქვევენ ჰაერში. ხალხს ხელოვნური ვირუსებით ქათმები და ღორები ამოუწყვიტეს, რათა უცხოეთიდან შემოეტანათ ეს პროდუქტები.** **ყველაფერი იმ მიზნით კეთდება, რომ საქართველოში მოსახლეობა რაც შეიძლება მალე ამოწყვიტონ ან სამშობლოს დასატოვებლად უბიძგონ.**

**— მაგრამ USAID ხომ სასარგებლო საქმეებსაც აკეთებს? ასე, მაგალითად, მთელ რიგ სახელმწიფო სტრუქტურებს ხელფასებით განა USAID არ უზრუნველყოფს?**

— ოღონდ, იმ პრინციპით, რომ „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს!" ასე, მაგალითად, სასამართლოში რომ შედიხართ — წინ USAID-ის ბანერი გხვდებათ, ვინაიდან სასამართლოს, პროკურატურას, თქვენ წარმოიდგინეთ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და ადვოკატთა ასოციაციასაც კი ესენი აფინანსებენ. შედეგად მივიღეთ სისხლის სამართლის რეპრესიული პოლიტიკა! **ამ მექანიზმის მიხედვით, მართლმსაჯულება თითქმის მთლიანად პროკურატურის ხელშია.** მოგეხსენებათ, მსუბუქი დანაშაულისთვის სასჯელი 0-დან 5 წლამდეა, საშუალო სიმძიმისთვის — 5-დან 10 წლამდე, ხოლო 10-ის ზემოთ სასჯელი მძიმე დანაშაულების ჩამდენებს განესაზღვრება. მაგრამ **სასამართლო ხელფეხშეკრულია ბრალდებულისთვის მცირე ან არასაპატიმრო სასჯელის მისასჯელად, რადგან ამათ დანაშაულთა უმეტესობა „მძიმე" დანაშაულის კატეგორიაში გადაიყვანეს.**

მოსამართლეს საპროცესო შეთანხმების გარეშე აღარ აქვს საშუალება, პიროვნებას შეუფარდოს მინიმუმზე ნაკლები ან პირობითი სასჯელი. საპროცესო შეთანხმების ინიციატივა მხოლოდ პროკურატურის ხელში გადავიდა. **მოსამართლეები იძულებული ხდებიან, უდანაშაულო ადამიანი გამართლების ნაცვლად საპროცესო შეთანხმებამდე მიიყვანონ.** უფრო მეტიც, ამათი





**ვაშინგტონში მდებარე USAID-ის შტაბ-ბინიდან აბრა ჩამოხსნეს**

## „35 წლის განმავლობაში საქართველოს დასავლეთის აგენტურა მართავდა!"

## კვირგვინოსნები

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



საავტომობილო კოლაფსის მცდელობა და **სტრატეგიული დანიშნულების ნუსხაში შეტანილი ობიექტის ბლოკირება სისხლის სამართლის წესით ისჯება** — ნურავის გაუკვირდება ადეკვატური სამართლებრივი ღონისძიების გატარება.

„რუსთავი-2"

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**მძიმე გარემო დაგვხვდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში,** რაც განპირობებული იყო იმით, რომ **ამ ადამიანების გარკვეული ნაწილი ჩვენს მოსახლეობაზე იყო გაბრაზებული,** თუ რატომ დაუჭირა ჩვენმა მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას" მხარი.

„TV იმედი"

**სოსო გიორგაძე**
*„საქპატენტის" თავმჯდომარე*



იარაღი მისცა ქართველმა ხალხმა **სალომე ზურაბიშვილს,** რომ დაეცვა ქვეყანა, მაგრამ მოტრიალდა და ამ იარაღის **ყველა ტყვია ესროლა საქართველოს ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინა მისი მტრების წინააღმდეგ.** „ქართული ოცნება" არის პირველი ხელისუფლება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელსაც **არ დაუკარგავს ტერიტორიები და არ უომია.** მომავალ წელს პირველი სრულწლოვანი თაობა გვეყოლება, რომელსაც **ომი არ უნახავს საქართველოში.**

„TV იმედი"

**გოგა ხაინდრავა**
*კონფლიქტოლოგი*



**მაკკეინის ინსტიტუტის** და პირადად **ლორა თორნტონის** მითითების შესაბამისად, **ხაზარაძემ, გვარამიამ, გახარიამ და ლიაკამ** კოალიციების პარტიულ ოფისებში **გახსნეს „შიგ ევროპული" ნეხვის მიღების სადღეღამისო პუნქტები!** შეტანა თავისუფალია! **წარჩინებული მენეხვეები დაჯილდოვდებიან ლორას სახელობის პრიზით!**

„რეპორტიორი"

# „აგენტურა რჩება მშიერი და დატოვებს ასპარეზს,

## როგორც, მაგალითად, საქართველოში პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა ფარული დასის აგენტმა თამარ კორძაიამ!“



მიზანია, ბრალდებულს უიმედობა დაეუფლოს და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება ვერ მოახერხოს, ხოლო, თუ უდანაშაულო ბრალდებული პროკურატურას საპროცესო შეთანხმებაზე არ თანხმდება, მოსამართლემ „გაჭედოს“ და მაღალი სასჯელიც მიუსაჯოს. ამის გამო ბრალდებულები იძულებულები ხდებიან, არჩადენილი დანაშაული აღიარონ, რათა საპროცესო შეთანხმებას მაინც მიაღწიონ და მდგომარეობა ამგვარად შეიმსუბუქონ.

ადრე გამოძიებას ევალებოდა, მოეპოვებინა ბრალდებულის მიმართ როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, ანუ, თუ ადამიანი უდანაშაულო იყო, მისი სიმართლე არ უნდა დაეკარგათ. ამჟამად პროკურატურა იმგვარად არის მომართული, რომ შეგნებულად დამალოს, თუ ბრალდებულის გამამართლებელი გარემოება მათთვის ცნობილი გახდება და მხოლოდ გამამტყუნებელი გარემოებები წამოსწიოს.

ფაქტობრივად, USAID-ის **დაფინანსება უზრუნველყოფს ისეთ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, სადაც ადამიანის გამართლების შანსები მინიმალურია!** ამას ისიც დავუმატოთ, რომ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსაც USAID-ი აფინასებს და, შესაბამისად, მათი დასკვნებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, იმდენად არის პროკურატურისკენ მიკერძოებული. სწორედ ამგვარად დადებული საპროცესო შეთანხმებებით ივსება ქვეყნის ბიუჯეტი. ამას გარდა, არაერთ მაღალი თანამდებობის პირს საკუთარი საადვოკატო ბიურო აქვს გახსნილი, სადაც პირდაპირ საქმის ჩაწყობები მიდის. ფაქტია — საქართველოში 13 ათასი ადვოკატია, მაგრამ სასამართლოებში ერთი და იგივე ადვოკატები დაიარებიან, რომლებიც პროკურატურასთან არიან შეკრული და ბრალდებულებს გამართლებაში კი არა, მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში ეხმარებიან. **თუ მოსამართლეებს შორის ვინმე ღვთისნიერი გამოერევა და ამ სისტემის წინააღმდეგ, სიმართლის სასარგებლოდ გამოიტანს განაჩენს, მას იუსტიციის საბჭო თავის ხელთ არსებული ბერკეტებით შეავიწროვებს,** მაგალითად, დედაქალაქიდან (სადაც მოსამართლეს ოჯახი ჰყავს) სამუშაოდ სხვა ქალაქში გაამწესებს. ამიტომ მოსამართლეებიც ცდილობენ, ამერიკული USAID-ის დადგენილ თამაშის წესებს არ გადაუხვიონ, რის გამოც სახეზეა უსამართლო „სამართალდამცველი“ ინსტიტუტები. განაჩენების სტატისტიკაში 80 პროცენტი საპროცესო შეთანხმების წილად მოდის!

**— მასმედიასთან როგორ დამოკიდებულებაშია USAID-ი?**

**– ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, USAID-ი აფინანსებდა 6200 ჟურნალისტს 707 მასმედიაში!**

ასევე — 279 მედია არასამთავრობო ორგანიზაციას, აქედან უკრაინაში — ცხრას. მედიისთვის განკუთვნილი პირველი ტრანშის რაოდენობა 300 მილიონი დოლარია. ეს პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა მიიღებს ისეთ ინფორმაციას ან სულაც ცრუინფორმაციას, რაც შედის USAID-ის ინტერესებში! ანუ USAID-ი **ყველაფერს აკეთებს იმ მიზნით, რომ მოსახლეობა იყოს დეზინფორმირებული.** მათ ხომ მასმედიის დაფინანსებით ნებისმიერ სახელმწიფოში იმ ხელისუფლების დამხობის ბერკეტი გააჩნიათ, რომელიც USAID-ის და მის მიღმა მყოფი **ფარული დასის** ინტერესებს ალმაცერად უყურებს და ეწინააღმდეგება — ამ მიზნით მედიაზე დაყრდნობით ჯერ არსებული მდგომარეობის ყალბი სურათი იქმნება, რომელიც მერე **ფარული დასის აგენტურის** ქუჩაში გამოსვლაში და რევოლუციაში გადაიზრდება ხოლმე, რაც მათ მრავალჯერ ჩაუდენიათ და რაც ამჯერად საქართველოშიც ყველას თვალწინ მიმდინარეობს!

**— რა იცვლება მსოფლიოში USAID-ის შეჩერებით?**

— მსოფლიოს მასშტაბით ჩერდება **ფარული დასის** აგენტურული საქმიანობა. **ტრამპმა** იმ ქვეყნებში, სადაც USAID-ის დიდი კონტინგენტები მოღვაწეობდა, თვითმფრინავებიც კი გაგზავნა ამერიკაში მათ დასაბრუნებლად. ამ მომენტისთვის შეჩერებულია USAID-ის ფარგლებში ყოველგვარი დაფინანსება. აგენტურა რჩება მშიერი და მალე დატოვებს ასპარეზს, როგორც, მაგალითად, საქართველოში პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა **ფარული დასის აგენტმა თამარ კორძაიამ!** მსოფლიოს მასშტაბით შეწყდება ფერადი რევოლუციები და ერების გენოციდის ოპერაციები. საქართველოს არ უშველის მხოლოდ USAID-ის შეჩერება. პარალელურად, უნდა დაიწყოს სახელმწიფო და საჯარო სამსახურებიდან USAID-ის აგენტურის გამოძევება და პატრიოტული კადრებით მათი ჩანაცვლება!

**— ახლა ირკვევა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩართულობით სატანის მოციქულმა და სიკვდილის მთესველმა დოქტორმა ენტონი ფაუჩიმ (შეერთებული შტატების ალერგიების და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტი) 6 635 495 აშშ დოლარით, ხოლო USAID-მა 38 000 000 აშშ დოლარით (ჯამში 44 635 495 დოლარი) დააფინანსეს უხანის ლაბორატორიაში „კოვიდ-19“-ის ვირუსის შექმნა, ასევე ჯანმოს ეგიდით მახინჯი სამედიცინო პრაქტიკის დანერგვა, რამაც მსოფლიოს მასშტაბით ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა!**

— ფინანსდებოდა უტიფარი ტყუილი, რომ ვირუსის პრევენციისა და მკურნალობის მიზნით შემუშავებული ვაქცინები ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, არადა, USAID-ისა და მის უკან მდგომი **ფარული დასის** საქმიანობის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატები და მსოფლიო ისეთ ჭაობში იმყოფება, რომ თავის დასაღწევად გრანდიოზული მუშაობა იქნება საჭირო. საბედნიეროდ, ამ მავნე ორგანიზაციების დახურვით ჩნდება კაცობრიობის ჭაობიდან ამოსვლისა და გადარჩენის რეალური შანსი! აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ **ფარულ დასთან** შებრძოლების ეს პერიოდი არა მხოლოდ ტრამპისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის მეტად სახიფათოა, რადგან **ფარული დასი** ნამდვილად არ გახლავთ ხელწამოსაკრავი ძალა! არ გამოვრიცხავ, უახლოეს მომავალში **პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა** მხარდაჭერისთვის არა მხოლოდ ამერიკის მოსახლეობას, არამედ მთელ კაცობრიობასაც მიმართოს!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# „სახელმწიფო და საჯარო სამსახურებიდან უნდა დაიწყოს USAID-ის აგენტურის გამოძევება და პატრიოტული კადრებით მათი ჩანაცვლება!“

## კვირის ფოსტა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში

ქალბატონ რობინ დანიგანს

გასული კვირის ცენტრალურ გაზეთში („ასავალ დასავალი“ N5, გვ. 5) გამოქვეყნდა ჩემი მისალოცი პრეზიდენტისადმი.

პირადად გაწვდით მის ასლს და გთხოვთ გაუგზავნოთ ეს მიმართვა დიდად პატივსაცემი ადრესატის რეზიდენციას...

მერაბ მირონ სულაქველიძე





6 თებერვალი, 2025 წ.



თქვენი გამარჯვება არის დიფ სთეითის გრძელი ხელის შემოკლება საქართველოში!

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს

ვხედავთ რა პირველივე დღეებიდანვე თქვენს საპრეზიდენტო მოღვაწეობას, კომუნისტური დროის დისიდენტთა სახელით, საქართველოდან გილოცავთ ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე მტკიცედ შედგომას და გისურვებთ, კეთილი ნების ხალხთა იმედების გასამართლებლად, შეუბრკოლებრივ მმართველობას. ხოლო მე — როგორც რელიგიური დისიდენტი და საეკლესიო მწერალი, შემდეგსაც მოგახსენებთ: **მიუხედავად იმისა, რომ იატაკქვეშეთის მონათა ცილისმწამებლურმა ღვარმა გადაგიარათ — ტრადიციული ღირებულებებისა და მშვიდობისათვის მლოცველ საქართველოს მართლმადიდებლებმაც შეიტანეს წვლილი თქვენს წარმატებაში, რამეთუ თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა და დიფ სთეითის** (ფიფ **ფარული დასის.** რედ.) გრძელი ხელის შემოკლება საქართველოში...

ეკლესიის მამები ამბობენ, **სანამ იქნებიან ჭეშმარიტი მლოცველნი, მანამ იქნება მშვიდობა და გადაიწევს მსოფლიო მოვლენათა კულმინაცია — ცრუქრისტიანული დიქტატურის გარდუვალი შედეგი თუ აპოკალიფსური საშინელებანი...** ჭეშმარიტების მღაღადებელთა ლოცვას მართლაც დიდი ძალა აქვს. მათი სულიერი

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



ჩვენ უნდა ვიყოთ **ქართველები,** ყოველგვარი **პრო-ს გარეშე!**

„ფეისბუქი“

**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*



ჩვენს ქვეყანაში მთელი სიძლიერით გამეფდა **საშიში დაავადება — წყენა** და თუ, საუბედუროდ, ეს გრძნობა გიღვივის **ნაწყენ გულში,** იცოდე, ისე გაგამწარებს, რომ მოულოდნელად, **ბოროტი და ავი ცხოველის თვისებების ყურმოჭრილ მონად იქცევი.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



ვეკითხებით ევროპული სახელმწიფოების ელჩებს — **მათ ქვეყნებში რომ მთავარი მაგისტრალი გადაკეტონ, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება?** რადგან ამ ფაქტს არ გმობენ, ე.ი. კანონდარღვევას მხარს უჭერენ.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ჩოხია**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის კაბინეტის უფროსი*



როდესაც ადამიანები **პოლიციელს შეურაცხყოფას აყენებენ, გაცილებით მკაცრი სანქციებით ისჯებიან,** ვიდრე ეს ხდებოდა საქართველოში. ახლა მოხდება ჰარმონიზაცია და **გადმოვიღებთ ზუსტად იმ პრაქტიკას, რომელიც არსებობს როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში.**

„რეპორტიორი“

**გიორგი ჩაქვეტაძე**
*„ქართული ოცნების“ პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე*



**ქუჩის ოპოზიცია ქუჩაში დარჩა.** მოითხოვეს და შეუწყდათ უფლებამოსილება, **პარლამენტი კი მუშაობას 49 რადიკალის გარეშე გააგრძელებს.**

„მარშალპრესი“

# სწორედაც რომ

## ბატონი იაკობ ლეჟავას ლინგვისტურ–

***ბოლო დროს საერთაშორისო პოლიტიკურ ლექსიკონში აქტიურად შემოიჭრა ტერმინი დიფ სთეითი (ინგლ. Deep State — ღრმა სახელმწიფო), რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა ქართულენოვანი აუდიტორიისათვის უფრო გასაგები და მარტივად აღსაქმელი განმარტება — ფარული დასი შეურჩია.***

შესაბამისად, ჩვენს საავტორო თუ სარედაქციო პუბლიკაციებში **დიფ სთეითს** მოვიხსენიებთ როგორც **ფარულ დასს,** რასაც „ასავალ-დასავალის“ მრავალრიცხოვანმა მკითხველმაც უმალ აუღო ალღო და არაერთმა რესპონდენტმაც აუბა მხარი, რადგან **ფარული დასი** უფრო მოქნილ და მარჯვე ტერმინად მიიჩნია, ვიდრე **დიფ სთეითის** პირდაპირი და სტანდარტული თარგმანი — **ღრმა სახელმწიფო.**

თუმცა, ბატონ **იაკობ ლეჟავას,** რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე დროდადრო გამოჩნდება ხოლმე, **დიფ სთეითის** „ასავალ-დასავალისეული“ გადმოქართულება — **ფარული დასი** — არ მოსწონებია და ერთბაშად ორ გამოცემაში — **„საქართველოს რესპუბლიკასა“ და „საერთო გაზეთში“** გამოუქვეყნებია წერილი იმის შესახებ, რომ **დიფ სთეითისათვის ფარული დასის** დაძახება, თურმე, „გვარიანი შეცდომაა“.

არადა, **ბატონი ლეჟავა** მისი პუბლიკაციის პირველივე აბზაცში აღნიშნავს, რომ *„Deep State“-ის სიტყვასიტყვითი თარგმანი ბევრს არაფერს გვეუბნება“* და ტერმინი **„ღრმა სახელმწიფო“** არათუ ქართულად, რუსულად ან სხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის, არამედ თავად ინგლისურენოვანთათვისაც კი სრულად გასაგები არ არის.

მაშ, რას ერჩის და რას უწუნებს **ბატონი ლეჟავა** ტერმინ **დიფ სთეითის** „ასავალ-დასავალისეულ“ ინტერპრეტაციას — **ფარულ დასს,** რომელიც აშკარად უფრო ჩაუხლართავი და იოლად აღსაქმელია, ვიდრე მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი — **ღრმა სახელმწიფო?**

**ბატონი ლეჟავას** აზრით, პრობლემა, თურმე, ის არის, რომ სიტყვა **დასი** მხოლოდ დადებითი კონოტაციის მატარებელია და უარყოფითი შინაარსის სიტყვებთან მისი შეწყვილება არაფრით შეიძლება.

აი, რას წერს იგი თავის წერილში **„Deep State — ფარული დასი?“:**

> *„სიტყვა* ***„დასი“*** *დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა...“* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2025 წლის 3 თებერვალი, №12-13, გვ.7).***

მოიცადეთ, ბატონო იაკობ, აქ სიტყვა „სიტყვა“ ორჯერ რატომ გამოიყენეთ?

ჯობდა, ასე დაგეწერათ: **დასი დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა.**

ან ასე: „სიტყვა **დასი** დადებითი შინაარსის მატარებელია“.

თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გვარიანი შეცდომა“ მოგივიდათ, თუმცა, ამ ტავტოლოგიაზე ყურადღებას არც კი გავამახვილებდით, თავად თქვენი წერილი რომ არ გამოსცემდეს ლინგვისტურ-მორფოლოგიური დიდაქტიკის ექოს.

მოკლედ, **ბატონი იაკობ ლეჟავა** წერს:

> *„სიტყვა „დასი“ დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა, ვინაიდან, როგორც წესი, ის ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა ის დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან: თეატრალური ან მსახიობთა დასი, მუსიკალური ან დამკვრელების დასი...“* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2025 წლის 3 თებერვალი, №12-13, გვ.7).***


Deep State - ფარული დასი?
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
№12-13 (9844-45) 2025 წლის 3 თებერვალი, ორშაბათი.
საქართველოს რესპუბლიკა
„ფარული“ და „დასი“ შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, – ოქსიმორონი! ამიტომაც მათი დაწყვილება, ჩემი აზრით არასწორია და მიუღებელი!
იაკობ ლეჟავა,
31 იანვარი, 2025
P.S. არ არის აუცილებელი ყველა უცხოური ტერმინის თარგმნა. ალბათ, ქართული მეტყველების ძებნას აჯობებს დავტოვოთ ორიგინალი – Deep State, მით უფრო, რომ ამ ფორმით იგი უკვე დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში.
ი. ლ.


DEEP STATE
ფარული დასი?
საერთო გაზეთი
№4 (781)
ორშაბათი 5 თებერვალი 2025 წ.
ფასი 2 ლ.
„ფარული“ და „დასი“ შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, – ოქსიმორონი! ამიტომაც, მათი დაწყვილება არასწორია და მიუღებელი!
მოკლედ რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი ყველა უცხოური ტერმინის თარგმნა. ალბათ, ქართული მეტყველების ძებნას აჯობებს დავტოვოთ ორიგინალი – Deep State, მით უფრო, რომ ამ ფორმით იგი უკვე დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში.
იაკობ ლეჟავა

აქ კვლავ ტავტოლოგია მოგივიდათ, **ბატონო იაკობ,** რადგან ნაცვალსახელი **„ის“** ერთის მაგივრად ორჯერ გაქვთ გამოყენებული ისე, რომ ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს:

> **„ის** ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა **ის** დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან...“

**არადა, ასე უნდა დაგეწერათ:**

**„ის** ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან...“

თუმცა, მოდით, **ბატონი ლეჟავასათვის** მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე ნუ ავიღებთ და მისი პუბლიკაციის წაკითხვა ისე გავაგრძელოთ, თითქოს ქართული ენის სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ ლექციას რომელიმე დიდი ენათმეცნიერი ან ლიტერატორი გვიტარებდეს:

> *„ქართულში ის* ***(„დასი“. რედ.)*** *იხმარებოდა და დღესაც იხმარება საზოგადოებრივი დაჯგუფების, პოლიტიკური მოძრაობის, მიმდინარეობის თუ ორგანიზაციის აღმნიშვნელადაც, როგორც, მაგალითად, პირველი (მეორე, მესამე) დასი, სახალხო დასი, ქართული დასი. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი...“* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2025 წლის 3 თებერვალი, №12-13, გვ. 7).***

უკაცრავად, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ იძულებული ვართ, ზემოთ დადებული პირობა — **ბატონი იაკობ ლეჟავასათვის** მართლწერის გაკვეთილების ჩატარებას ჩვენს თავზე არ ავიღებთო — ამ ერთხელ დავარღვიოთ და პატივცემულ ავტორს მივუთითოთ, რომ სიტყვა **„ხმარების“** უთავბოლო **ხმარება** ზოგჯერ ფრიად უხერხულ სიტუაციას წარმოქმნის, რის გამოც ჯობს, **„ხმარების“** მაგივრად **„გამოყენება“** იქნეს **ნახმარი.**

აბა, დააკვირდით, რა გამოდის **ბატონი ლეჟავას** ნაწერიდან:

> *„ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ მსახიობთა ჯგუფი ან მსახიობთა დასი“.*

**ბატონო იაკობ, თქვენს ასაკში თუ იმდენი შეგიძლიათ, რომ მსახიობთა მთელი ჯგუფი იხმაროთ და, თანაც, როგორც წერთ, თავისუფლად იხმაროთ, ბარაქალა თქვენს მამაკაცურ პოტენციას, მაგრამ საგაზეთო პუბლიკაციიდან ეს ცოტა პორნოგრაფიულად ხომ არ ჟღერს?**

ცოტა კი არა, სულ მთლად ჯგუფური პორნოგრაფია გამოდის!

ასე რომ, **ბატონო იაკობ,** ჩვენი კეთილი რჩევა იქნება, **სიტყვა „ხმარების“ ხმარებას მომავალში უფრო დაკვირვებულად და ყურადღებით მოეკიდოთ!**

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, ნამდვილად გპირდებით, რომ გრამატიკის გაკვეთილებს აღარ მივუბრუნდებით და **ბატონი იაკობ ლეჟავას** პუბლიკაციას ბოლომდე უკომენტაროდ ჩავიკითხავთ:

> *„არაფრით არ შეიძლება მისი* ***(„დასის“. რედ.)*** *დაწყვილება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფითი, მიუღებელი, დანაშაულებრივი და ა.შ. შინაარსისანი არიან — მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ კრიმინალების ჯგუფი, დაჯგუფება, მაგრამ რაც არ უნდა ორგანიზებული იყოს ეს დაჯგუფება ერთ კოლექტივად, არავის არ მოუტრი-*

## კვირგვინოსნები

**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



ამერიკაში **პოლიციელის მიმართ ხელი რომ აღმართო,** პირდაპირ გესვრის, მოგკლავს და ამისთვის არც არავინ გაასამართლებს. **ისე ველარ იქნება, თავში რომ ამოგვარტყამდნენ** და თუ არ დავხრიდით, რევოლუციას მოგვიწყობდნენ.

„საერთო გაზეთი“

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



ქართული ოპოზიცია **პოლიტიკურად გაკოტრებულია,** არა აქვს არავითარი გეგმა. **რა აზრი აქვს ახლა ხალხში გავლენ თუ კაბინეტებში ჩაიკეტებიან,** მათგან ერთმანეთზე უარეს ინტერვიუებს ვისმენთ.

„კვირის პალიტრა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, **სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობის არჩევანს არ ცნობენ** და ხელისუფლებას შანტაჟის ენით ესაუბრებიან.

„საერთო გაზეთი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



ქართულ ოპოზიციას და **რადიკალ აქტივისტებს აფინანსებენ ევროკავშირის და აშშ-ის უცხოური ფონდები,** ყველა რევოლუციის მცდელობა მხარდაჭერილია ამა თუ იმ დონორი ორგანიზაციისგან.

„პირველი არხი“

# ფარული დასი!

## მორფოლოგიური დიდაქტიკის პასუხად

*ალდება ენა, მათზე თქვას კრიმინალების დასი, ან, გნებავთ, ფარული დასი, ანუ არ შეიძლება დანაშაულებრივი(!) საქმეების ფარულად ჩამდენთა დაჯგუფებას, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა საჯაროდ, ეწოდოს დასი! „ფარული“ და „დასი“ შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, — ოქსიმორონი! ამიტომაც, მათი დაწყვილება, ჩემი აზრით არასწორია და მიუღებელი!“* ***(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2025 წლის 3 თებერვალი, №12-13, გვ. 7).***

ჯერ ერთი, სრულიად გაუგებარია, რას ეფუძნება **იაკობ ლეჟავას** ლოგიკა იმის შესახებ, რომ სიტყვა **დასი,** თურმე, მხოლოდ დადებითი შინაარსის მატარებელია და არ შეიძლება, უარყოფითი შინაარსის მქონე სიტყვებს შეუწყვილდეს?

რაკი ქართულ ენაში სიტყვათშეთანხმება **„მსახიობთა დასი“, „თეატრალური დასი“, „მუსიკოსთა დასი“, „სასულიერო დასი“** ან სულაც **„ანგელოზთა დასი“** გამოიყენება, ეს **დასს** მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვად აქცევს და მის ყველა სინონიმს ავტომატურად აუქმებს?

მაშ, რა გავუხერხოთ **ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს“,** რომელშიც **დასის** სინონიმებად მოცემულია **დასტა, ნახირი, რაზმი, გუნდი, ჯგუფი, წყება და კრებული?**

ან რა ვუყოთ **„ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონს“,** რომელიც **დასს** განმარტავს, როგორც **„ჯარისკაცთა რაზმს“, „გვარსა“ და „მოდგმას“?**

ანდა სად წავიღოთ **„უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი“,** რომელშიც **დასის** განმარტებად **„მსახიობთა კოლექტივთან“** ერთად მითითებულია **„გუნდი“, „კრებული“ და „საზოგადოებრივი დაჯგუფება“?**

ასე და ამგვარად, ჩვენ რომ **დიფ სთეითისათვის „ფარული ნახირი“, „ფარული რაზმი“, „ფარული გუნდი“, „ფარული ჯგუფი“, „ფარული კრებული“, „ფარული წყება“, „ფარული გვარი“ ან „ფარული მოდგმა“** გვეწოდებინა, ეს, სემანტიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად იგივე იქნებოდა, რაც **ფარული დასი,** მაგრამ, ფორმის თვალსაზრისით, სრულიად სწორხაზოვანი, პროზაული და,




პირდაპირ ვთქვათ, უნიჭო სიტყვათწყობა გამოვიდოდა, რომლითაც მხოლოდ იმას მივაღწევდით, რომ **ბატონი იაკობ ლეჟავა** არ აღელდებოდა და **ერთბაშად ორ რედაქციაში** არ აფრენდა წერილს „ასავალ-დასავალისეული“ ტერმინის უარსაყოფად.

ისე, **ბატონ ლეჟავას,** რომელსაც მიაჩნია, რომ **დასი** მხოლოდ დადებითი შინაარსის მქონე სიტყვებს უნდა შეუწყვილდეს, მარტო „ასავალ-დასავალისეული“ ტერმინის — **ფარული დასის** წინააღმდეგ გალაშქრება კი არა, ქართულ საისტორიო წყაროებთან ჭიდილიც მოუწევს, რადგან იქ თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალები **„ყუთლუ-არსლანის დასად“** არიან წოდებული, ხოლო თავად მოვლენა — სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალთა აჯანყება — **„ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლად“** მოიხსენიება.

არადა, **ბატონი ლეჟავას** ლოგიკით, თამარის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალებისათვის, რომლებიც, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს — ე.წ. კარავის შექმნას აპირებდნენ და მეფისათვის მხოლოდ ნომინალური ძალაუფლების დატოვება უნდოდათ, მემატიანეს **ყუთლუ-არსლანის დასის** მაგივრად **ყუთლუ-არსლანის ბანდა** უნდა ეწოდებინა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **პატივცემული იაკობ ლეჟავა** თვითონაც სულ ტყუილად გაისარჯა და **ერთბაშად ორი გაზეთის ფურცლებიც** ფუჭად მოაცდინა, რადგან „ასავალ-დასავალისეული“ ტერმინი — **ფარული დასი** — შინაარსითაც და ფორმითაც ზუსტად გამოხატავს იმას, რასაც ე.წ. **დიფ სთეითი,** ანუ ამერიკული სახელმწიფოს კულისებსა თუ იატაკქვეშეთში მოქმედი ბოროტი და შავბნელი ძალა წარმოადგენს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **დიფ სთეითი** თავისი მსახვრალი საქმიანობის შენიღბვას დემოკრატიით, კანონის უზენაესობით, ლიბერალიზმით, პოლიტიკური პლურალიზმით, ადამიანის უფლებებითა და სხვა მსგავსი კეთილშობილური ცნებებით ცდილობს, ტერმინი **ფარული დასი** მას **იაკობ ლეჟავასეული** გაგებითაც კი ზედმიწევნით მიესადაგება.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, **დიფ სთეითს** სწორედ რომ **ფარული დასი** უნდა ეწოდებოდეს!




თქვენ, **ბატონო იაკობ,** როგორც თავად წერთ, თავისუფლად შეგიძლიათ, **მსახიობთა დასი იხმაროთ** და **მუსიკოსთა დასიც იხმაროთ,** მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ **პოლიტიკურად ვიხმაროთ ფარული დასი,** რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა და რომელიც არამხოლოდ ამერიკულ, არამედ ქართულ სახელმწიფოსაც უთხრის ძირს!

**დონალდ ტრამპის** ცნობილი სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, **თუ ჩვენ არ ვიხმართ ფარულ დასს, მაშინ ფარული დასი იხმარს საქართველოს!**

და თქვენ რომლის **ხმარებას** ემხრობით, ბატონო იაკობ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად **ერთბაშად ორ გაზეთს ნუ იხმართ,** ერთის გამოყენებაც საკმარისი იქნება!

**თქვენ, ბატონო იაკობ, როგორც თავად წერთ, თავისუფლად შეგიძლიათ, მსახიობთა დასი იხმაროთ და მუსიკოსთა დასიც იხმაროთ, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პოლიტიკურად ვიხმაროთ ფარული დასი, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა და რომელიც არამხოლოდ ამერიკულ, არამედ ქართულ სახელმწიფოსაც უთხრის ძირს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**, *ექსპერტი*



ჩვენ **ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ.** უცებ, უახლოეს 2-3 თვეში, ეკონომიკა არ ჩამოიშლება, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, თანდათან შენელდება და **ერთ დღეს შესაძლოა, მართლაც კუპონად იქცეს ლარი.**

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**, *ანალიტიკოსი*



მსოფლიოში **კონსერვატიზმსა და ლიბერალიზმს შორის ბრძოლა,** შეიძლება ითქვას, შუა გზაშია, ჩვენ კი ამ დროს მკაფიოდ კონსერვატიზმის მხარეს ვართ. **თუკი ლიბერალიზმი გაიმარჯვებს,** ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებით და რევოლუციის დაკვეთა განმეორდება, **თუკი კონსერვატორები გაიმარჯვებენ,** ხელისუფლების გარედან შეცვლის მოტივიც განელდება და პროტესტებიც ჩაქრება.

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**, *ანალიტიკოსი*



**არ გვყავს დღეს ისეთი პოლიტიკური ლიდერები** პარტიების სათავეში, როგორებიც თავის დროზე იყვნენ, ვთქვათ, **გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ჟვანია. ზოგს ავტორიტეტი ჰქონდა, ზოგს — დიდი რეიტინგი, ზოგსაც — ძალიან დიდი მხარდაჭერა,** მაგრამ ასეთი გამოკვეთილი ლიდერები ჩვენ არ გვყავს ახლა ოპოზიციაში, რომ ვიღაცამ ვიღაცასთან დაჯდომა იუკადრისოს.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**, *საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



საქართველოში დიდი მოლოდინია — **ტრამპი მოგვხედავსო!** მთავრობა ამბობდა — **როგორც კი მოვა, დაგვლაგდებითო!** მეორე მხარე გაიძახოდა — **ეგრევე სანქციებს დაადებს „ოცნებასო“.** საქართველოსთვის ახლა მას, ცხადია, არ სცხელა. გრანდიოზული გეგმები აქვს, **კანადის შემოერთებით დაწყებული, გრენლანდიის ყიდვით დამთავრებული** და რა დროს საქართველოა!

„კვირის პალიტრა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



ბერას კლიპის გადაღება

# თლა დუნდუკები

გავიგეთ, რუსთაველის თეატრში **ბერა ივანიშვილის** კლიპის გადაღება **იმართებოდა** და გასაპროტესტებლად მოვედით.

კლიპის გადაღება **„იმართებოდაო"...** ამას წინებზე ახალი წელი რომ **გაიმართა,** იმის შემდეგო... იმის წინ კიდე გიორგობა რომ **გაიმართა** და ბერამ **სანთლის დანთება განახორციელა,** ისიც გავაპროტესტეთო.

ადრე ვფიქრობდი — ამ ბალღებს დავალებები ვერ მიაქვთ აქციებამდე ხეირიანად, უნიჭოები არიან-მეთქი... არადა, დროთა განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ამათ პედაგოგები ჰყავთ ძაან **კრეტინები.** არა, **კრეტინობა** მაგათთვის რანგია! მგონი, **თლა დუნდუკები** უნდა იყვნენ!

ჰო, თვითონ კი არიან **თლა აბდლები,** მაგრამ პატრონები ჰყავთ **თლა დუნდუკები!**

# ახლა მთავარია, ესეც ილიაუნში არ აღმოჩნდეს!



*თამარ კორძაია:*

**მივედი გადაწყვეტილებამდე, რომ შევწყვიტო პოლიტიკური საქმიანობა**

**მივედი გადაწყვეტილებამდე, რომ პოლიტიკური საქმიანობა შევწყვიტოო...** ეს ტრაგიკული სიტყვები აღმოხდა **თამარ კორძაიას** და ვერაფრით გამიგია, როგორ დეგვემართა მაი ამბავი? სად ვიყავით ჩვენ? რას ვაკეთებდით? რა გამოგვეპარა? ამაზე პასუხს ჩვენი ევროპიული მომავალი მოგვთხოვს და ძალიან მკაცრადაც მოგვთხოვს, იგი ამას არ გვაპატიებს!

დააკვირდით **თამარს** გამომეტყველებაზე, განა ვერ გრძნობთ, რა ალმური ტრიალებს მის შიგნეულობაში? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ უსაქმურობდა, როცა **ანი წითლიძესთან** და **ხათუნა სამნიძესთან** ერთად დააჭენებდა და პრინციპული ქალის როლს თამაშობდა?

**თამარ,** შენ **ხიდაშელის** რეკომენდაციით **არსაიდან მოხვედი, არსად იყავი და არსად მიდიხარ.** ახლა მთავარია, შენც **ილიაუნში ლექტორობა არ დაიწყო** და ბალღები არ გააფუჭო!

# დედოფალი შიშველია!



დაუბარებია თავისთან **სალომე ბაბოს** ჩამოწერილი ბოგანოები და თავის გვერდზე წაუწერნია — **შეხვედრა ქართველ დიპლომატებთანო.**

ჰა, ჰა, ჰა!

ერთი უყურეთ ამ ქართველი **„დიპლომატების"** სახეებს — დანა პირს არ უხსნით, თავები აქვთ ჩაქინდრული, აღარ იციან, მტკვრის რომელ მონაკვეთს მისცენ თავი... ან იქნებ რიონში სჯობდეს, ეგებ ალაზანში სჯობდეს? ეგებ არაგვში სჯობდეს? ეგებ **ჩაილურში** სჯობდეს? **აი, მართლა, ყველაზე უპრიანი ეს ბოლო იქნება, მაინც ჩაილურის წყალი აქვთ დალეული.**

☺

დღეს ქართველი **„დიპლომატები"** დაიბარა, ხვალ მთავრობის წევრებსაც დაიბარებს **მამუკა ხაზარაძისა** და **ბრიშა ბეზელიას** მეთაურობით, მერე პრემიერ-მინისტრ **ჭუჭუ ვაშაძესაც** შეხვდება. ჰო, საგარეო საქმეთა მინისტრ **სალომე მეხრიშვილიანთანაც** გამართავს მოლაპარაკებებს. ნუ დაუშლით! ვინძლო, გახანგრძლივებული კლიმაქსის კვალობაზე ხვალ **თამარ დედოფლადაც გამოაცხადოს თავი და ეგეც „ვივამედის" ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგვიხდეს გადასაყვანი!**

# ТИ КУДИ ОДіССЕЙ?



*კოტე ყუბანეიშვილი:*

**ხვალ მე და ჩემი მეუღლე მივდივართ საკონსულოში, ვწვავ ქართულ პასპორტს და ვხდები უკრაინელი, მივდივარ ოდესაში, ვყიდი სახლს, უკრაინას უჭირს და მე აქ ლექსები ვწეროო?**

წადილი ვერ აისრულეს და გარბიან. ოღონდ ისე გარბიან, თან გმირულობას თამაშობენ... **ერთი თქვენიცო, არ გინდოდათ დემოკრატიაო? არ გინდოდათ ევროპიული მომავალიო? მაშინ იცხოვრეთ ჩელიაბინსკშიო, ჩვენ წავალთ, უკრაინას მივხედავთ, მეტის ღირსები თქვენ არა ხართო!**

ერთი კურსელი მყავდა, ლექტორი რომ ჰკითხავდა, რატომ არ სწავლობო, პასუხი მზად ჰქონდა: **რაც ვისწავლე, თქვენთვის ეგეც მეტიაო!**

**კოტიკოც** ეგრე გველაპარაკება, — რაც საქართველოში ვიცხოვრე და ლექსები გიწერეთ, თქვენთვის ეგეც მეტიაო!

ჰო, ეგრე ქენი, **კოტისეი ხარ თუ ოდისეი!** ჰო, ჩვენ შენი ღირსები არ ვართ, წადი, დაადექ გზასა, აქ სახლი გაყიდე, **ოდესაში** იყიდე, ორი ცალი მოგივა, ერთს დაგიბომბავენ, მეორეში გაქცუნდები, მეორეს დაგიბომბავენ, პირველში გამოქცუნდები, თოფი აიღე, რუსებს დაუშინე, მაგრამ ყურში არ გაირტყა, **ეგ ერთიღა დაგრჩა!**

# ჭუჭუ ვაშაძე და ნიკუტუ გვარამია ამას აიტანდნენ?

განცხადებები დაწერეს, **პარლამენტიდან წასვლა მოითხოვეს,** უმრავლესობამ თხოვნა დაუკმაყოფილა და ახლა აცხადებენ — **ეს რეპრესიების მორიგი ტალღააო!**

გესმით?

**განცხადებები თვითონ დაწერეს, მერე ეს განცხადებები საკუთარი ხელით მიიტანეს და პარლამენტის კანცელარიაში ჩააბარეს. ღმერთი, რჯული, მე პირადად არაფერი დამიძალებია... როგორც ვიცი, არც თქვენ დაგიძალებიათ,** მაგრამ, იცით, ამათ როგორ უნდოდათ?

„შკოლაში" არ უნდა ევლოთ, წერა-კითხვა არ უნდა ესწავლათ, გაკვეთილები არ უნდა ჩაებარებინათ და **ხელფასები კიდე უნდა აეღოთ!** საახალწლოდ ხო აიღეს და ინდაურები იყიდეს, მოეწონათ, კიდე უნდოდათ. უმრავლესობამ კიდე — არაო, ჩვენი ფეხებიო, ვერ მოგართვითო, **შალვა პაპუაშვილმა** სუ სათითაოდ დაჰკრა ჩაქუჩი ყოველი გვარის გამოცხადებაზე და საპნის ბუშტივით გააქრო ამათი ხელფასებიცა და იმუნიტეტებიც.



☺

არა, **განცხადებები თვითონ დაწერეს, გაგვიშვითო და ახლა ჯღნავიან** — „ქართული ოცნება" რეპრესიებს ანხორციელებსო.

ვააახ, **უმრავლესობას უარი რომ ეთქვა და არ გაეშვა, ეგ უფრო არ იქნებოდა რეპრესიები?**

აბა, წარმოიდგინეთ, ადამიანს წასვლა უნდა და არ უშვებენ, ეგ ხო მისი უფლებების დარღვევაა?! **ჭუჭუ ვაშაძე და ნიკუტუ გვარამია ამას აიტანდნენ?**

# ბავშვებო, ეგ ლევან ლოლობერიძის ქუჩაა და ტაძარში არ მიგიყვანთ!

ხომ დაიკვეხა **ლანა ღვინიაშვილმა** — მე და **დოი** კიდევ მრავალ თაობას **აღვზრდითო?** მართალია, **დოი** ამჯერად „მივლინებაშია" წასული, რეგიონებში ხალხი უნდა აღატყინოს, მაგრამ ეს მაინც არ ჩერდება, **„ღზრდის"!**
ნეტავ ამ ბავშვების თავებში ჩამახედა... ნეტავ თუ იციან, **ვის ნაშიერთან** დგანან და ხელში რა უჭირავთ? სასაცილო არ არი, მაგრამ სიმწრით მაინც მეცინება... **ლევან ლოლობერიძის** — ლეგენდარული **მოძალადისა და უამრავი ქართველის დამხვრეტის შვილს** ხელში წებოიანი ქაღალდი დაუჭერია წარწერით: **„ქოცობა ძალადობაა".** ამას დაუჭერია, კაცო, **ლანა ღვინიაშვილს,** რომელმაც რუსეთიდან ყველა სიკეთე მიიღო, ყველანაირი „მენდლები" გამოზიდა, ყველანაირი ჟღარუნ-ჟღურუნები დაიკიდა მკერდზე და ახლა სხვებს ეძახის — თქვე რუსეთუმეებოო!
როგორ **ღზრდის ლანა ღვინიაშვილი დოისთან** ერთად ამ ბავშვებს? **„აღზრდა"** ნამეტანი ხმამაღალი ნათქვამია... უფრო სწორად, უადგილოდ ნათქვამია... ფაქტია, ის ბავშვებს ამახინჯებს, გონებას უმღვრევს, მათ ცინცხალ აზროვნებას აუკულმართებს.
აბა, ნახეთ: **მამამისი იყო მამალი ბოლშევიკი და მოძალადე?**
იყო! **თვითონ იყო „სუსურუკუს" მოტრფიალე და მსახური?**




იყო! **ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში დიდი წვლილი შეიტანა?**
შეიტანა! **როგორც ამბობენ, ზვიადის წასვლის შემდეგ იმელის შენობაში ტატრაყუნამ იცეკვა?**
როგორც ამბობენ, იცეკვა! **ახლაც ბებერ გავას ხომ ათამაშებს და ამ ხელისუფლების დამხობას ხომ ცდილობს?**
ცდილობს!
რომელი ერთი ჩამოვთვალო?
**მისას რეჟიმი ხალხს რომ აუპატიურებდა და ხოცავდა, ხმა ამოუღია?**
არ ამოუღია!
ამ დროს **ლანა ღვინიაშვილი** ამ უკვე დამახინჯებულ ბავშვებს უყვება, რომ ის არის **გმირი მამის შვილი...** რომ თბილისში **მამამისის სახელობის ქუჩაც** კი არსებობს... რომ თვითონ სახელოვანი და ხალხისთვის საყვარელი რეჟისორია... რომ ის ყოველთვის იდგა და დგას სიმართლის მხარეს... რომ მას ყოველთვის სძაგდა და სძაგს რუსეთი და... ამ ბავშვებსაც სჯერათ. მეტიც, ვინაიდან ამ ბავშვებს პატრონი არ ჰყავთ, **ლანა ღვინიაშვილთან** ერთად დგანან და ხელში რაღაც სისულელეები უჭირავთ.

☺

ნუ ივლით, ბავშვებო, მაგ გზით, ეგ **ლევან ლოლობერიძის** ქუჩაა და ტაძარში არ მიგიყვანთ!



## ნოდარ ლადარია:

### მზია ამაღლობლის საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გირგვლიანის, რობაქიძისა და სხვების ამბები ერთად აღებული

# ეს ნაგავიც ლადარიაში გვერგო?

შეიძლება, ვიღაცის გათეთრება გინდოდეს, შეიძლება, რაღაცის გაუფასურება გინდოდეს, შეიძლება, რაღაც სიტუაცია არ გევასებოდეს, მაგრამ ეს რანაირი გამოხტომაა?!

**რა მზია, რა მათე, რომელი ზეზვა, შე ნაგავო?** ვის ადრი, რას ადრი, ვის ამეტებ, რას ამეტებ — **სად ეს ჭუჭულიკა ქალი და სად კიდე სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩახოცილი ბიჭები?**

☺

რა უნდა უქნას ახლა ამ ყეყეჩს კაცმა?

არ ვიცი... **უფალს ამისთვის უკვე ყველაფერი უქნია, სამაგალითოდ დაუსჯია და ახლა იმ ყმაწვილებს სჯის, ვისაც ლექციებს უკითხავს!**

# სად გაქრა კუილიუსი?



## ჯო უილსონი:

### რიჩარდ კოლსთან შეხვედრაზე განვიხილეთ, როგორ შეგვიძლია ქართველ ხალხს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მიღწევაში დავეხმაროთ



ყველაფერი გავიგე, მაგრამ გადამთიელმა **უილსონმა** ვინმე ლატვიელ ევროპარლამენტარ **კოლსთან** საქართველოში არჩევნების ჩატარებაზე რატომ უნდა მოილაპარაკოს?

**რა, სამსახურებრივად ევალებათ?**

**ვინმემ დაავალათ?**

**ვინმემ სთხოვათ?**

**ვინმემ უბრძანათ?**

კაი, ჰო, ეს გადამთიელი **უილსონი** აშშ-ელი კონგრესმენია და, როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენზე ფიქრით აღამებს და ათენებს, მაგრამ ეს **„ჭ" კლასის კოლსი** ვინ ჩვენი ფეხებია?

ეს რას ნიშნავს, გრანდი ევროპარლამენტარები ჩაგვეხსნენ თუ გაიპარნენ? სად არის **გიჟიმანტასი?** სად გაუჩინარდა **სუპერ-მარკეტა?** სად გაქრა **კუილიუსი?** გაიპარნენ? სად გაიპარნენ? **ან იქნებ გაეპარათ?**



# მოგზაურობა ქართული სირცხვილის დერეფნებში სალომე ზურაბიშვილთან და მამუკა ხაზარაძესთან ერთად

***„ასავალ-დასავალში“ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოღალატე ქალს არ იცნობს და სალომე ზურაბიშვილი პირველი ეთნიკური ქართველი ქალია, რომელმაც სამშობლოს უღალატა. ამის სადემონსტრაციოდ მისი უკანასკნელი განცხადებაც კმარა, რომლითაც ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტს მიმართა და დონალდ ტრამპი გააქეზა — რამდენად ძლიერია ამერიკა, თუ 3,7-მილიონიან საქართველოს პლაცდარმად არ გამოიყენებ და უფლებას მისცემ, დასავლეთს ზურგი აქციოს და ჩინეთსა და რუსეთს შეეკრასო?!***



**ამ ხელისუფლებამ ზურაბიშვილი და ხაზარაძე არათუ მოიძულა და პატივისა და დიდების გარეშე დატოვა, არამედ ერთი წუმპიდან ამოათრია და პრეზიდენტად აკურთხა, ხოლო მეორეს ნაძარცვ-ნაალაფარიც დაულოცა და მისი სახის შენარჩუნებაც სცადა, როცა მამუკა ხაზარაძესთან „ასავალ-დასავალს“ სასამართლო პროცესი წააგებინა!**

ამერიკულ გამოცემას, რომელმაც **სალომე ზურაბიშვილის** ზემოხსენებული სამარცხვინო და მოღალატეობრივი განცხადება ჩაასწორა და შეალამაზ-შეპუდრა, მელანიც არ შეშრობოდა, როცა ხანდაზმულმა თაღლითმა **მამუკა ხაზარაძემ** ოკეანის გაღმა მორიგი ღალატის უსტარი აფრინა — **ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ზეწოლა უნდა განახორციელოს „ქართული ოცნების“ არალეგიტიმურ, პროირანულ და პროჩინურ რეჟიმზე, რათა შავი ზღვის რეგიონში თავისი სასიცოცხლო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები დაიცვასო!**

**მისტერ ტრამპმა** რომ არ იცოდეს, ვისი თვალი დაჰყურებს კრემლის კენწეროდან კავკასიას, აჰყვებოდა ამ ორი მოღალატე ტუტრუცანის მიერ გაგზავნილ „დანოსებს“, კიდევ უფრო გაამძაფრებდა „იუსაიდის“, „ნედის“, „აირაის“, „ენდიაის“, „ფრიდომ ჰაუსისა“ და „ცერეუს“ სხვა ბუნაგებში გამოწვრთნილი ადგილობრივი აგენტების შემოსევას და საქართველოს ადგილზე ერთ დიდ ორმოს დატოვებდა, მაგრამ აშკარაა, რომ მას ფული **მამუკა ხაზარაძის** მსგავსად, ამერიკელი პენსიონერებისა და მეანაბრეების ძარცვის ხარჯზე არ უშოვია, ამ მხრივ სინდისი სუფთა აქვს, არსად ეჩქარება და ხელისუფლებაში არა ახალი ომების გასაჩაღებლად, არამედ გაჩაღებული ომების დასამთავრებლად მოვიდა.

**ნომერ პირველი მოღალატე ქალისა და ხანდაზმული თაღლითის ზემოხსენებულმა წერილებმა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან არაერთი სამარცხვინო ეპიზოდი გაგვახსენა, როცა სულგაყიდული ქართველები სამშობლო ქვეყნის მტრობაში თვით შემოსეულ დუშმანსაც კი არ უდებდნენ ტოლს, რითაც მონღოლების, ყიზილბაშების, თურქებისა და რუსების საყოველთაო გაკვირვებას იწვევდნენ.**

ამ მხრივ მართლაცდა საქრესტომათიო ფაქტია **1260 წელს,** მონღოლების მძლავრობის დროს, მომხდარი ამბავი, როცა საქართველოს მირონცხებული **მეფე დავით მეშვიდე ულუ** დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყდა. მეფეს მხოლოდ სამცხის სპასალარი **სარგის ჯაყელი** დაუდგა გვერდით, ხოლო დანარჩენმა მთავრებმა ჯავახეთში გამართულ სამეფო თათბირზე მონღოლებს დაუჭირეს მხარი. ილხანთა უზენაესმა მბრძანებელმა **ჰულაგუ-ყაენმა** აჯანყებული **დავით ულუსა და სარგის ჯაყელის** წინააღმდეგ **არღუნ ნოინი** გამოგზავნა 20-ათასიანი ლაშქრით მაშინ, როცა **სარგისისა** და მეფის განკარგულებაში მხოლოდ 8 ათასი მესხი მეომარი იყო. 1260 წლის დეკემბერში ბორჯომის ხეობაში, ახალდაბასთან, საშინელ ყინვაში, პირველ შეტაკებაში ქართველებმა იმარჯვეს და 1500 მესხმა ცხენოსანმა 6 ათასი მონღოლი სამარცხვინოდ გააქცია. პირველი გამარჯვებით გათამამებულმა **სარგის ჯაყელმა** გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და ქართველები გენერალური ბრძოლისთვის მტკვრის ვიწრობებიდან გამოიყვანა. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა შინდარასთან — მდინარე ფრონეს შუა წელზე. აქაც ქართველებმა იმარჯვეს და მონღოლები ვირთხებივით მიიმწყვდიეს კუთხეში. **არღუნ ნოინი** გაქცევასაც კი აპირებდა, მაგრამ ჟამთააღმწერლის ცნობით, ამ დროს მონღოლთა ბანაკში მყოფ მოღალატე ქართველებს გამოეყო ქართველი დიდებული, ახალქალაქის ერისთავთერისთავი და საქართველოს ყოფილი მეჭურჭლეთუხუცესი **კახა თორელი,** რომელიც **არღუნ ნოინთან** მივიდა და უთხრა — **„ქართველნი მეცნიერნი ვართ ომისა მათისანი, ჩუენ ვბრძოდით თქუენ წილ!“**

ანუ მოღალატე **კახა თორელმა** მონღოლებს მოახსენა — **ჩვენ, ქართველებმა, თქვენზე უკეთ ვიცით, როგორ უნდა დავამარცხოთ ქართველები, ამიტომ თქვენ ნაცვლად ჩვენ ვიომებთ, მიგვიშვითო!**

მონღოლები სახტად დარჩნენ... ხოლო მოღალატე ქართველების ტაქტიკამ გაჭრა და 1260 წლის დეკემბერში **კახა თორელმა** შინდარასთან მართლაც დაამარცხა აჯანყებული **დავით ულუ** და მისი 8-ათასიანი ლაშქარი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მონღოლთა 20-ათასიან ლაშქარში მონღოლი მხოლოდ 2 ათასი თუ იყო, დანარჩენი 18 ათასი კაცი მოღალატე ქართველები იყვნენ!

ქართული ისტორიოგრაფია **კახა თორელის** ღალატის მიზეზს იმით ხსნის, რომ მეფე **დავით მეშვიდე ულუმ** მას საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესობა ჩამოართვა და ეს უმნიშვნელოვანესი ტიტული თავის ერთგულ **სარგის ჯაყელს** უბოძა. ქართველი მეცნიერების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ მეჭურჭლეთუხუცესობის დაკარგვამ აქცია **კახა თორელი** მოღალატედ და მონღოლთა მეკავშირედ.

მოკლედ, **კახა თორელის** ღალატის მიზეზის პოვნა შესაძლებელია და ისტორიკოსები ამ საკითხზე ასე თუ ისე თანხმდებიან, მაგრამ

## როცა მომავალი დროის ქართველი მეისტორიე სალომე ზურაბიშვილისა და მამუკა ხაზარაძის ღალატის მიზეზების შესწავლას დაიწყებს, მერწმუნეთ, დიდი თავის ტკივილი და ხათაბალა ელის, რადგან ღალატის ნივთიერი მიზეზის პოვნა შეუძლებელია!

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ხელისუფლებამ **ზურაბიშვილი და ხაზარაძე** არათუ მოიძულა და პატივისა და დიდების გარეშე დატოვა, არამედ ერთი წუმპიდან ამოათრია და პრეზიდენტად აკურთხა, **ხოლო მეორეს ნაძარცვ-ნაალაფარიც დაულოცა და მისი სახის შენარჩუნებაც სცადა, როცა მამუკა ხაზარაძესთან „ასავალ-დასავალს“ სასამართლო პროცესი წააგებინა!**

**ზურაბიშვილი და ხაზარაძე** სიმონ მეფის მოღალატე ძმის დავით ბატონიშვილის სულიერი შთამომავლები არიან. 1569 წელს **სიმონ მეფე** მოღალატე **კახაბერ ყორღანაშვილის** წყალობით, ყიზილბაშებმა ფარცხისთან რომ დაატყვევეს და ალამუთის გზას გაუყენეს, მისი ძმა, გათათრებული **დავით ბატონიშვილი,** ანუ **დაუდ-ხანი,** რომელმაც ცნობილი სამედიცინო ტრაქტატი — **„იადიგარ დაუდი“** (დაუდის სახსოვარი) დაწერა, ყიზილბაშებთან გაიქცა, მათ ჯარს სათავეში ჩაუდგა და ქართლის ტახტი დაიჭირა. **სალომე ზურაბიშვილი და მამუკა ხაზარაძე** ის პირველი მოღალატე ქალი და პირველი თაღლითი კაცია, რომლებმაც უკადრებელი იკადრეს. სხვათაშორის, მათმა სულიერმა წინაპარმა **ალექსანდრე კახთა მეფემ,** ანუ **სიმონ მეფის ცოლისძმამაც** უკადრებელი იკადრა, როცა 1580 წელს დიღომში ლაშქრის გარეშე მყოფ **სიმონ მეფეს** თავს დაესხა. სიმონი გაიქცა და ცოლი — **დედოფალი ნესტან-დარეჯანი,** რომელიც კახეთის მეფე **ლევან მეორის** და იყო, თან არ გაიყოლა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ძმა დას არრას ავნებდა... მოხდა გაუგონარი ფაქტი, **ლევან კახთა მეფემ** თავისი და, ქართლის დედოფალი და სიმონ მეფის ცოლი **ნესტან-დარეჯანი** შეიპყრო, საცვალი გახადა, შუბზე წამოაგო და ასე „გამარჯვებული“ და ბედნიერი წავიდა კახეთისკენ! **ვახუშტი ბატონიშვილი** გაოგნებული წერს — **„იავარჰყო დედოფალი დაი თუისი და ნიფხავი მისი ააცუა შუბსა ზედა და წარვიდა; იკადრა უკადრო, არა ჯერ საყოფი, ვითარცა ავაზაკმან!“**

ქართლის უბედური დედოფალი და გმირთაგმირი სიმონ მეფის ცოლი — **ნესტან-დარეჯანი** საკუთარი ძმისგან, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული, ზემოხსენებულ უპატიებელ და დამამცირებელ მოპყრობას, ცხადია, არ იმსახურებდა, მაგრამ **სალომე ზურაბიშვილი და მამუკა ხაზარაძე,** როგორც მოღალატეები, ღირსნი არიან, დღევანდელმა ხელისუფლებამ მართლაცდა უნიფხვოდ დატოვოს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით! განსაკუთრებით ეს ეხება **მამუკა ხაზარაძეს,** რომელმაც, **შევარდნაძის** ხელდასხმით, ქართველ პენსიონერებს დასამარხი ფული აართვა. მასზე საუბრისას სულხან-საბა ორბელიანის პაპა — **ყაფლან ორბელიშვილ-ბარათაშვილიც** გვახსენდება, რომელიც ოღონდაც თავისი ბიძაშვილებისთვის მიწები წაეგლიჯა, ყიზილბაშების სამსახურში ჩადგა და 1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ბრძოლაში **ისა-ხან ყორჩიბაშთან და სარუ-ასლანთან** ერთად ქართველების წინააღმდეგ იქნევდა ხმალს. მარაბდის ველზე 9 ათასი ქართველი ვაჟკაცის აკუწვა და სიკვდილი სწორედ **ყაფლან ორბელიშვილ-ბარათაშვილისა** და მისთანა ნაძირალების კისერზეა.

ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ სალომე ზურაბიშვილი მილიონების მოსახვეჭად, ხოლო მამუკა ხაზარაძე ნაძარცვ-ნაალაფარი მილიონების დასაცავად და გადასარჩენად **ისა-ხან ყორჩიბაშის** ბანაკში ყიზილბაშების გვერდით დადგებიან და საქართველოს გადასაჩეგად არაფერს დაიშურებენ?

**მამუკა ხაზარაძე** იმ კალიბრისა და რანგის თაღლითია, როგორიც **ალექსანდრე ჭავჭავაძის** მამა, პეტერბურგის საიმპერატორო კარზე ერეკლე მეფის ელჩი, თავადი **გარსევან ჭავჭავაძე** იყო! ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ **გარსევან ჭავჭავაძემ,** რომელიც **გიორგი მეთორმეტის** ბეჭედსა და ფაქსიმილეს ფლობდა, მისი წერილი შეცვალა და იმპერატორ პავლეს ასეთი თარგმანი წარუდგინა — **მე, მეფე გიორგი მეთორმეტე და ჩემი შვილები, ქართლ-კახეთის ტახტს ჩვენი ნებით ვტოვებთ, ვითხოვთ რუსეთში გადასახლებას და იმის შესაბამის პენსიას, რა ადგილ-მამულებიც გვაქვს. დაე, სამეფოს განაგებდეს ის, ვინც თქვენი რჩეული იქნებაო!**

მოღალატე და თაღლითმა **გარსევან ჭავჭავაძემ იმპერატორ პავლეს** ქართლ-კახეთის ტახტზე საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა, მაგრამ, რადგან **გარსევანი** იმპერატრიცა **ეკატერინა მეორის** ფავორიტი და ნათლიმამა იყო, ხოლო პავლეს საკუთარი დედა — განსვენებული **ეკატერინა მეორე** ეზიზღებოდა, ეს ამბავი ჩაფლავდა.

გასახსენებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ნომერ პირველი მოღალატე ქართველის და ხანდაზმული თაღლითის მიერ ამერიკაში გაგზავნილმა „დანოსებმა“ ამჯერად სწორედ ეს ამბები გამახსენა!

შუბების სიმწირისა რა ვთქვი, თორემ მაინც იმის მომხრე ვარ, რომ მოღალატეთა არამარტო ნიფხვები, არამედ თავებიც შუბის წვერზე იქნეს წამოცმული!

***დიტო ჩუბინიძე***

## ზურაბიშვილი და ხაზარაძე სიმონ მეფის მოღალატე ძმის დავით ბატონიშვილის სულიერი შთამომავლები არიან!

***ქართულ პოლიტიკაში, მეტადრე, მის ოპოზიციურ ფლანგზე უნიჭო პოლიტიკოსები კონა შაურად იშოვება, თუმცა, მათში განსაკუთრებული უნიჭობითა და პრიმიტივიზმით გამორჩეული გახლავთ პარტია „ლელოს" ლიდერი მამუკა ხაზარაძე, რომელიც პოლიტიკაში ყოფნის თითქმის 6 წელიწადს ითვლის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერც ვერაფერი ისწავლა და ვერც ვერაფერი დაივიწყა.***




მამუკა ხაზარაძე - აშშ-მა უნდა განახორციელოს ზემოქმედება „ქართული ოცნების" პროირანულ და პროჩინურ რეჟიმზე, რათა დაიცვას თავისი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

# როგორი პრო ხართ თქვენ, «ლელოს» უსტაბაშო?

**ხაზარაძის პოლიტიკური უნიჭობა** მის ყოველ განცხადებასა თუ ქმედებაში გამოსჭვივის, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო და ხელშესახები მაშინ ხდება, როცა გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე იწყებს საუბარს.

მაგალითად, **ხაზარაძის პოლიტიკური უნიჭობის** მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს მის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებული განცხადება:

***„აშშ-მა უნდა განახორციელოს ზემოქმედება „ქართული ოცნების" არალეგიტიმურ, პროირანულ და პროჩინურ რეჟიმზე, რათა დაიცვას თავისი სასიცოცხლო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის რეგიონში".***

მერე რა, რომ **მამუკა ხაზარაძე** ამერიკაში კი არა, საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, პოლიტიკურ საქმიანობასაც ამერიკაში კი არა, საქართველოში ეწევა და გვარ-სახელიც ამერიკული კი არა, ქართული აქვს? იგი, როგორც პირწავარდნილ უსამშობლოს, უცხო ძალების გავლენის აგენტსა და მეხუთე კოლონის წარმომადგენელს შეეფერება, საქართველოს ინტერესების მაგივრად, ამერიკის ინტერესებზე დარდობს.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელმა, ფრანგმა, გერმანელმა ან სხვა ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის პოლიტიკოსმა, თუნდაც ოპოზიციაში იყოს და ხელისუფლებასთან პოლიტიკური ომი ჰქონდეს გაჩაღებული, საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე წინ სხვა ქვეყნის ინტერესები დააყენოს და უცხო სახელმწიფოს მიმართოს — შენი ინტერესების დასაცავად ჩემს ქვეყანაზე ზეწოლა მოახდინეო... მის პოლიტიკურ კარიერას იმწუთასვე წერტილი დაესმება და მისი პერსონა პოლიტიკურ სამარეში დაიმარხება.

ერთია, რომ **ხაზარაძე,** თავისი პოლიტიკური საქმიანობით, საქართველოს ინტერესებს აზიანებს და უცხო სახელმწიფოთა ინტერესებს ემსახურება, მაგრამ მეორეა მისი **პოლიტიკური უნიჭობა,** რომელიც საშუალებას არ აძლევს, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო და უცხო სახელმწიფოთა ინტერესების სასარგებლო საქმე შეფარულად და შენიღბულად მაინც აკეთოს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, **მამუკა ხაზარაძე** აგენტობასა და საქართველოს მტრობაშიც **უნიჭოა** და მის მიერ „ქართული ოცნების" **პრო**ჩინურ და **პრო**ირანულ რეჟიმად შერაცხვაც ამის პირდაპირი გამოძახილი გახლავთ!

რაკი **პრეზიდენტი ტრამპი** აშშ-ის მთავარ გეოპოლიტიკურ კონკურენტად ჩინეთს განიხილავს და პოტენციურ სამხედრო საფრთხეს ირანში ხედავს, ხოლო რუსეთის მიმართ აგრესიულ რიტორიკას არ იყენებს და პუტინის რეჟიმს მტრად არ მიიჩნევს, მამუკა ხაზარაძეს **თავისმა პოლიტიკურმა უნიჭობამ** უკარნახა — ახლა საქართველოს ხელისუფლებისათვის **პრო**რუსული რეჟიმის ძახილი პროდუქტიული აღარ არის, რადგან ამით ამერიკის ახალ ადმინისტრაციას „ქართული ოცნების" წინააღმდეგ ვერ განაწყობ, ამიტომაც, თუ გინდა, რომ ტრამპი ივანიშვილს გადაჰკიდო, „ქართულ ოცნებას" **პრო**ჩინური და **პრო**ირანული დაუძახეო!

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პრიმიტიული აზროვნება და **პოლიტიკური უნიჭობა** მარტო **ხაზარაძის** კი არა, მთელი ნაცოპოზიციის პრობლემაა. შესაბამისად, ხვალ **ტრამპმა** და მისმა ადმინისტრაციამ ამერიკის მთავარ მტრებად ბანგლადეში და მოზამბიკი რომ გამოაცხადონ, კოლექტიური ხაზარაძეები საქართველოს ხელისუფლებას **პრო**ბანგლადეშურ და **პრო**მოზამბიკურ რეჟიმს დაუძახებენ.

სხვათაშორის, **მამუკა ხაზარაძეს** საქართველოს ხელისუფლება **პრო**ირანულ რეჟიმად სულ რამდენიმე საათის მონათლული ჰყავდა, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** განაცხადა:

***„მინდა, რომ ირანი იყოს დიდი და წარმატებული ქვეყანა, თუმცა, ისეთი, რომელსაც არ შეუძლია, ჰქონდეს ბირთვული იარაღი. ცნობები იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები, ისრაელთან ერთად თანამშრომლობით, აპირებს, ირანი ნანგრევებად აქციოს, ძალიან გადაჭარბებულია. მე ბევრად მირჩევნია დამოწმებული ბირთვული სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც ირანს მისცემს მშვიდობიანად ზრდისა და განვითარების საშუალებას. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ამაზე მუშაობა და მოვაწყოთ ახლო აღმოსავლეთში დიდი ზეიმი, როდესაც ის ხელმოწერილი და დასრულებული იქნება. ღმერთმა დალოცოს ახლო აღმოსავლეთი!"***

აი, ასე ულმობლად და უმოწყალოდ გააცამტვერა აშშ-ის პრეზიდენტმა **მამუკა ხაზარაძისა** და კოლექტიურ ნაცსექტაში დაბუდებული სხვა **უნიჭოების** მთელი ძალისხმევა საქართველოს ხელისუფლების **პრო**ირანულ რეჟიმად შერაცხვის შესახებ.

აბა, როცა ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს — მინდა, რომ ირანი წარმატებული ქვეყანა იყოს, რომელთანაც სამშვიდობო შეთანხმებას მივაღწევთ და ახლო აღმოსავლეთში დიდ ზეიმს მოვაწყობთო, საქართველოს ხელისუფლებისათვის **პრო**ირანული რეჟიმის ძახილს რაღა აზრი აქვს?

ანდა რა ბედენაა, „ქართულ ოცნებას", აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის გასაგონად, **პრო**ჩინური რეჟიმი ეძახო, როცა იგივე პრეზიდენტი ტრამპი ჩინეთის შესახებ აცხადებს:

***„სი ძინპინმა დამირეკა. ვფიქრობ, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვექნება. ასე იყო ადრეც. ვფიქრობ, ერთად კარგად ვიმუშავებთ და შევთანხმდებით. იმედია, ჩინეთი დაგვეხმარება რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერებაში".***

ერთი სიტყვით, როცა **პრეზიდენტი ტრამპი** ჩინეთთან და ირანთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარებასა და გეოპოლიტიკურ თანამშრომლობაზე საუბრობს, **მამუკა ხაზარაძესავით უნიჭო უნდა იყო,** რომ ფიქრობდე — საქართველოს ხელისუფლებას **პრო**ჩინურსა და **პრო**ირანულს თუ დავუძახებ, ამით ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან საქმეს გავუფუჭებო!

ისე კი, ძალიან საინტერესოა, თავად **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად ჩინურ და ირანულ კომპანიებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რომელი **პროა** — **პრო**ჩინელი თუ **პრო**ირანელი?

გავიხსენოთ მისი განცხადება, რომელიც ანაკლიის სანაპიროზე მდგომმა გააკეთა:

***„არის ძალიან დიდი დაინტერესება ირანის მხრიდან, არის ძალიან დიდი დაინტერესება იაპონიის მხრიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩინურ უზარმაზარ კომპანიებთან, რომლებიც იქნებიან ჩვენი კომპანიის აქციონერები".***

თუ საქართველოს ხელისუფლება იმიტომ არის **პრო**ჩინური რეჟიმი, რომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა და ანაკლიის პორტის ასაშენებლად ჩინელი ინვესტორები მოიწვია, მაშინ როგორი **პრო** გამოდის **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც ანაკლიის პორტის ასაშენებლად „საკმაოდ დიდ მოლაპარაკებებს" აწარმოებდა „ჩინურ უზარმაზარ კომპანიებთან"?

თუ „ქართული ოცნება" **პრო**ირანულ რეჟიმად იმის გამო უნდა შეირაცხოს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** ავიაკატასტროფაში დაღუპული ირანის პრეზიდენტის **ებრაჰიმ რაისის** დაკრძალვას დაესწრო, სადაურ პროდ უნდა მივიჩნიოთ **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა — ირანის მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესებაა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობაში მიიღოს მონაწილეობაო?




1932 წელს, როცა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მძიმე ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა და ე.წ. დიდი დეპრესიის პერიოდი იდგა, ცნობილმა ევროპელმა და ამერიკელმა მწერლებმა და პუბლიცისტებმა ასევე ცნობილ რუს მწერალსა და პუბლიცისტს **მაქსიმ გორკის** თხოვნით მიმართეს, საჯაროდ გამოეთქვა საკუთარი აზრი გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მსოფლიოში შექმნილი ვითარების შესახებ. **გორკიმ** უცხოელი კოლეგების თხოვნა გაითვალისწინა და 1932 წლის 22 მარტს ორ ცენტრალურ საბჭოთა გაზეთში — „პრავდასა" და „იზვესტიაში" გამოაქვეყნა სტატია სათაურით — **„ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნო?"**

გორკის ეს ფრაზა — **„ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნო?"** — შემდგომში ერთგვარ ფრთიან გამონათქვამად იქცა, რომელსაც მაშინ იყენებენ, როცა საქმე ადამიანის პოლიტიკურ თუ მორალურ ორიენტირებს ეხება.

ჰოდა, სწორედ ამ სტილში — **„ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატნო?"** — ჩვენ ვეკითხებით **მამუკა ხაზარაძეს** — **როგორი პრო ხართ თქვენ, „ლელოს" უსტაბაშო?**

ჩვენ ვიქრობთ, რომ **მამუკა ხაზარაძე,** უბრალოდ, **პროფულისტია** და თუ ბევრი ფულის მოსახვეჭად დასჭირდა, ერთდროულად იქნება პროჩინელიც, პროირანელიც, პროამერიკელიც, პრორუსიც და პროაფრიკელიც, მაგრამ არასოდეს ყოფილა და ვერც ვერასოდეს იქნება **პრო**ქართველი!

პოლიტიკურ უნიჭობასთან ერთად, **მამუკა ხაზარაძის** მთავარი უბედურება სწორედ ეს არის!

***ჯაბა ხუბუა***

## მამუკა ხაზარაძე არასოდეს ყოფილა და ვერც ვერასოდეს იქნება პროქართველი!

*დადგა დრო, საღად მოაზროვნე ადამიანებმა იცოდნენ, რა ხდება საქართველოში, ევროპაში და, ზოგადად, მსოფლიოში, —* ***აცხადებს ეკონომისტი და ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე, რომლის პოლიტიკური პროგნოზიც ხშირად ხისტია, მაგრამ ზუსტი და დამაფიქრებელი:***



# დემურ გიორხელიძე: „ენდიაიებს", „აირაიებს" და მსგავს ორგანიზაციებს საქართველოში არაფერი ესაქმებათ!

— ხდება ის, რაზეც დიდი ხანია, ვსაუბრობ — სამყარო იცვლება! ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგი, სადაც ერთი სახელმწიფო იყო დომინანტი, სრულდება. ეს უკვე აღიარა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა **მარკო რუბიომ.** მანვე დაასახელა სამი მთავარი პოლიტიკური მოთამაშე — აშშ, ჩინეთი და ნაწილობრივ რუსეთი, რომლის ეკონომიკა ჯერჯერობით სუსტია, მაგრამ განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ამ სამეულის მოლაპარაკებაში ევროკავშირის მონაწილეობა გამორიცხულია. დღეის მდგომარეობით, ის არის განადგურებული და ძალიან მახინჯი წარმონაქმნი, რომლის არსებობასაც დიდი დრო არ უწერია.

**— არაპროფესიონალის თვალით ისე ჩანს, თითქოს ტრამპი და ილონ მასკი საქართველოს ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს, მათი განცხადებები და გადაწყვეტილებები ემთხვევა „ქართული ოცნების" ნარატივს...**

— შეერთებული შტატების ახალარჩეული ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, ამერიკის მომავალზე ფიქრობს. იმის გამოსწორებას ცდილობენ, რამაც 34 წელია, შტატები დააკნინა. საქართველო წარმატებული შეიძლება მხოლოდ საკუთარი შიდა პოლიტიკის წყალობით გახდეს!

თუმცა, ის, რაც საზიანოა შეერთებული შტატებისთვის, არ შეიძლება იყოს სასარგებლო საქართველოსთვის. ჯერ კიდევ წლების წინ ვწერდი USAID-ის შესახებ, რომ ის, ფაქტობრივად, შეერთებული შტატების სპეცსამსახურის ქვედანაყოფს წარმოადგენდა და უპარაზიტესი ორგანიზაცია იყო, აკეთებდა იმას, რაც გლობალისტური პოლიტიკის ინტერესებში შედიოდა. ცხადია, საქართველოშიც მავნებლობდა. წინა ხელისუფლების აპარატის არაფრისმაქნისი ადამიანების თავშესაფრად იქცა და გასაგებია, რა მიზნებიც ამოძრავებდა. **აღრევე ვითხოვდი, USAID-ი და მსგავსი ორგანიზაციები არასასურველ ორგანიზაციებად გამოცხადებულიყვნენ და საქართველოდან გაძევებულიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იდეოლოგიურად გარყვნილი პოლიტიკოსები მას დასავლეთის საყრდენად მიიჩნევდნენ და ნება მისცეს, ქვეყნისთვის საზიანო საქმეები ეკეთებინათ.**

იგივე ითქმის **სოროსის ფონდზეც,** მეტიც, ის USAID-ზე უარესია. ამიტომ კიდევ ერთხელ დავძენ — **„ენდიაიებს", „აირაიებს"** და მსგავს ორგანიზაციებს საქართველოში არაფერი ესაქმებათ! რაც უფრო დროზე დაასრულებენ საქართველოში მოღვაწეობას, მით უკეთესი ამ ქვეყნისთვის!

**— ხელისუფლებას მსგავსი გადაწყვეტილება წლების წინ რომ მიეღო, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქციაც მოჰყვებოდა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც დღემდე ქუჩაში არიან გამოსულები და ხელისუფლებას რუსული რეჟიმის დამყარებაში ადანაშაულებენ!**

— ამ იდიოტური ლოზუნგის დაჯერება — ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებს, არის სრული გონებრივი კატასტროფა. ყველა, ვინც ამას ამბობს, აზრზე არ არის, რა ხდება მსოფლიოში. სამარცხვინოა ამ ლოზუნგებით პროტესტების გამართვა! დააკვირდით, პოლიტიკური ლიდერების ნაცვლად, წინა ხაზზე სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები გამოჰყავთ — ყველაზე ცუდი ნაწილი ქართველი ახალგაზრდების. მადლობა ღმერთს, უმრავლესობას ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდობა წარმოადგენს. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ ახალგაზრდებს და სკოლის მოსწავლეებს გადატრიალება მოეხდინოთ. ამ მოქმედებით გაცილებით დიდი ფარსი ინილბება, რაშიც ე.წ. ოპოზიცია მონაწილეობს.




## „ხელისუფლება ძალიან კარგს იზამს, თუ არამარტო ამერიკულ „ფარას" კანონს შემოიტანს, არამედ მედიის აღვირახსნილობასაც ჩარჩოში ჩააჭენს!"

**ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა გამჭვირვალობის საკმაოდ სუსტი კანონი შემოიტანა და ხალხი ქუჩაში ორჯერ გამოიყვანა. ჯერ კიდევ მაშინ უნდა მიეღოთ წმინდა ამერიკული კანონი, როდესაც**

**კონსტიტუციურ უმრავლესობაში იყვნენ, თუმცა, რა უნდა მოსთხოვო „ოცნებას", რომლის 47 დეპუტატი ნაციონალური**




**მოძრაობის ყოფილი ნომენკლატურაა, აღარაფერს ვამბობ მილიონერებზე და ა.შ.**

ახლა სიტუაცია შეცვლილია და ხელისუფლება ძალიან კარგს იზამს, თუ არამარტო ამერიკულ კანონს შემოიტანს, არამედ მედიის აღვირახსნილობასაც ჩარჩოში ჩააჯენს და საკუთარი კანონმდებლობიდან იმ სიგლახეებს ამოყრის, რაც არასამთავრობოებს აძლევს ხელს. თამაშის წესების დადგენა სულაც არ ნიშნავს მედიის თავისუფლების შეზღუდვას. ის, რასაც ჩვენ დღეს ტელევიზიებით ვისმენთ, არის კანალიზაცია და არა დასავლური ტიპის დემოკრატია ან თავისუფალი პრესა!

**— გამოდის, არ ეთანხმებით საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება" ტერორს მიმართავს, უდანაშაულოდ აპატიმრებს ახალგაზრდებს, ჟურნალისტებს და ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს საფრთხეს უქმნის?!**

— ქალბატონი, რომელიც რაღაც უბადრუკი მედიის წარმომადგენელია, დასავლეთიდან ფინანსდება, მეხუთე კოლონას წარმოადგენს და პოლიციელს ხელს ურტყამს, მისი გმირად წარმოჩინება დიდი შეცდომაა! ეს არ არის „ქართული ოცნების" მხრიდან ტერორი.

**სახელისუფლებო პარტიას იმხელა და იმდენი ნაკლი აქვს, პროფესიონალი ოპოზიცია მას ძალიან ცუდ დღეში ჩააყენებდა, მაგრამ მეხუთე კოლონას პატრონებისგან სხვა დავალება აქვს მიღებული – პარლამენტში არ შევიდნენ და ქუჩიდან მოახდინონ ხელისუფლების გადატრიალება!**

არადა, ეს უბადრუკი პოლიტიკური ლიდერები ვერაფერს გადაატრიალებენ, თუ სისხლისღვრამდე მიიყვანენ საქმეს, პირველ რიგში, თვითონ განადგურდებიან.

**— იმათ, ვინც დღეს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს აკრიტიკებს, მაგალითად მოჰყავთ ევროპის მხრიდან დაფინანსებების შეწყვეტა. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი კომპეტენტური პასუხი ამ კითხვაზე!**

— საქართველო ევროპაზე ფინანსურად და ეკონომიკურად არ არის დამოკიდებული. ის ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც ევროკავშირთან 2014 წელს მოეწერა ხელი, არის მიზერული შედეგების მომტანი ქვეყნის ეკონომიკისთვის. რაც შეეხება დაფინანსებებს, ძირითადად, მეხუთე კოლონის მიმართულებით მიდიოდა მათი თანხები. თუ ეს დაფინანსება შეწყდება, ამ ქვეყნის ყველაზე უარეს ნაწილს მოაკლდება ფული.

**როგორ გგონიათ, რისთვის დააწესეს საქართველოსთან ვიზალიბერალიზაცია? ეს, პირველ რიგში, ევროპის ბაზარს სჭირდებოდა. ასეთ დაბალ ანაზღაურებაზე, მძიმე და კატორღულ შრომაზე ევროპელები აღარ თანხმდებოდნენ და მუშახელზე მოთხოვნა გაიზარდა.**

**დღეს ევროპა საქართველოდან გაცილებით მეტს იღებს, ვიდრე საქართველო ევროპისგან.** ამიტომ ამ იდეოლოგიას აყოლილი ჭკუანაკლული ხალხისთვის ვიტყვი, არაფერს მოვერიდები — კეთილი ინებეთ, გაერკვიეთ ეკონომიკაში, ფინანსებში, სტატისტიკაში, ნახეთ, რა კავშირები აქვს საქართველოს ეკონომიკურად სხვადასხვა ქვეყნებთან და შემდეგ ატეხეთ წივილ-კივილი. კიდევ ერთხელ ვამბობ — ევროკავშირი არ წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელზეც საქართველოს ფინანსური და ეკონომიკური მომავალია დამოკიდებული! მეტიც, ეს არის პოლიტიკური ბალასტი, რომელიც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს და ვერც ვერასოდეს მოახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე. ევროკავშირი, რომელმაც მეხუთე კოლონა გამოზარდა, კვდება, მას კლასიკური ევროპის არაფერი აქვს შერჩენილი.

**— ანუ ევროკავშირის ლიდერების მხრიდან გაკეთებული განცხადებები სახიფათო არ არის?**

— არათუ სახიფათო, სასაცილოა და აჩვენებს დღევანდელი ევროკავშირის ნამდვილ სახეს, მისი პოლიტიკური დეგრადაციის ხარისხს. ქართული ოპოზიციის წივილ-კივილიც გასაგებია. თუ მათ დაფინანსება შეუწყდებათ, განადგურდებიან და პოლიტიკური ორბიტიდან გაქრებიან, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ თავის გადასარჩენად. ასე რომ, ძალაშია რის შესახებაც 2007 წლის შემდეგ ღიად ვწერ — **არანაირი ნატო და ევროკავშირი არ იქნება საქართველოსთვის,** რადგან ეს დამპალი სტრუქტურები არ სჭირდება ქართულ სახელმწიფოს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№6 (302) ★ 2025 წლის 10 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

იოსებ სტალინი



## ლევან დოლიძე:

# ჰიტლერს ომი ერთი თვით ადრე რომ დაეწყო, სექტემბრის ბოლოს, დიდი ალბათობით, მოსკოვს აიღებდა!



***მიმდინარე წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 80 წელი სრულდება. ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, მწერალი და ქართველი გენერალიტეტის მემატიანე ლევან დოლიძე იხსენებს, როგორ დაიწყო დიდი სამამულო ომი და როგორ მივიდა ქვეყანა ტრიუმფალურ გამარჯვებამდე:***

— 1939 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 3 მილიონ 540 ათას 760 კაცი. აქედან ყოველი მეხუთე ახალგაზრდა, ქართველი ერის საუკეთესო გენოფონდის წარმომადგენელი, წავიდა დიდ სამამულო ომში, რაც პროცენტულად მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საქართველოში მცხოვრები ბოჭორიშვილების ერთი ოჯახიდან ფრონტზე 12 კაცი იბრძოდა, რასაც მსოფლიო ისტორიაში პრეცედენტი არ გააჩნია. მოსახლეობიდან ყოველი მეთორმეტე ომიდან ვერ დაბრუნდა. საერთო მსხვერპლმა 287 425 კაცი შეადგინა. თან, ეს ყველაფერი ხდებოდა იმ ფონზე, როცა საქართველოში საბრძოლო ოპერაციები, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით კავკასიონზე გამართულ ბრძოლას...

**— ბატონო ლევან, საიდან ამდენი მსხვერპლი პატარა საქართველოდან? ამდენი ჯარისკაცი ხომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთსაც არ დაუკარგავთ მეორე მსოფლიო ომში?**

— ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ უპირველესი ის იყო, რომ ახალგაზრდობა სტალინისა და ბერიას სიყვარულით, საკუთარი ნებით, მასობრივად მიაწყდა სამხედრო კომისარიატებს. 15 წლის ბავშვები ომში იპარებოდნენ. მაგალითად, **ოთარ ლესელიძეს** 16 წელი რომ შეუსრულდა, მატარებლით გაიპარა და 1943 წლის ოქტომბერში მამისს, გენერალ **კონსტანტინე ლესელიძეს** ჩააკითხა ნოვოროსიისკში. მაშინ ქალაქი უკვე გათავისუფლებული იყო... **გენერალმა ლესელიძემ** თავისი ვაჟი **ლეონიდ ბრეჟნევს** ჩააბარა, რომელიც არმიაში პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ქართველები უსაზღვროდ უყვარდა.

**— რამდენი რუსი დაიღუპა დიდ სამამულო ომში?**

— დიდ სამამულო ომში დაიღუპა 5 მილიონ 700 ათასი **რუსი სამხედრო** მოსამსახურე; მსხვერპლის მხრივ მეორე ადგილზე არიან **უკრაინელები** 1 მილიონ 400 ათასი კაცით; მესამე ადგილზე 287 425 კაცით **საქართველოა;** მეოთხე ადგილზე **ბელორუსები** არიან 253 ათასი სამხედრო მოსამსახურით; მეხუთეზე — **თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრნი** 188 ათასი კაცით; მეექვსეზე — **ებრაელები** 142 ათასი დაღუპულით;



გრაფი შულენბურგი



მეშვიდეზე — **ყაზახები** 125 ათასი კაცით; მერვეზე — **უზბეკები** 118 ათასი სამხედრო მოსამსახურით.

1945 წლის 27 იანვარს უკრაინის პირველი ფრონტის მე-60 არმიამ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი რომ გაათავისუფლა, რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების შემდეგ ტყვეთა რაოდენობით მეოთხე ადგილზე ქართველები იყვნენ. დიდ სამამულო ომში მშვიდობიან მოსახლეობაშიც დიდი მსხვერპლი იყო და სწორედ ამან განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირის საერთო დანაკარგმა 20 მილიონ კაცს გადააჭარბა.

**— სტალინზე უამრავი წიგნი გამოდის, ათასი ჭორ-მართალი იწერება... ვის ვენდოთ, ვის უნდა დავუჯეროთ?**

— სტალინზე დაწერილი წიგნების 99 პროცენტი კომპილაცია და სიცრუეა! ამას ჩვენ ვერ ავცდებით, რადგან მას შემდეგ, რაც **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მოახერხა და ჯერ ბელადი და მერე **ლავრენტი ბერია** დაამხო, სტალინის შესახებ სიმართლე იშვიათად ვინმემ დაწეროს! ისიც გაურკვეველია, რა ეროვნებისა იყო ხრუშჩოვი. ფაქტია, რომ მოსკოვის სამრეწველო აკადემიაში სტალინის მეორე ცოლს **ნადეჟდა ალილუევას** რომ არ შეხვედროდა, ხრუშჩოვი სტალინამდე ვერასოდეს მიაღწევდა და კაცობრიობაც ასცდებოდა დამღუპველ ცვლილებებს.

**— თქვენ ნიკიტა ხრუშჩოვის ეროვნება ახსენეთ... საქვეყნოდ ცნობილია, რომ ის უკრაინელი იყო და სტალინი მიკიტას ეძახდა...**

— ბოლო დროს გაიჟღერა ვერსიამ, თითქოს ხრუშჩოვის ნამდვილი გვარი ბრილიანტი იყო და თავის ებრაულ

> „საბჭოთა კავშირში გერმანიის ელჩი, ქართველებზე შეყვარებული გრაფი შულენბურგი, სტალინისა და ბერიას ნიჭიერებით იყო მოხიბლული და მათ ძალიან გულშემატკივრობდა!“

**★ 80 წლის შემდეგ!**

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-5*



მიხეილ
ქვესელავა

# ას ერგასის

## ფელდმარშალი ფოსტალიონი...

პროცესის მიმდინარეობის დროს ზოგიერთმა ბრალდებულმა, ცხადია, იგრძნო, რომ „ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული“ და „არც თვითონ იქცეოდა სწორად“, მაგრამ საკუთარ ბნელ საქმეებს ისევ „იმ ღორ ესესელებს“ აბრალებდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, კაიტელზე უნდა ითქვას. იგი დიდხანს ცდილობდა, დაეცვა როგორც თავისი მუნდირის, ისე არმიის ღირსება, მაგრამ მამხილებელ დოკუმენტებს მაინც ვერსად წაუვიდა. პროცესზე გამოიტანეს ესესის უმაღლესი ოფიცრების განკარგულებები, სადაც ამგვარი დაშიფრული გამოთქმა იყო: „ტყვეები, რომელნიც კაიტელის ბრძანებას ექვემდებარებიან“. ეს დახვრეტას ნიშნავდა. სხვაგან ეწერა: სიებზე აღნიშნეთ „კაიტელის ბრძანება“ ან „ნახტ უნდ ნებელ“-ი. ასეთ სიებში მოხვედრილები, მოგეხსენებათ, უკვალოდ ქრებოდნენ.

... კაიტელს უხაროდა, როცა პროცესზე ამბობდნენ, ბრძანებებს ჰიტლერი იძლეოდაო; თვითონ კი ლამის უბრალო ფოსტალიონად მოჰქონდა თავი:

— აი, ხომ ხედავთ, — ამბობდა იგი, — ამგვარ ბრძანებებს ჰიტლერი იძლეოდა. მე მიკროფონი ვიყავი მისთვის. როგორც შტაბის უფროსს, არავითარი ავტორიტეტი არ მქონდა ჰიტლერის წინაშე, არც არავითარი საკომანდო ფუნქცია მეკისრა. მის ბრძანებებს ვაფორმებდი და ვაგზავნიდი დანიშნულებისამებრ. ეს იყო და ეს. რა საერთო გეგმები ჰქონდა მას, ეს არც ვიცოდი. ვხედავდი, საშინელება რომ ხდებოდა, მაგრამ მე რა შემეძლო. სამჯერ ვითხოვე გადადგომა, მაგრამ უარი მითხრა. ჰიტლერი ყველაფერს ადვილად აღწევდა... ისე კი, ვინ იცის, იქნებ უმჯობესიც ყოფილიყო, სულაც არ ჰქონოდა ასეთი იღბალი! მაშინ მატარებელი დროზე შეჩერდებოდა.

... ეს პირველი შემთხვევა როდი იყო, იმ ხანებში გერმანიას სწრაფ მატარებელს რომ ადარებდნენ, ხოლო ჰიტლერს — მემანქანეს. როცა ნიურნბერგში ჯილბერტმა უთხრა ბრალდებულებს:

— ბოლოს მაინც ხომ ხედავდით, ჰიტლერს რომ კატასტროფისაკენ მიჰყავდა გერმანია, რატომ არ მოკალით იგი?

— როცა მატარებელი მიჰქრის, მემანქანის მოკვლას რა აზრი აქვს, განა ეს უფრო დიდ კატასტროფას არ გამოიწვევს? — მიუგეს მას.

ამით ჰიტლერისადმი თავიანთი ბრმა ერთგულების გამართლება უნდოდათ, თუმცა, ზოგიერთები ერთგვარ სინანულსაც გამოთქვამდნენ ამის გამო.

— დიახ, მე ერთგული ვიყავი, მაგრამ მოტყუებული დავრჩი, — თქვა კაიტელმა.— იოდლიც ასე ფიქრობს ახლა. მართალია, სინდისის საშინელ ქენჯნას განვიცდი, ამას რომ ვამბობ, მაგრამ... ფაქტია: მეც ბრმად მივყვებოდი მას. ამიტომაც დამიახლოვა ასე. აბა, რემივით განგსტერები რად უნდოდა. ის კი არა, ეშინოდა კიდეც მათი: ადრე თუ გვიან ისინი მომიღებენ ბოლოსო. შეიძლება, ასეც ყოფილიყო, რადგან სხვებივით მონა-მორჩილები არ იყვნენ. ჩვენ კი, როგორც უნდოდა, ისე გამოგვიყენა. ახლა ხომ ხედავთ, სისხლის სამართლის დამნაშავეებივით ვზივართ აქ...

...იოდლი რომ გამოიყვანეს დაკითხვაზე, გერინგმა ჰესს გადაულაპარაკა:

— ეს არის ჩემი უკანასკნელი იმედი...

— მე სისხლითა და პროფესიით ჯარისკაცი ვარ, — თქვა იოდლმა. — მიუნხენის შეთანხმებამდე სკეპტიკურად ვუყურებდი ჰიტლერს. შემდეგ რომ ზედიზედ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა, აზრი შევიცვალე. 1942 წლიდან კი ისევ გავწყვიტე მასთან კავშირი...

გერინგი შეიშმუშნა. ეს ვერაფერი „იმედი“ იყო მისთვის. იოდლი უფრო მკაცრად აკრიტიკებდა ჰიტლერს, ვიდრე გერინგი მოელოდა. ამის მიზეზი კი თვითონ იოდლმა განუმარტა ჯილბერტს:

— ჰიტლერს სძულდა ბიურგერობა, რომელსაც მე ვეკუთვნოდი; არისტოკრატია, რომელსაც ჩემი ცოლი ეკუთვნის; იგი აბუჩად იგდებდა გენერალურ შტაბს, სადაც მე ვმუშაობდი...

... იოდლის დამცველი ექსნერი ცდილობდა, გაემართლებინა ომის წარმოების საერთაშორისო კანონების უხეში დარღვევა: აგრესია ნეიტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ, თავდასხმა ომის გამოუცხადებლად და სხვა... ამან თვითონ ლოურენსიც კი ისე გააოცა, რომ ჰკითხა:

— შეიძლება, განა, წინასწარ გაუფრთხილებლად დაესხა ნეიტრალურ ქვეყანას? ე.ი. ეს არ იქნება საერთაშორისო ნორმის დარღვევა?!

— მე ვამტკიცებ, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ნეიტრალურ სახელმწიფოებს, როცა ჩვენ დავესხით, — უპასუხა ექსნერმა.

— მაშასადამე, თქვენ ადასტურებთ და ამბობთ, რომ შეიძლება თავდასხმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე?! —

არ მოეშვა ლოურენსი, მაგრამ ექსნერმა წარბიც არ შეარხია:

— საერთაშორისო სამართალში არის დებულება, რომ აუცილებელია წინსწარი გაფრთხილება, მაგრამ რაკი გერმანიის წინაშე იყვნენ არანეიტრალური სახელმწიფოები, ჰიტლერს შეეძლო, ომის გამოუცხადებლადაც დასხმოდა მათ თავს...

აქ ვიღაცამ სრულიად მოულოდნელი კითხვა მისცა იოდლს:

— მიგიღიათ თუ არა რაიმე ფულადი ჯილდო ან საჩუქარი ჰიტლერისაგან?

თავისი მუნდირის ღირსებაზე მზრუნველი იოდლი ისე გაბრაზდა, რომ იყვირა:

— არცერთი პფენინგი!.. არცერთი ღილი — შარვალზე დასაკერებელი!..

საერთოდ, იოდლი ხშირად უწევდა ხმას პროცესზე. როცა ბრალმდებლები მას საშინელ მამხილებელ დოკუმენტებს უდგენდნენ, იგი ყვიროდა:

— ეს დოკუმენტი არ არის! ეს ქაღალდის ნაგლეჯია! ეს სისულელეა!.. და სხვა ასეთი, რის გამოც ლოურენსის შენიშვნაც დაიმსახურა:

— ბრალდებულო იოდლ, მე ვფიქრობ, რომ ასე ხმამაღალი ლაპარაკი საჭირო არ არის.

იოდლმა მხოლოდ ამის შემდეგ დაუწია ხმას...

ასევე უდიერად იქცეოდა „ებრაელთმჭლეტი“ შტრაიხერიც. იგი უკმეხად უპასუხებდა დასმულ კითხვებზე. ნერვიულობდა, ყვიროდა, ლანძღავდა თავის დამცველს. როცა ბრალმდებლებმა შტრაიხერის წინააღმდეგ შემაძრწუნებელი დოკუმენტები წარადგინეს, დამცველმა ვეღარ მოითმინა და თქვა:

— ეს, მართლაც, საშინელია!

ამას ყური მოჰკრა შტრაიხერმა და უყვირა:

— ფაქტებს შეფასებას ნუ აძლევ, ეს ბრალმდებლის საქმეა და არა დამცველისო. შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარეს ლოურენსსაც აკადრა რაღაც უხეში სიტყვები, რის გამოც ასეთი გაფრთხილება მიიღო:

— თუ ასე უდიერად მოექცევით ტრიბუნალს ან თქვენს დამცველს, დაკითხვას შევწყვეტთ და არც სიტყვის უფლებას მოგცემთო.

ამის შემდეგ შტრაიხერი ოდნავ დაცხრა, მაგრამ ენიდან მაინც შხამი სდიოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის აღვირახსნილ ანტისემიტიზმზე დაიწყო ლაპარაკი. იგი არც არაფერს გმობდა და არც არაფერს ნანობდა. დარწმუნებული იყო, რომ პროცესზეც ერთი შეხედვით უღებდა ალღოს, ვინ ებრაელი იყო და ვინ არა.

— მოსამართლეთა შორის სამი ებრაელია! — განუცხადა მან ჯილბერტს.

— რას ამბობთ?! — გაიკვირვა მან.

— დიახ, მე ვცნობ სისხლს. სამი მათგანი თავს უხერხულად გრძნობს, როცა თვალს ვუსწორებ. რასების საკითხებს მე ოცი წელიწადი ვსწავლობდი და ვიცი, რომ სხეულის სტრუქტურა ამჟღავნებს ხასიათს. ჰიმლერს თავი ამ საქმის დიდ ავტორიტეტად მიაჩნდა, სინამდვილეში კი არაფერი ესმოდა. თვითონ მას ზანგის სისხლი ერია.

— ნუთუ?! — გაოცდა ჯილბერტი.

— ო, დიახ, მე ამის გამოცნობა შემიძლია თავის ქალას მოყვანილობით და თმებით. მე ვცნობ სისხლს.

•

დარბაზში „მხიარული გამოცოცხლება“ იყო, როცა შახტი ამბობდა, არასოდეს ნაციონალსოციალისტი არ ვყოფილვარ, პარტიის ოქროს ნიშანს კი მხოლოდ იმიტომ ვატარებდი, რომ მატარებლისა და მანქანის გამოძახებისთვის მჭირდებოდაო.



კაიტელის დაკითხვა

— შახტი რომ ამას ამბობდა, ბიდლი და პარკერი ძლივს იკავებდნენ სიცილსო, — თქვა შპეერმა.

— ის რომ ტყუოდა, ნაცისტი არასოდეს ვყოფილვარო, სიცილი ვერ შევიკავე, — თქვა შირახმაც. — გამახსენდა, შახტმა ცოლს რომ უზარმაზარი მარგალიტი აჩუქა, სვასტიკის ფორმის ჩარჩოში ჩასმული, მაშინ მას „სუპერ-ნაცისტს“ ვუძახდით. ფილმშიც იყო გადაღებული, როგორ მიესალმა ჰიტლერს ანჰალტის სადგურზე, მისმა ცოლმა კი ავტოგრაფი სთხოვა. გერდელერსაც იმიტომ მიეტმასნა, რომ პრეზიდენტობა უნდოდა.

წარმოიდგინეთ, ფუნკმაც ასე შეაფასა შახტის გამოსვლა. რაც შეეხება „მეორე ჯენტლმენს“ — პაპენს, ვერც იმან შეიკავა თავი „უახლესი მეგობრის“ გაკიცხვისაგან და გაიხსენა:

— 1932 წელს სწორედ ეს შახტი მოვიდა ჩემთან და მითხრა, გადადექი და რაიხსკანცლერის პოსტი ჰიტლერს დაუთმეო.

მერე ისიც თქვა, შახტი ოპორტუნისტია და ჯახრაკა ცხენზე ზისო.

„ჰიტლერის მოძულე“ შახტის „გაკრახმალებული რესპექტაბელურობა“ სულ შეირყა, როცა ბრალმდებელმა შოუკროსმა გამოაქვეყნა მისი სიტყვები, წარმოთქმული პარტიის ოქროს მედლით დაჯილდოების გამო:

— მომავალში მთელ ჩემს სულს, მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ ფიურერის საქმეს, იმპერიის საქმეს. გერმანიის მომავალი ჩვენი ფიურერის ხელთაა.

ბოლოს ფრიჩემაც ესროლა შახტს ერთი ქვა და შტრეზემანის სიტყვები გაიხსენა:

— ერთადერთი, რაც შახტს სუფთა აქვს, ეს თეთრი პერანგია...

შპეერმაც სცადა ნაციონალსოციალიზმისაგან გამიჯვნა და დაიტრაბახა, ჰიტლერის მოკვლა მინდოდაო, მაგრამ დანარჩენი ბრალდებულები ამ „სენსაციურ ცნობასაც“ ირონიული ღიმილით შეხვდნენ.

— თუ მოკვლა უნდოდა, ვინ შეუშალა ხელი?! — ამბობდნენ ისინი, — იგი ხშირად ხვდებოდა ჰიტლერს, მასთან შესვლის დროს არ ჩხრეკდნენ, ორივენი საათობით ისხდნენ პირისპირ და საუბრობდნენ. თუ ასეთი განზრახვა ჰქონდა, როგორც



**ვიღაცამ სრულიად მოულოდნელი კითხვა მისცა იოდლს:
– მიგიღიათ თუ არა რაიმე ფულადი ჯილდო ან საჩუქარი ჰიტლერისაგან?
თავისი მუნდირის ღირსებაზე მზრუნველი იოდლი ისე გაბრაზდა, რომ იყვირა:
– არცერთი პფენინგი!.. არცერთი ღილი – შარვალზე დასაკერებელი!..**

# დღე


იბეჭდება შემოკლებით. ტ. III „ნემეზიდას მახვილი“


**კალტენბრუნერი: უწინარეს ყოვლისა, უნდა განვუცხადო სასამართლოს, რომ მთლიანად შეგნებული მაქვს ჩემდამი წარდგენილი ბრალდების სიმძიმე. ვიცი, რომ მთელი მსოფლიო ზიზღით მიყურებს, მითუმეტეს, რომ ჰიმლერი, მიულერი და პოლი ცოცხლები აღარ არიან და მე ერთმა უნდა ვაგო პასუხი მსოფლიოსა და ამ სამსჯავროს წინაშე... თუმცა, ჩემთვისაც ბევრი რამ უცნობი იყო...**

უნდოდა, ისე შეეძლო, მოეკლა: ხანჯალი დაერტყა, ხელებით მიეხრჩო, ტყვია მიერტყა ან სხვა რამ...

პირველი „სენსაციით“ რომ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, შპეერმა მეორე მოიგონა: ომის უკანასკნელ პერიოდში მინდოდა, 10 მთავარი ნაცისტი მომეტაცა და ინგლისში გადამეყვანა, მაგრამ ეს ოპერაცია ბოლო წუთებში ჩაიშალაო. რომ ჰკითხეს, მაინც ვინ უნდა მოგეტაცებინათო, შპეერმა ჩამოთვალა:

— ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი, ბორმანი, კაიტელი, გერინგი და... სხვები არც გაახსენდა...

## მოლიპულ გზაზე...

ნათქვამია, ბოროტება ისე საშინელი არ არის, როგორც მისი დაცვაო. ჩვენ არც ამ საშინელების განცდა დაგვკლებია, როცა ჯერი დაცვის მხარეზე მიდგა. აქ პირველი სიტყვა ნომერ პირველი ბრალდებულის დამცველმა დოქტორმა შტამერმა აიღო.

— მე არ ვდავობ იმაზე, რომ ეს ტრიბუნალი შეიქმნა, მაგრამ გადაჭრით უნდა უარვყო მისი წესდების ის ნაწილი, სადაც არსებითად ახალი სამართლებრივი ნორმებია შექმნილი, რითაც სასჯელით ემუქრებიან მოქმედებას, რაც ჩადენის მომენტში არ იყო დანაშაულებრივად გამოცხადებული, თუნდაც მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით...

ეს იყო დაცვის მხარის საერთო და მთავარი თეზა: Nulla poena sine lege (არ არის დანაშაული, თუ ამის შესახებ არ წერია კანონში). ამის გამო რამდენჯერმე ოფიციალური პროტესტიც განაცხადეს დამცველებმა, რაც უარყოფილ იქნა ტრიბუნალის მიერ.

მართლაც რა გულუბრყვილობაა ეს! ნუთუ შტამერმა არ იცოდა, რომ დადებული ხელშეკრულებების დარღვევა, წინასწარ გამოუცხადებლად ომის დაწყება, საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვა ისეთი დანაშაულია, რაც სასჯელს იმსახურებს? განა მთელი ომის მანძილზე მოკავშირეთა მთავრობები არ აფრთხილებდნენ მათ ამის შესახებ? მაგრამ ყოველივე ეს, თურმე, ყურად არ უნდა იღოს ტრიბუნალმა, რადგან, შტამერის აზრით, მოსამართლე პოლიტიკაში კი არ უნდა ჩაერიოს, მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს.

სხვისი არ ვიცი და, შტამერის პოზიცია, მართლაც, სასაცილო იყო. ამას, მგონი, თვითონაც გრძნობდა და ამიტომაც უთხრა ჯილბერტს:

— მე დაგიხასიათებთ გერინგს, მომისმინეთ, ეს თქვენთვის ფსიქოლოგიურად საინტერესო იქნება.

შტამერმა, რა თქმა უნდა, „დაუხასიათა“ მას გერინგის „კარგი მხარეები“ და ჰკითხა, როგორ მოგეწონათ ჩემი დახასიათებაო.

ამაზე ჯილბერტმა უპასუხა:

— ყოველივე ეს მხოლოდ ერთი მხარეა, მაგრამ გერინგს აქვს მეორე მხარეც, რაც საშინელია...

— ო, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მას შტამერი, — მაგრამ ამაზე ბრალმდებლებმა ილაპარაკონ.

თვითონ კი ვითომ ამართლებda გერინგს. რითი? მისი ლოგიკით, გერინგი პირველი კაცი კი არ იყო სახელმწიფოში, არამედ მეორე; დიქტატორულ სახელმწიფოში კი ყოველგვარი პასუხისმგებლობა მთლიანად პირველ კაცს ეკისრება და არა მეორესო.

ასე რომ იყოს, ჰესის დამცველი იტყვის, ჰესი ცოცხლად დარჩენილთაგან მესამე კაცი იყოო, რიბენტროპი — მეოთხე, კაიტელი — მეხუთე და ა.შ. ამგვარ ლოგიკას რომ მიჰყვეს კაცი, ნეტავი, რუდოლფ ჰოსი მერამდენე კაცი იქნებოდა, რომელმაც აღიარა — ორმილიონნახევარი ადამიანის დახოცვაში მიმიძღვის ბრალიო... იმანაც ხომ ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი და დაუმატა, აი, ამათ გამაკეთებინეს ესო.

ბრალდებამ ტრიბუნალს წარუდგინა ოცი დოკუმენტი ებრაელების წინააღმდეგ. ოცივეს პირადად გერინგი აწერდა ხელს. იგი თვითონ ატარებდა თათბირებს ამ ბრძანებათა განსახორციელებლად და, მართლაც, რა საკითხავია, იცოდა თუ არა ყოველივე ეს, თუნდაც მეორე კაცმა იმპერიაში. მე ისიც პარადოქსად მიმაჩნია, თავისი სიტყვის დასასრულს გერინგის დასახასიათებლად შტამერმა ჰენდერსონის სიტყვები რომ გაიმეორა:

— გერინგი თავისი ბატონის სრულყოფილი მსახური იყო. მე არასოდეს შემხვედრია ერთგულების ისეთი შემთხვევა, როგორც გერინგისა ჰიტლერის მიმართ! იგი ყველას აღიარებით იყო მეორე კაცი იმპერიაში და ჰიტლერის, როგორც ფიურერის, ბუნებრივი მომაგიერე. გერინგი ყოველთვის ხაზს უსვამda ამას ჩემთან საუბრის დროს. ეს საერთოდ ასეა. ადამიანები, რომელთაც მეორე ადგილი უჭირავთ, ხშირად უსვამენ ხაზს თავიანთ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ყველა გულღია საუბრის დროს იგი არ ლაპარაკობda თავის თავზე და იმ დიდ როლზე, რაც მან ითამაშა ნაცისტურ რევოლუციაში. ყველაფერი გააკეთა ჰიტლერმა, ყველას ერთგულება იყო ერთგულება ჰიტლერისადმი, ყველა გადაწყვეტილება ეკუთვნოდა ჰიტლერს, თვითონ კი მასთან შედარებით არარაობა იყო...

ეს რომ შტამერს გერინგის დიდების ზენიტის დროს ეთქვა, დარწმუნებული ვარ, მარტო ამ ერთი სიტყვის — „არარაობის“ თქმის გამო წააცლიდა თავს. ახლა კი, ამ ძნელბედობის დროს, სიტყვა ასე დაამთავრა:

— ეს დახასიათება ახლაც ინარჩუნებს სიმართლის ძალას. მაგრამ ეს სიმართლე საბედისწეროდ იქცა მისთვის...

## უცოდველი კრავი...

საკვირველი ის არის, რომ, თურმე, კალტენბრუნერის დაცვაც შესაძლებელი ყოფილა და ისიც მაღალფარდოვანი სიტყვებით. 1943 წლამდე იგი, თურმე, სულ უცნობი კაცი იყო. მხოლოდ „იმ ურჩხულ“ ჰაიდრიხის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი. კი მაგრამ, „ურჩხულის“ ადგილას ეს „უცოდველი კრავი“ როგორ დაინიშნა? ან რატომ შეარქვეს მას „მეორე ჰაიდრიხი“. „კრავი“ კი არა, მოწმედ გამოძახებულმა გიზევიუსმა განაცხადა:

— ჩვენ ვეკითხებოდით თავს: თუ შეიძლება არსებობდეს უფრო სასტიკი ადამიანი, უფრო მეტად ვერაგი, ვიდრე ჰაიდრიხი იყო... გამოჩნდა კალტენბრუნერი და მდგომარეობა უფრო გაუარესდა. მერე ეჭვიც გამოითქვა: ნუთუ ერთ კაცს შეუძლია ამდენი ბოროტების არამცთუ ჩადენა, არამედ წარმოდგენა? ეს მის დამცველ კაუფმანსაც უჭირდა, მაგრამ მაინც ათასნაირად იგრიხებოდა:

— მე მესმის, რომ სისხლისა და ცრემლების ზღვასთან მდგარი, — თქვა მან, — არ უნდა ვლაპარაკობდე ამ კაცის ხასიათსა და სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ რა ვქნა, მე დამცველი ვარ... იგი არ არის „ბოროტი სულის ნაშიერი“, არ არის „პატარა ჰიმლერი“, „მეორე ჰაიდრიხი“... ვიცი, რომ იგი ხელმძღვანელობda სამმართველოს, რომლის შემაძრწუნებელ საქმეებზე ქვებიც კი ღაღადებენ. საკონცენტრაციო ბანაკების ხსენებაზეც უნებლიეთ გვაგონდება დანტე, მაგრამ კალტენბრუნერს ესმოდა, რომ ეს საშინელება იყო...

კაუფმანი ცდილობდა, ცოდვები სულ ჰიმლერისათვის მიეწერა:

— ვაგლახ! ჭეშმარიტად მილიონებია დახოცილი, მაგრამ ყველაფერი ეს ჰიმლერის საქმეაო, — წამოიძახა მან. შემდეგ „დაცვის“ უცნაური მოტივიც წამოაყენა:

— თუ დამნაშავეს არ შეუძლია, იმოქმედოს თავისუფლად იმის გამო, რომ ვიღაც სხვა ართმევს ამის უფლებას სიცოცხლისადმი მუქარით, მაშინ, პრინციპში, ყოველგვარი დანაშაული იხსნება... ე.ი. კალტენბრუნერის დასჯა არ შეიძლება, რადგან მას ეშინოდა ჰიმლერის. ის კი არა, კაუფმანმა აქ ისე შეტოპა, რომ ეს „დიდი ინკვიზიტორი“ თავისუფლების პოტენციურ მებრძოლად გამოაცხადა:

— მე ვიცი, — თქვა მან, — კალტენბრუნერს უნდა, ხელახლა დაიბადოს და, ეს რომ შესაძლებელი იყოს, ალბათ, ისიც იბრძოლებდა თავისუფლებისათვის...

თქვენ გგონიათ, თვითონ კალტენბრუნერიც ასეთ „უწყინარ კრავად“ ან „თავისუფლებისათვის მებრძოლად“ სახავda თავის თავს? სრულიადაც არა. ბრალმდებელი შეეკითხა მას:

— ნათელია თუ არა თქვენთვის, რომ თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულია სრულიად განსაკუთრებული ბრალდება? — და მან ჩამოთვალა ისეთი შემაძრწუნებელი დანაშაულობანი, რომ ყოველი მათგანის მოსმენა ჟრჟოლას ჰგვრიდა მსმენელებს.

— დასასრულ, ბრალდება თქვენს სახელს აკავშირებს გესტაპოს ტერორთან და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებთან, — განაგრძო მან, — მე გეკითხებით თქვენ: გრძნობთ თუ არა თავს პასუხისმგებლად ასე ფართოდ წარმოდგენილ და თქვენთვის კარგად ცნობილ ბრალდებებში?

ამაზე კალტენბრუნერმა უპასუხა:

— უწინარეს ყოვლისა, უნდა განვუცხადო სასამართლოს, რომ მთლიანად შეგნებული მაქვს ჩემდამი წარდგენილი ბრალდების სიმძიმე. ვიცი, რომ მთელი მსოფლიო ზიზღით მიყურებს, მითუმეტეს, რომ ჰიმლერი, მიულერი და პოლი ცოცხლები აღარ არიან და მე ერთმა უნდა ვაგო პასუხი მსოფლიოსა და ამ სამსჯავროს წინაშე... თუმცა, ჩემთვისაც ბევრი რამ უცნობი იყო.

აქ დენიცმა გადაულაპარაკა შირახს:

— ამას რცხვენია თავისი თავის...

ზაუკელი კი ვითომ აღშფოთda:

— ახ, შე სატანა, შე ღორო, შენა.

სხვებმა ცოტა შეარბილეს ეს „ზიზღი“.

— რაც არ უნდა იყოს, ჰაიდრიხივით ცუდი მაინც არ ყოფილაო.

მაინც რა გასამართლებელი ან თუნდაც სასჯელის შემამსუბუქებელი მოტივების მოყვანა შეეძლო მის დამცველს დოქტორ კაუფმანს! როგორ უნდა გაემართლებინა ადამიანი, რომელმაც თავისი თავი „ძაღლის მძორს“ შეადარა და იცოდა, რომ მთელ კაცობრიობას ეზიზღებოda! იქნებ კაუფმანმა თვითონ წარმოიდგინა თავისი თავი ქრისტედ და სხვებსაც ურჩევda, გვერდი კი არ აევლოთ, არამედ გემო გაესინჯათ „ამ მძორისათვის“.

ვისაც მტკიცების არგუმენტები აკლია, მჭევრმეტყველებას აწვება. კაუფმანიც ასე მოიქცა. მან ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა, გეგონებოდათ, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი უნდა აუწყოს საზოგადოებასო.

— ევროპის ცივილიზაცია ჰგავს დამსხვრეულ გემს, — თქვა მან, — რომლის ნაფოტებს აქეთ-იქით ახეთქებენ ზღვის მძვინვარე ტალღები...

ლოურენსმა, რომელსაც კაუფმანის გამოსვლის ტექსტი წინ ედო, სათვალის ზემოთ ახედა კაუფმანს და უთხრა:

— მე ვფიქრობ, უმჯობესია, თქვენი სიტყვის კითხვა დაიწყოთ მეცამეტე გვერდიდან...

ეს იწყინა კაუფმანმა, პროტესტიც განაცხადა და თავისი გაიტანა.

— ჰიტლერი მეტეორივით კი არ გამოჩენილა, — განაგრძო მან, — რომ ეს არაკანონზომიერად და მოულოდნელად მივიჩნიოთ. იგი ათეისტურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შედეგია. ან, თქვენ გგონიათ, ნაციონალ-სოციალიზმის შემუსვრით დამთავრდა ყველაფერი? არა, კრიზისი გრძელდება, მშვიდობა არსად არ არის. მაკარტურმა რომ იაპონიის კაპიტულაციას მოაწერა ხელი, თქვა:

— თუ რამ უფრო ეფექტური სისტემა არ მოვიგონეთ, სიკვდილი ისევ კარს მოგვადგება...

— ეს პრობლემა საფუძველშივე თეოლოგიურია, — განაგრძო კაუფმანმა, მაგრამ ლოურენსმა ისევ შეაწყვეტინა ლექციის კითხვა, საჭირო არ არისო. კაუფმანმა არც ამას მიაქცია ყურადღება და თავის გზას გაჰყვა: რენესანსი, სუბიექტივიზმი, საფრანგეთის რევოლცია, ნაციონალიზმი და სხვა და სხვა. ამ „მსოფლიო ექსკურსის“ შემდეგ, როგორც იქნა გერმანიამდე მოაღწია და კალტენბრუნერის დანაშაულშიც გერმანელ ხალხს დასდო ბრალი:

— ევროპის საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის ნაწილია ჩემი სამშობლოც, მძიმე სენითაა დაავადებული. იგი შეპყრობილია უარყოფის სულით, ადამიანური ღირსების დამცირებით. ჩემს სამშობლოში, განსაკუთრებით მის მაღალ წრეებში, დაივიწყეს, რომ სინდისია მთავარი. ჰიტლერმა სამართალი თავისი მიზნების მიღწევის საშუალებათა დონემდე დაიყვანა. ჩვენ კი მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ამ შემაძრწუნებელ დანაშაულებს განვიხილავთ როგორც ემპირიულ ფაქტებს...

აბა, კაუფმანს ვინ დაანებებda მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვის „ემპირიული ფაქტების“ უგულებელყოფას.

ეს იმანაც იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. პროფესიული მოვალეობა აიძულებდა, დაეცვა ადამიანი, რომელიც ისე ეზიზღებოda, რომ შეხვედრისას ხელსაც კი არ ართმევდა. თან, თავისი დასაცავი უყვიროდა, ლანძღავდა, შენ ვინა ხარ — დამცველი თუ ბრალმდებელიო. მისდა საუბედუროდ, დამცველი იყო და უნდა დაეცვა კიდეც, მაგრამ ამისთვის სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ისევ ის ძველი ზღაპარი გაიმეორა:

— საკონცენტრაციო ბანაკები იმპერიის აუცილებელი სისტემა იყო. „ჰიტლერის იმპერია“ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე საკონცენტრაციო ბანაკების გარეშე ცარიელი უტოპია იქნებოდა. ამ სისტემაში კი კალტენბრუნერი ერთ პატარა ხრახნს წარმოადგენდა...

წარმოგიდგენიათ! იმპერიის უშიშროების სამსახურის უფროსი და „პატარა ხრახნი“. ეს „ხრახნი“ იყო, შიშის ზარს რომ სცემდა მილიონობით ადამიანს. ეს იცოდა კაუფმანმაც, მაგრამ თავისი პაციენტის „ცოდვათა შემსუბუქების“ რაიმე საშუალებას მაინც ეძებდა.

— კალტენბრუნერი იმ დროს გამოჩნდა ავანსცენაზე, როცა გერმანიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, — თქვა მან და დაუმატა:

— ვინ წაავლებს ხელს ბორბალს ეტლისას, რომელიც უფსკრულისაკენ მიექანება!..

მიუხედავად ყველაფრისა, კაუფმანმა მაინც ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა:

— კალტენბრუნერი დამნაშავეა, მაგრამ მისი დანაშაულის ზომა უფრო მცირეა, ვიდრე ბრალდებას მიაჩნია. ახლა კი იგი, როგორც იმპერიის ყველაზე ბნელით მოსილი და მძიმე პერიოდის ბოროტი ძალების უკანასკნელი წარმომადგენელი, დაელოდება თქვენს განაჩენს...

ეს რომ თქვა და თავისი ქაღალდები აკრიფა, ისევ იმ გულისგამაწვრილებელი ხმით დაუმატა:

— ხომ იყო მაინც ადამიანი, რომლის ბედს შეიძლება ტრაგიკული გრძნობის გარეშე შეხვდე!..

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ლევან დოლიძე:

# ბოლო დროს გაიჟღერა ვერსიამ, თითქოს ხრუშჩოვის ნამდვილი გვარი ბრილიანტი იყო და ის თავის ებრაულ წარმომავლობას მალავდა!







## უინსტონ ჩერჩილი:

## მეგონა, სიბერე მომკლავდა, მაგრამ ვკვდები სიცილით, რადგან ნიკიტა ხრუშჩოვმა მოახერხა და რუსეთი უპუროდ დატოვა!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

წარმომავლობას მალავდა! ეს დამტკიცებული არ არის, თუმცა, ასეთი ვერსია არსებობს... ფაქტია, რომ ნახევრად სულელი **ხრუშჩოვი,** რომელსაც სერიოზულ კაცად არავინ თვლიდა, **სტალინს** ძალიან დაუახლოვდა, ბელადმა კი მისი სახით თავისი მკვლელი გამოზარდა. თუმცა, დღემდე ვერაფრით ამიხსნია, როგორ გადაურჩა ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინსა და ბერიას!

**— რას გულისხმობთ?**

— როცა ხრუშჩოვი უკრაინის ცეკას პირველი მდივანი იყო, აღმოჩნდა, რომ უკრაინაში **საბჭოთა ჩეკას** მუშაობა, ფაქტობრივად, ჩავარდა და ამხელა ქვეყანაში ფაშისტური სპეცსამსახურები თავისუფლად პარპაშებდნენ. ბერია კარგად ხვდებოდა, რომ ხრუშჩოვი რაღაცას ურევდა ან, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, საქმეს ვერ აკეთებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს სულელი მაშინ გამოძვრა.

**— ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში იყო გრაფი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, რომელიც ნოე ჟორდანიას დროს გერმანიის სამხედრო ექსპედიციის დიპლომატიურ სამსახურს წარმოადგენდა და ქართველებზე ფანატიკურად იყო შეყვარებული... რას იტყვით ამ პიროვნების შესახებ?**

— ვიტყვი იმას, რომ გერმანიის ელჩი, ქართველებზე შეყვარებული გრაფი **შულენბურგი,** სტალინისა და ბერიას ნიჭიერებით იყო მოხიბლული და მათ ძალიან გულშემატკივრობდა. **შულენბურგი** ჰიტლერს საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას არ ურჩევდა, რის გამოც ჰიტლერი მას უნდობლად ეკიდებოდა. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების წინ, 1941 წლის აპრილის შუა რიცხვებში, **შულენბურგი** ჰიტლერმა ბერლინში გამოიძახა. მათ მძიმე საუბარი ჰქონდათ. დიპლომატმა, რომელიც არასოდეს ყოფილა ნაცისტური პარტიის წევრი, ჰიტლერს უთხრა, რომ თუ სტალინს სთხოვდნენ, ბელადი გერმანიას დამატებით 5 მილიონ ტონა ხორბალს მიაწვდიდა. თქვენ წარმოგიდგენიათ, რამხელა მარაგები ჰქონდა სტალინს? ამ ყველაფრის ფონზე შეუძლებელია, არ გაგახსენდეს **ჩერჩილის** მიერ ლორდთა პალატაში წარმოთქმული სიტყვები — **მეგონა, სიბერე მომკლავდა, მაგრამ ვკვდები სიცილით, რადგან ნიკიტა ხრუშჩოვმა მოახერხა და რუსეთი უპუროდ დატოვა!**

**— დიდი სამამულო ომის დაწყების წინ სტალინის, როგორც დიდი პოლიტიკოსისა და უბადლო სტრატეგის, რომელ ნაბიჯს გამოყოფთ, რომელმაც ჰიტლერის გეგმები არია და მესამე რაიხი აიძულა, ომი საბჭოთა კავშირთან 1941 წლის 22 ივნისს დაეწყო?**

— დღეს ყველა სპეციალისტი თანხმდება იმაზე, რომ ჰიტლერის მიერ ომის დაწყება ივნისის მიწურულს საბედისწერო შეცდომა იყო. **ჰიტლერს** ომი ერთი თვით ადრე რომ დაეწყო, სექტემბრის ბოლოს, დიდი ალბათობით, მოსკოვს აიღებდა და მერე, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა!

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა „ბარბაროსა“ **ჰიტლერმა** 1940 წლის 18 დეკემბერს დაამტკიცა, როცა ხელი მოაწერა 21-ე დირექტივას. ამ გეგმის თანახმად, გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი 1941 წლის 15 მაისს უნდა დაეწყო, მაგრამ სტალინმა და ბერიამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ფაშისტების გეგმები აერიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მოვლენები, რომლებიც სტალინის ინსტრუქციითა და საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიური ჩარევით იუგოსლავიაში მოხდა. კერძოდ, 1941 წლის 25 მარტს იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრმა **დრაგიშა ცვეტკოვიჩმა** განაცხადა, რომ მისი ხელისუფლება შეუერთდებოდა ანტიკომინტერნულ პაქტს. ამას ქვეყანაში საშინელი არეულობა და საპროტესტო აქციები მოჰყვა. 27 მარტს გენერალმა **დუშან სიმოვიჩმა** იუგოსლავიაში გადატრიალება მოაწყო და ტახტზე მეფე მოიწვია. ჰიტლერი ცოფებს ყრიდა. მან მოუწოდა **მუსოლინის,** რომ ერთად დაერტყათ იუგოსლავიისთვის. 1941 წლის 6 აპრილს ფაშისტებმა იუგოსლავიაზე კონტროლი დაამყარეს და მთელი ქვეყანა გადაბუგეს, მაგრამ ეს ყველაფერი იმის ფასი დაჯდა, რომ ჰიტლერის გეგმები აირია და საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ 15 მაისიდან 22 ივნისისთვის გადაიწია. 1941 წლის მარტსა და აპრილში იუგოსლავიაში განვითარებულ მოვლენებს ჰყავს ერთი უცნობი ავტორი, რომლის სახელიც ბევრს არაფერს ეუბნება...

**— ვის გულისხმობთ?**

— თბილისში ცხოვრობდა ერთი ძალიან მაგარი ჩეკისტი **ზუბოვი.** იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენების წინ, **ლავრენტი ბერიას** მითითებით, **ზუბოვი** კრემლში გამოიძახეს, ხელში ბრილიანტებითა და ოქროებით სავსე ჩემოდანი მისცეს და იუგოსლავიაში გაგზავნეს. სულ ცოტა ხანში იუგოსლავიაში დაიწყო ანტისამთავრობო გამოსვლები და დაამხეს ხელისუფლება, რასაც მოჰყვა ჰიტლერისა და მუსოლინის ინტერვენცია. კაცი დავბერდი, დღემდე ვეძებ **ზუბოვის** შესახებ სრულფასოვან ინფორმაციას, მაგრამ ვერსად ვერაფერს წავაწყდი. როგორც ჩანს, იგი ძალიან ღრმა დაშიფვრის აგენტი იყო და უშუალოდ **სტალინისა და ბერიას** დირექტივებს ასრულებდა. ცხადია, რაც იუგოსლავიაში მოხდა, ეს სტალინის დიდი გამარჯვება იყო, რადგან მან ძვირფასი დრო მოიგო... უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1940 წლის 24 ნოემბერს გერმანიაში საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად **ვლადიმერ დეკანოზიშვილის** დანიშვნას. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დროს გაგზავნა იგი სტალინმა გერმანიაში? როცა ჰიტლერს გეგმა „ბარბაროსა“, ფაქტობრივად, დამტკიცებული ჰქონდა, ანუ სტალინმა დანამდვილებით იცოდა, ჰიტლერი რასაც გეგმავდა და ბერლინში ელჩად დასვა ტვინით გაპენტილი ქართველი — ყველაზე სანდო, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე გაწონასწორებული, რომელსაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტიც შეუნარჩუნა. 1941 წლის აპრილში, როგორც ჰიტლერმა გამოიძახა თავისთან **შულენბურგი,** ისე გამოიძახა სტალინმა ბერლინიდან **დეკანოზიშვილი,** რომელიც 1941 წლის 1 მაისის პარადზე ტრიბუნაზე თავის გვერდით დაიყენა. ერთმანეთის გვერდით მდგომი **სტალინისა და დეკანოზოვის** სურათებით მაშინდელი საბჭოთა პრესა მიზანმიმართულად აჭრელდა, იგივე სურათები დაიბეჭდა უცხოეთშიც... ამით სტალინმა ჰიტლერს მიანიშნა, რომ **დეკანოზიშვილი** უშუალოდ მისი თვალი-ყური იყო ბერლინში და მისი მეშვეობით კარგად იცოდა, თუ რისთვის ემზადებოდა ფიურერი... როგორც აღმოჩნდა, ჰიტლერი ვერაფერმა შეაჩერა და მათ შორის ვერც გერმანელი ერის დიდმა შვილმა, ქართველებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა **ფრიდრიხ ვერნერ შულენბურგმა. ვლადიმერ დეკანოზიშვილი** ლავრენტი ბერიამ 1953 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა. 1953 წლის 26 ივნისს **ბერია** საკუთარ სახლში რომ დახვრიტეს, ხრუშჩოვმა დეკანოზიშვილს პირადად დაურეკა — თათბირია და ჩამოდი, პლენუმზე უნდა იყოო! **დეკანოზიშვილი** მოსკოვში ჩავიდა თუ არა, მაშინვე დააპატიმრეს, ხოლო 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.

**— როგორი იყო დიდი სამამულო ომის პირველი დღე?**

— ეს იყო საშინელება... ფაქტობრივად, მთელი გენშტაბი პანიკაში იყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, **გიორგი ჟუკოვის** კისერზეა. მხოლოდ პირველ დღეს ფაშისტებმა 900 ერთეული საბჭოთა თვითმფრინავი აეროდრომებზე ააფეთქეს. 1941 წლის 26 ივნისს მტერი უკვე მინსკში შევიდა და 106-ე დივიზია პირწმინდად განადგურდა. პირველი ოთხი თვე საშინელება იყო, თუმცა, იმ 2 მილიონმა საბჭოთა ტყვემ, რომელიც ფაშისტებმა ხელთ იგდეს, გერმანელების წინსვლასა და გეგმებში სერიოზული ცვლილებები შეიტანა, რადგან ადამიანების ამხელა მასას ელემენტარულად საჭმელ-სასმელი და ყარაული სჭირდებოდა.

1941 წლის 22 ივნისს, როგორც კი ომის დაწყების შესახებ რადიომ გადმოსცა, **ირაკლი თოიძის** ცოლი გაგიჟებული შევარდა ქმრის სამუშაო ოთახში — **ირა, ირა, ომი დაიწყო!** თოიძემ შეხედა ცოლს და უბრძანა — არ გაინძრე, თამარა! მხატვარმა მოიმარჯვა თავისი იარაღები და იქვე დაიწყო გენიალური პლაკატის შექმნა — **„დედასამშობლო გვეძახის!“** ირაკლი თოიძემ პლაკატზე თავისი მეუღლე ოდნავ დააბერა და მისცა ისეთი სახე, რომ ქალი გამოკვეთილად არც ქართველს ჰგავს და არც — რუსს... მეორე დღეს მოსკოვის „პოლიტიზდატი“ ირაკლი თოიძის პლაკატს უკვე მილიონობით ტირაჟით ბეჭდავდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## ★ 80 წლის შემდეგ!

**გენერალისიმუსი**
**2025 წლის 10 თებერვალი. №6 (302)**

**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

## მერაბ შათირიშვილი:

# 49 ნაცდეპუტატის პარლამენტიდან გაძევება სრულიად სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან დამნაშავეებს პარლამენტში არაფერი ესაქმებათ!



***მწერალი მერაბ შათირიშვილი ბოლო ხანს საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებს იწონებს და საქართველოს პარლამენტიდან ნაცების გაძევების ფაქტს მიესალმება:***

— საქართველოში გადატრიალების მეოთხე მცდელობაც ჩაიშალა და ჩვენი სამშობლო ამჯერადაც გადარჩა. შეიძლება ითქვას, რომ **დონალდ ტრამპის** გამარჯვებამ სულზე მოგვისწრო, თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ უკრაინის ომმა დიდად შეუწყო ხელი ამერიკაში ხელისუფლების ცვლილებას. უკრაინა გაწირეს და უნდოდათ საქართველოს გაწირვაც, მაგრამ ხელისუფლებისა და ქართველი ერის გონიერების წყალობით, ქვეყანამ უდიდესი კატასტროფა თავიდან აიცილა. სხვათაშორის, ტრამპის გამარჯვებაში გარკვეული როლი ითამაშა უნგრეთის, სლოვაკეთისა და საქართველოს მტკიცე პოზიციამ ლგბტ გარყვნილებისა და აღვირახსნილი ლიბერალური ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც ტრამპის გამარჯვება დიდწილად განაპირობა — **დიფ სთეითმა (იგივე ფარული დასი. რედ.)** რუსეთი ვერ დააჩოქა! მასზე არ იმოქმედა ლიბერალი ფაშისტების მიერ დაწესებულმა სანქციებმა და ჩინეთი, ინდოეთი და ირანი დადგნენ რუსეთის გვერდით... ანუ **დიფ სთეითის (ფარული დასის. რედ.)** გეგმა რუსეთთან მიმართებაში ჩავარდა. ეს გეგმა წარმატებული რომ ყოფილიყო და რუსეთი დაეჩოქებინათ, ტრამპი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა!

**— საქართველოს პარლამენტში 49 ნაცდეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდა. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და რას იტყვით გიორგი გახარიას შესახებ, რომლის პოზიციაც გაურკვეველია და უცნობია, მისი პარტია პარლამენტში შევა თუ არა?**

— ნათქვამია — სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო! აქედან გამომდინარე, **49 ნაცდეპუტატის პარლამენტიდან გაძევება სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან დამნაშავეებს პარლამენტში არაფერი ესაქმებათ.** წინა პარლამენტში ნაცები ისე იქცეოდნენ, რომ იქაურობა ვაგზალს დაამსგავსეს — როცა უნდოდათ, შემოვიდოდნენ და როცა უნდოდათ, გავიდოდნენ! ატეხდნენ აყალმაყალს, ფულს ტყუილად ჩაიჯიბავდნენ და მერე დაიკარგებოდნენ.

**ძალიან კარგი, რომ ნაცები პარლამენტიდან გააძევეს!** საქართველოს ხელისუფლებამ ასეთივე პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს ყველა სხვა საკითხთან მიმართებაშიც. რაც შეეხება **გახარიას,** ხარაგაულში, სადაც შტაბის უფროსი ვიყავი, მას ცხოვრებაში ერთადერთხელ შევხვდი და ვუთხარი, რომ, თუ მოახერხებდა იმ განაწყენებული ხალხის შემომტკიცებას, რომელმაც 2012 წელს „ქართულ ოცნებას" ომი მოაგებინა და პოლიტიკური ველიდან განდევნიდა ნაცებს, მაშინ მის საქციელს გამართლება კიდევ ექნებოდა!

**— გახარიამ ამაზე რა გიპასუხათ?**

— ამას დიდი მუშაობა დასჭირდებაო! სამწუხაროდ, **გახარიასთან** მიმართებაში ჩემი იმედები აბსოლუტურად არ გამართლდა და ის ნაცებს ჩაეხუტა. აი, ახლაც, **ხატია დეკანოიძის** ბრძანებით, გახარიას პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ფეისბუქპოსტი წაშალა, სადაც წერდა — **პარლამენტი 49 ნაცმა დატოვა და 83 ნაცი დარჩაო!** ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი... საერთოდ, ნაცები ძალიან საშიში სექტაა, რომლის ბოროტებასაც საზღვარი არ გააჩნია. მაგალითად, ჩემს ახლობელ ქალბატონს, რომელიც პედაგოგია, ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. მისი შვილები — ორი ბავშვი თბილისში ბებიასთან ცხოვრობენ და დღედაღამ ნაცების მიტინგებზე დგანან. ჩემი ახლობელი ქალბატონი, ანუ ამერიკაში მყოფი ახალგაზრდა ქალის დედა და მიტინგზე მდგომი ბავშვების ბებია, ამ ხელისუფლების მომხრეა და შვილიშვილებს მიტინგზე ყოფნას უშლის. ამის გამო ერთადერთმა ქალიშვილმა დედას ამერიკიდან ფულის გამოგზავნა შეუწყვიტა — ქოცი ხარ და ჩემგან ვერაფერს ეღირსებიო! გეკითხებით, ამის ჩამდენი ადამიანი ავადმყოფი და ფაშისტი არ არის? ასეთი ადამიანი საშიში არ არის?

**— საქართველოს ხელისუფლებამ გაამკაცრა კანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და დაამძიმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაც, როცა პოლიციელის ან სახელმწიფო მოხელის ფიზიკური ხელყოფა და შეურაცხყოფა ხდება. ხელისუფლება ასევე აპირებს, გაამკაცროს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ და პირდაპირ ამერიკული „ფარას" კანონი აამოქმედოს. ცვლილებები შედის პრესის შესახებ რეგულაციებშიც და ინერგება დიდი ბრიტანული ბიბისის სტანდარტი! რას იტყვით?**

— ყველაფერს მივესალმები! **დონალდ ტრამპის** მიერ ამერიკული **„იუსაიდისა" და „ნედის"** დანგრევამ და გაშიშვლებამ ნათლად წარმოაჩინა, თუ როგორი გეგმები ჰქონიათ ამ გარეწრებს საქართველოს მიმართ. ახლა ისეთი ვითარებაა, საქართველოს ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში უკან არ უნდა დაიხიოს! ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს... სხვათაშორის, არც **ტრამპს** აქვს სხვა გამოსავალი და ამერიკის პრეზიდენტმა **დიფ სთეითს (ფარულ დასს. რედ.)** ბოლომდე უნდა შეუტიოს! დარწმუნებული ვარ, რომ იმ სანქციებს, რომლის დაწესებაც **ბაიდენის** ადმინისტრაციამ **ბიძინა ივანიშვილსა** და სხვა ქართველ მაღალჩინოსნებზე მოასწრო, **ვიქტორ ორბანის** დახმარებით, **ტრამპი** გააუქმებს, მაგრამ შესაძლოა, ამას დასჭირდეს დრო. ამიტომ საქართველომ დიპლომატია უნდა გააქტიუროს და პროცესების აჩქარებას თავადაც შეეცადოს...

**— ე.წ. დოი და მისი მსახიობები რომ საქართველოს ქალაქებში დაძრწიან და ვითომ პროტესტის აგორებას ცდილობენ, ამაზე რას იტყვით? სახელმწიფო თეატრი ასე უნდა იქცეოდეს?**

— როგორი „ჟურნალისტიც" **მზია ამაღლობელია,** ისეთი „რეჟისორია" **დოიც!** სხვათაშორის, **დოის** მსახიობებს შორის არის ერთი ბიჭი, რომელიც კაცების — **კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის** პაროდიას აკეთებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაცების როლის განმსახიერებელს თავად კაცობის ნატამალიც კი არ აქვს! რად უნდა ლაპარაკი იმას, რომ დოისა და მის მსახიობებს ამერიკელებისგან, კერძოდ, **„იუსაიდისა" და „ნედის"** ადგილობრივი აგენტებისგან, ფული აქვთ აღებული და იმიტომაც დაძრწიან ქალაქ-ქალაქ! დამთავრებულია მაგათი ამბავი და, მგონი, ამას თვითონაც კარგად ხვდებიან, მაგრამ **სალომე ზურაბიშვილისა** არ იყოს, დავალება აქვთ ასეთი. ეს ქალი უკვე ღრმა დეპრესიის ფაზაშია. ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, **სალომე ზურაბიშვილს,** რომელსაც დიდი ხანია, გარეკილი აქვს, სულ მალე თავისიანები დაუწყებენ ლანძღვას! სხვათაშორის, ეს პროცესი უკვე დაწყებულია...

**— ხელისუფლება 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, რა იქნება ამ საქმის ბოლო და ვის დაიჭერენ?**

— დავიწყოთ იმით, რომ **ნიკუტუ გვარამიას, ლიაკა ხოშტარიასა** და სხვა ოდიოზური ფიგურებისა თუ აგენტების დაჭერას აზრი არა აქვს, თუ ამ მავნებლებს დაფინანსების წყაროები არ გადაეკეტათ. უკვე დამტკიცებულია, რომ, რაც დღეს რუსთაველზე ხდება, ეს ყველაფერი დაფინანსებულია უცხო ძალების მიერ. რაც შეეხება 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას, ვინც 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში პოლიციის ნაცვლად კრიმინალების ე.წ. ჯარი შეიყვანა, ის არ უნდა გასამართლდეს? საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ზვიადის მკვლელობას გამოძიება არ უნდა? 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია სინამდვილეში გადატრიალება რომ იყო და პარლამენტში იარაღებით იყვნენ შეჭრილი, ეს არ უნდა გამოიძიონ? 2008 წლის აგვისტოს ომში გიგი უგულავა სამხედრო ბრძანებებს რომ გასცემდა, ეს დაუსჯელი უნდა დარჩეს?

**— თუ ეს დანაშაულები არ გამოიძიეს და დამნაშავენი არ დასაჯეს, მაშინ რა მოხდება?**

— თუ ამ დანაშაულებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ გახსნის და დამნაშავეებს არ დასჯის, მაშინ ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ „ქართული ოცნება" ტოვებს ე.წ. ლუფტს, რათა ყველა ზემოხსენებული უბედურება მომავალშიც გამეორდეს და პასუხი არავინ არაფერზე აგოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ვინც 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში პოლიციის ნაცვლად კრიმინალების ე.წ. ჯარი შეიყვანა, ის არ უნდა გასამართლდეს?"**

**„2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია სინამდვილეში გადატრიალება რომ იყო და პარლამენტში იარაღებით იყვნენ შეჭრილი, ეს არ უნდა გამოიძიონ?"**

**„საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ზვიადის მკვლელობას გამოძიება არ უნდა?"**



**„დოისა და მის მსახიობებს ამერიკელებისგან, კერძოდ, „იუსაიდისა" და „ნედის" ადგილობრივი აგენტებისგან, ფული აქვთ აღებული და იმიტომაც დაძრწიან ქალაქ-ქალაქ!"**




**საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფის საავტორო ტელეგადაცემის საგაზეთო ვერსია**

# იგორ გიორგაძე: მოდით, ვისაუბროთ არსებითზე!

***რუსეთის მედიაში გავიდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, პარტია „სამართლიანობის“ ლიდერის, გენერალ-ლეიტენანტ იგორ გიორგაძის საავტორო გადაცემა „არსებითზე, იგორ გიორგაძესთან ერთად“, რომელშიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში ავტორის დამოკიდებულებები და რიგი პრობლემების გამოსწორების მისეული სურვილებია ასახული. გთავაზობთ ამ გადაცემის საგაზეთო ვერსიას:***

— 2024 წლის მიწურულს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო — „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ხალხის იმაში დარწმუნება, რომ ახალი წლიდან ხელისუფლება ახალ ცხოვრებას დაიწყებდა და ჯერ კიდევ 2012 წელს მიცემულ პირობას, ბოლოს და ბოლოს, შეასრულებდა! მთელ ჩემს ხალხთან, ნათესავ-ახლობლებთან, თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებთან ერთად მეც ძალიან მინდა მწამდეს, რომ ისტორიის მორიგ გარდამტეხ ეტაპზე ამჟამინდელი ხელისუფლება მართებულ დასკვნებს გამოიტანს და ღვთის ბოძებულ ჩვენს სამშობლოს მშვიდობის, სამართლიანობისა და ტრადიციულ-ზნეობრივი ფასეულობების გზით წაიყვანს.

შეგახსენებთ, რომ 13 წლის წინათ ჯერ კიდევ ახლად დაფუძნებული პარტია „ქართული ოცნება“ ხალხს სამართლიანობის აღდგენასა და საქართველოში გამეფებული უკანონობის აღმოფხვრას დაჰპირდა. ასევე მიცემულ იქნა პირობა, რომ სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები გაიწმინდებოდა ნაციონალებისაგან და, რაც მთავარია, მოხდებოდა დასავლელი კურატორებისაგან გათავისუფლება.

ახალ, 2025 წელს, საბოლოოდ უნდა შეწყდეს პარტიების, პოლიტიკოსებისა და, ზოგადად, ადამიანების შეფასება დასავლეთის მიერ თავსმოხვეული საზომებით, საზოგადოების დაყოფა პრორუსულ და პროდასავლურ ფლანგებად. ამასთან, ხელისუფლებამ უმოკლეს ვადებში უნდა გადასინჯოს სააკაშვილის მიერ უკანონოდ მსჯავრდებულთა საქმეები, ვისაც გრძელვადიანი ან სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. სამწუხაროდ, ის მოსამართლეები და პროკურორები, ვინც ეს ადამიანები სააკაშვილის დროს ციხეებში გამოკეტა, მათი საქმეების გადასინჯვაზე უარს ამბობენ. პირველ ყოვლისა, ესაა უკანონო პატიმრობაში მყოფი **თეიმურაზ შარაშენიძის, ვლადიმერ არუთინიანის, ნიაზ ჩხვიმიანის, ირაკლი დოქვაძის** საქმეები.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სავსებით ბუნებრივ შეკითხვაზე — **თუ რატომ არ ხდება საქმეების გადასინჯვა,** ხელისუფლების წარმომადგენლები ხელებს შლიდნენ — აქაოდა, ესენი რომ გამოვუშვათ, მაშინ იმათი დაკავება მოგვიწევს, ვინც მათ მიმართ უკანონობას სჩადიოდა, ეს კი სცილდება ჩვენს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან დადებული შეთანხმების ფარგლებს, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივ კლანს ხელს არ ვახლებთო.

## დიდი იმედი მაქვს, რომ წელს ხელისუფლება შეასრულებს ქართველი ხალხისადმი მიცემულ პირობას და ყოფილი კურატორების მითითებებს აღარ დაელოდება.

ხელისუფლებას მოუწევს, დაუყოვნებლივ შეამოწმოს მუდმივ მოსამართლეთა შემადგენლობა, სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოთა, ასევე პროკურატურის თანამშრომელთა მთელი კორპუსი. უნდა გადაისინჯოს საქართველოს ათასობით მოქალაქისათვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის საქმეები, უპირველესად, ეგრეთ წოდებულ „დამის ნოტარიუსთა“ მონაწილეობით.

აუცილებელია, ხელისუფლებამ გადასინჯოს საქართველოში დაბადებული პირებისათვის პირადობის მოწმობათა გაცემის წესებიც. უნდა ამოქმედდეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც ქვეყანაში დაბადებულ პირს იმთავითვე ექნება ამ ქვეყნის — ამ შემთხვევაში, საქართველოს — მოქალაქეობის უფლება.

მოგიყვანთ ასეთ მაგალითს — საქართველოში დაბადებული და გაზრდილი მეცნიერი რუსეთში გაემგზავრა სამუშაოდ, იქ მიიღო აკადემიკოსის წოდება, შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა ქართული მოქალაქეობის მისაღებად. მას შემდეგ, რაც კომისია დარწმუნდა, რომ ეს ადამიანი სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას, ასეთი საგამოცდო კითხვა დაუსვეს: **„რა იყო ქართველთა რელიგია ქრისტიანობის მიღებამდე?“** — ამ ადამიანმა ვერ უპასუხა ისე, როგორც ეს კომისიისათვის სასურველ პასუხში იყო გაწერილი და საქართველოს მოქალაქეობა არ მისცეს. **ვეკითხები ხელისუფლებას:** ეს ნორმალურია?

უნდა გადაიხედოს პირადობის დამადასტურებელი საბუთის გაცემის წესიც ქართულის არმცოდნე სხვა ეროვნების პირთათვის. მოვიყვან ჩემი მეგობრის მაგალითს: მას ბელორუსი მეუღლე ჰყავს, საბჭოთა პერიოდში მოაწერეს ხელი, საქართველოში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ეყოლათ ორი ქალიშვილი, რომლებიც შემდეგ საქართველოს მოქალაქე ქართველებს გაჰყვნენ ცოლად. ორივე ქალიშვილი საქართველოს მოქალაქეა. მათი შვილები, შესაბამისად, ჩემი მეგობრისა და მისი მეუღლის შვილიშვილები, ასევე საქართველოს მოქალაქეები არიან. მაგრამ ამ ქართველთა დედასა და ბებიას ქართული პირადობის მოწმობა არ მისცეს — აქაოდა, ქართულს არ ფლობსო. თუმცა, ქართულად ყველაფერი ესმის და თავისებურად, სახალისოდ და მომხიბვლელად ლაპარაკობს კიდეც. **ვსვამ კითხვას — ნუთუ ეს დასაშვებია?**

აუცილებელია, ქართულ პირადობის მოწმობებში დაბრუნდეს მამის სახელის გრაფა, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იქნა გაუქმებული იმ მიზნით, რომ მომავალში ცნებები — „მშობელი №1“ და „მშობელი №2“ შემოეღოთ. აუცილებელია იმ ადამიანთა და, პირველ ყოვლისა, სააკაშვილის ცოლის პასუხისგებაში მიცემა, ვინც სააკაშვილის რეჟიმის დროს საპატიმროებში მყოფთა შინაგანი ორგანოებით ვაჭრობა სისხლიან ბიზნესად აქცია!

უნდა დაიწყოს საქართველოს 35-წლიანი დამოუკიდებლობის შეფასების პროცესი და, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსგავსად, პოლიტიკური და სამართლებრივი დასკვნები გაკეთდეს ყველა მიღწეულ წარმატებასთან, ყველა დაშვებულ შეცდომასა თუ დანაშაულთან მიმართებაში. ეს ეხება როგორც პოლიტიკურ პარტიებსა და საჯარო ორგანიზაციებს, ასევე კონკრეტულ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა საქმეებს — ყოველივეს, რამაც, 1991 წლიდან მოყოლებული, მოქალაქეთა ცხოვრებაზე ესა თუ ის გავლენა მოახდინა.

**აუცილებლად უნდა იქნას გატანილი სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს კონსტიტუციაში ჩასწორებების შეტანის საკითხი.**

**„აუცილებელია, ქართულ პირადობის მოწმობებში დაბრუნდეს მამის სახელის გრაფა, რომელიც გაუქმებული იქნა იმ მიზნით, რომ მომავალში ცნებები – „მშობელი №1“ და „მშობელი №2“ შემოეღოთ!“**

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ადამიანს ლამის მთელი ქვეყანა აქვს ნაყიდი, მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონია და **სახლიდან გამოსვლის ეშინია!** მე მინდა ახლა მარტივი კითხვა დავსვა — **ვინ არის რეალური პატიმარი? ბიძინა ივანიშვილი** თუ **მზია ამაღლობელი?!**

„ახალი თაობა“

**ანი წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაცების ხელისუფლებაში მყოფი მინისტრები, იმ **9 წლის ლიდერები** — სხვადასხვა პარტიაში გადაყუსულები **ისე არიან ჩუმად გარინდული, გეგონებათ, მათ არ ეხებათ და ის 9 წელი — მე, ბოკუჩავა და ხაბეიშვილი** ვიყავით პასუხისმგებლები სკოლიდან.

„რეზონანსი“

**ნოდარ კაპანაძე**
*სტატისტიკის სპეციალისტი*



ეს აქციები, მაგალითად, **„ჩააფურთხე“, აუცილებლად აისახება რესტორნების, კაფეებისა და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შემოსავლებზე.** პირადად მე ძალიან მიკვირს, **რესტორნების გილდია,** თუ ასეთი არსებობს, რატომ არ იღებს ხმას და არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან **მათი ზარალის დათვლა, რაც ამ მოწოდების შემდეგ მიიღეს, შესაძლებელია.**

„თბილისელები“

**კობა ხაბაზი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ბევრი რამ მეამაყება, მაგალითად, ის, რომ **მერაბ კოსტავას თანამებრძოლი და შვილობილი ვიყავი,** ის, რომ ეროვნული მოძრაობა გამოვიარე, ისიც, რომ **ლენინის ძეგლები პირველმა მე ჩამოვაგდე.**

„თბილისელები“



ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი ყოფილი ცოლი სანდრა რულოვსი

## „აუცილებელია იმ ადამიანთა და, პირველ ყოვლისა, სააკაშვილის ცოლის პასუხისგებაში მიცემა, ვინც სააკაშვილის რეჟიმის დროს საპატიმროებში მყოფთა შინაგანი ორგანოებით ვაჭრობა სისხლიან ბიზნესად აქცია!“

**რეფერენდუმის მთავარი საკითხები ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პუნქტების კონსტიტუციიდან ამოღებას და ქვეყანაში ლგბტ თემისა თუ სქესის შეცვლის სრულ აკრძალვას უნდა ეხებოდეს.**

სხვათაშორის, მთელი ეს პუნქტები საქართველოს კონსტიტუციაში დასავლეთის ზეწოლით დღევანდელმა ხელისუფლებამ შეიტანა.

ლოზუნგი — **„2028 წლისთვის ღირსეულად შევალთ ევროკავშირში“** პროფანაციაა. ევროკავშირსა და ნატოში შესვლაზე უარის თქმის გარეშე კვლავაც ორ სავარძელზე ჯდომის ხელმოცარულ პოლიტიკას ვუბრუნდებით. **შეუძლებელია, ამტკიცებდე, რომ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ვერავინ ჩაითრევს და ამავდროულად იმეორო, რომ ოდნავ მოგვიანებით ქვეყანა მაინც ღირსეულად შევა ევროკავშირსა და ნატოში!**

ჯერ ერთი, რანაირად შეიძლება, ღირსეულად შეხვიდე უღირს ორგანიზაციებში, რომლებიც ჩვენს ზნეობრივ და სულიერ ფასეულობებს აპრიორში უარყოფენ, მსოფლიოში სატანიზმს ნერგავენ, მთავარ მტრად კი რახანია, რუსეთი გამოაცხადეს?

მეორეც, თუკი საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიზნად ევროკავშირი და ნატო რჩება, **ეს მას ავტომატურად აქცევს რუსეთის, ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოებისა და ОДКБ-ს** (კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის) **პოტენციურ მოწინააღმდეგედ.** ეს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორის სომხური ვარიანტის შენიღბული გამეორებაა და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად აუცილებელია, მთელმა ქართველმა საზოგადოებამ იმუშაოს სახელმწიფო იდეოლოგიის ფორმულირებაზე, რომელიც განახლებულ კონსტიტუციაში უნდა იქნას შეტანილი.

უნდა გავიაზროთ ჩვენი სამიათასწლიანი ისტორია და ჩამოვაყალიბოთ **ქართველი ხალხის გამაერთიანებელი იდეა,** რომლისთვისაც ვიცხოვრებთ, ვიღვაწებთ და ავაშენებთ საქართველოს აწმყოსა და მომავალს. ეს გახლავთ იდეა, რომელიც ჩვენ, ქართველ ხალხს, ყოველდღიურ ცხოვრებაში გზამკვლევ შუქურად გვექცევა და რომლისთვისაც, თუ საჭირო გახდა, სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლესაც დავდებთ. მაღალფარდოვანია? დიახ. მაგრამ ამის გარეშე არც სახელმწიფოს წარმოდგენა შეიძლება და არც სამშობლოსი.

ცხადია, ხელისუფლებას ბოლოს და ბოლოს მოუწევს დღის წესრიგში მდგომი ყველაზე მტკივნეული პრობლემის გადაჭრა — **ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან შერიგება.** საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მომავლისათვის ამ გადამწყვეტ და საბედისწერო საკითხში ორი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებაა აუცილებელი.

**პირველი:** ყოველივე იმაში, რაც ქართველ ხალხს უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში დაატყდა თავს, პირველ რიგში კი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-„სამხრეთოსური“ ომის გაჩაღებაში — არც რუსებს მიუძღვით ბრალი, არც აფხაზებს, არც ოსებს, არც ამერიკელებს ან ვინმე სხვას. **ამაში მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვართ დამნაშავე. უფრო სწორად, ჩვენი ეგრეთწოდებული პოლიტიკური ელიტა, რომელმაც სისხლისმღვრელ შეჯახებაში მოძმე ერებს დაგვაპირისპირა.**

**მეორე:** განვთავისუფლდეთ იმ ილუზიისაგან, თითქოს საკმარისია, კრემლმა აფხაზებსა და ოსებს საქართველოს წიაღში დაბრუნება უბრძანოს და პრობლემა წამში მოგვარდება. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ დე იურე ნაწილობრივ აღიარებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების აღდგენა უკიდურესად რთული პროცესია, რომელიც ძალზე სკრუპულოზურ, შემწყნარებლურ და სათუთ მიდგომას მოითხოვს. **ეს პროცესი სრულიად საქართველომ ღვთის წინაშე ცოდვათა მონანიებით და აფხაზი და ოსი ხალხებისათვის ბოდიშის მოხდით უნდა დაიწყოს.**

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სახელმწიფოს ბურჯს სამართლიანობასთან ერთად განათლება და აღზრდაც შეადგენს. ამ მხრივ ხელისუფლებამ უნდა მოინანიოს ის, რომ მისი თორმეტწლიანი მმართველობის პერიოდში გრძელდებოდა ქართველი ბავშვების, სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტების სწავლება და აღზრდა სატანისტი სოროსის მეთოდებით.

საპროტესტო აქციებმა ნათლად დაგვანახა, თუ რა თაობა გავზარდეთ. **ახალგაზრდობას არ ვადანაშაულებ, არამედ ხელისუფლებას ვდებ ბრალს იმაში, რომ 1991 წლიდან მოყოლებული დღემდე, აღზრდისა და განათლების საკითხები ლიბერალ-გლობალისტებს ჩააბარეს და საშუალება მისცეს, ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნება ისეთნაირად გადაეფორმატებინათ, რომ ქართველი ახალგაზრდობა დღეს სხვისი ინტერესების გამტარებელ, უიდეო და უზნეო შემსრულებელთა დასავლეთიდან მართულ ზომბირებულ მასად აქციეს.** ამის დამშვები საქართველოს ხელისუფლების მისამართით უპრიანია, გამოვიყენოთ ნაპოლეონის ცნობილი სამოქალაქო კოდექსის შემქმნელი საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარის **ბულე დე ლა მერტის** სიტყვები, რომლითაც მან **იმპერატორი ჰერცოგ დ'ენგიენის** სიკვდილით დასჯისათვის გაამტყუნა. მან შესძახა: **„ეს დანაშაულზე უარესია. ეს შეცდომაა!“** ამიტომაც აუცილებელია, უმოკლეს დროში მოვიზიდოთ ჩვენი აკადემიკოსები, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები, სკოლის პედაგოგები — ყველა, ვინც **სოროსის მომაკვდინებელი ბაცილებით** არ არის ინფიცირებული და, მათი ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდეს ახალი, ხოლო, სადაც საჭიროა, აღდგეს ძველი სასკოლო პროგრამები და სკოლის მოწაფეთა და სტუდენტთა სწავლების მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და ტექნიკური კადრების მომზადების მეთოდები; ხელახლა შემუშავდეს საქართველოს ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების სისტემა.

დაბოლოს, ჩვენი წარმატებული განვითარებისა და ღირსეული მომავლის კიდევ ერთი აუცილებელი საწინდარი: **უნდა მოვიცილოთ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩვენი ხალხისათვის თავსმოხვეული სახელმწიფო სიმბოლოები და შემოვიღოთ საქართველოს ახალი დროშა, რომელიც სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის პარტიული ალამი აღარ იქნება!** შემოსაღებია ახალი ჰიმნი და გერბიც და ამ საკითხის გადასაჭრელად უნდა მივმართოთ ქვეყნის შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის მთელ ინტელექტუალურ პოტენციალს. დაე, საქართველოს დროშის დანახვისა და ჰიმნის გაგონებისთანავე ჩვენს თითოეულ მოქალაქეს — დიდსა თუ პატარას — სიამაყის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების და ქვეყნის ღირსეული მომავლის ამაღლებული განცდა დაეუფლოს.

## „შემოვიღოთ საქართველოს ახალი დროშა, რომელიც სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის პარტიული ალამი აღარ იქნება!“

*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*„ქოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერი*



**ან ჩვენ დავამხობთ ივანიშვილს** და გამოვტაცებთ სამშობლოს რუსეთს, **ან ეს პროტესტები დარჩება ლამაზ მოგონებად,** რაზეც ემიგრაციაში ცრემლებს ვაღვარღვარებთ.

„ფეისბუქი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



მოქალაქე **გვარამიას** განცხადება **შეიცავს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას,** რომელიც ცალსახად დანაშაულებრივია და ეს თავადაც იცის. თუ სურს, თავის თანამოაზრეების ბედი გაიზიაროს, ამ შემთხვევაში, სწორი გზა აურჩევია. **გზა დავულოცოთ!**

„ფეისბუქი“

**გიგი უგულავა**
*პოლიტიკოსი*



**სულ ფეხზე მკიდია, შსს რას იტყვის,** კონსტიტუციის მიხედვით, **ჩვენ გვაქვს პროტესტის უფლება,** მათ შორის, **მაგისტრალის გადაკეტვის.**

„პირველი არხი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



აქციის ორგანიზატორებს ვურჩევდი, რომ **ამ ეტაპზე რუსთაველი დაივიწყონ,** ახლა ის არ არის მთავარი. **უნდა გაიშალოს ეს პროტესტი მთელი საქართველოს მასშტაბით.** ვნახოთ, აბა, რამხელა რესურსები გააჩნიათ მათ.

„ახალი თაობა“

**ელენე ხოშტარია**
*„ქოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი*



**ძალიან ბევრნი თუ ვიქნებით,** არ არსებობს მათი ქაღალდი და დაშინების კანონები, **თუ არ ვიქნებით ბევრნი,** მაინც მოვიგებთ, უბრალოდ, **მეტი დრო დაგვჭირდება და მეტი მსხვერპლი.**

„პირველი არხი“

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-6*



# ლაზარე ჯორბენაძე: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოკრიბოს ის ყარტა-ყურტა ხალხი, რომელსაც ამერიკული „იუსაიდისა" და „ნედის" დამნაშავე ხელმძღვანელებისგან ფული აქვს აღებული და ხუთი-ექვსი წლით გლდანის ციხეში გამოკეტოს!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე აცხადებს, რომ საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეებში პატიმრების წამებაზე ტრენინგებს სწორედ „იუსაიდი" აფინანსებდა და ამ საშინელი პროგრამის ხელმძღვანელი იყო გივი მიქანაძე, რომელიც 2005 წელს ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის მოადგილედ დაინიშნა:***

— მოგვიანებით, 2017 წელს, „იუსაიდს" საქართველოში ხელმძღვანელობდა ერთი არაბი კრეტინი, რომელიც გაქანებული პედე....ტი! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** გახლდათ. 2017 წელს საქართველოში რომ დიდი არეულობა მოხდა და ამ გაფუჭებულმა ლგბტ აგენტურამ ე.წ. ტაბურეტკიან მღვდელზე ატეხა ერთი ამბავი, სწორედ მაშინ **თბილისში ჰომოსექსუალების აქციებს აფინანსებდა ამერიკული „იუსაიდი" და მისი ჰომოსექსუალი არაბი ხელმძღვანელი, რომელიც ქართველ ერზე, ჩვენს ტრადიციებზე, ჩვენს მართლმადიდებლობასა და მენტალიტეტზე გაავებული იყო.**

## 2017 წელს თბილისში პედე...ტების *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* მიერ ანტისამთავრობო აქციების ორგანიზებისთვის „იუსაიდმა" 8 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა!

**— უკვე დოკუმენტებით არის გაცხადებული და დამტკიცებული, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე „იუსაიდს" მისთვის სასურველი აგენტურის — ე.წ. პოლიტიკური პარტიების ხელისუფლებაში მოსაყვანად და „ქართული ოცნების" დასამხობად 41 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული!**

— ყველა ლგბტ ორგანიზაციისა და სახელმწიფო გადატრიალების თითოეული მცდელობის უკან სწორედ ამერიკული **„იუსაიდი", „ნედი", „აირაი" და „ენდიაი"** იდგნენ! ხომ არ გგონიათ, რომ ამ ხელიდან წასულების დასაფინანსებლად ამერიკელები ფულს იშურებდნენ?! არამც და არამც! მაგალითად, 2022 წელს **ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობამ"** ზემოხსენებული ორგანიზაციებიდან 2 მილიონ 700 ათასი ამერიკული დოლარი მიიღო. სწორედ **„იუსაიდის", „ნედის", „ენდიაისა" და „აირაის"** მიერ გადმორიცხული ათეული და, საერთო ჯამში, ასეული მილიონი დოლარით დაფინანსებული არიან **კოლექტიური ეკა გიგაურები — გვარამია, ხოშტარია, ვაშაძე, მელია, ლომჯარია, მიქელაძე, ქურდოვანიძე, დოლიძე, ჯაფარიძე** და სხვები. ამ ფულით ცდილობდნენ ისინი ხელისუფლების დამხობას, მაგრამ **ტრამპის** გამარჯვებამ და **ილონ მასკის** მიერ „იუსაიდისა" და „ნედის" მავნებლური საქმიანობის გამოაშკარავებამ საქართველოს ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაუხსნა!

„ქართული ოცნების" ჭკუის მასწავლებლად არ გამოვდგები, მაგრამ ამ ხელისუფლების რაღაც მომწონს, ხოლო რაღაც არ მომწონს... მაგალითად, მომწონს ის, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს ხელისუფლება კბილებით იცავს და აგენტურას თავს არ უხრის, მაგრამ **მურუსიძის სასამართლოსა** და **ადეიშვილის პროკურატურის** შენარჩუნება არ მომწონს! ახლა მოქმედების დროა და ხელისუფლება შეტევაზე უნდა გადავიდეს!

**— რას გულისხმობთ, ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?**

— ხელისუფლებამ ამერიკაში არსებული ვითარებით უნდა ისარგებლოს, **„იუსაიდისა" და „ნედის"** წინააღმდეგ აგორებული სკანდალი საქართველოს სასარგებლოდ გამოიყენოს და აგენტურა სამართალში მისცეს! ამერიკაში საქმე იქითკენ მიდის, რომ **„იუსაიდისა" და „ნედის"** ამერიკელ შეფებს ამერიკელი ხალხის ფულის გაფლანგვისთვის, დიდი ალბათობით, დააპატიმრებენ! **აი, სწორედ ამით უნდა ისარგებლოს საქართველოს ხელისუფლებამ და ამერიკის ხელისუფლებისგან გამოითხოვოს მასალები, თუ ვის უგზავნიდნენ ამერიკელი დამნაშავეები საქართველოში ფულს!** როგორც კი ამერიკიდან მოწოდებული ეს დოკუმენტები გასაჯაროვდება, სახელმწიფო გადატრიალების მუხლით უნდა დააპატიმრონ **კოლექტიური ეკა გიგაურები** და ნაცმოძრაობის წევრები, მაგრამ იზამს თუ არა „ქართული ოცნება" ამას, არ ვიცი!

ცნობისათვის, 2012 წლის შემდეგ საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების აგენტურის დაფინანსება ძალიან გაიზარდა, რადგან ხელისუფლების სათავეში ამერიკისა და ევროპის მმართველი წრეებისთვის არასასურველი ხელისუფლება მოვიდა. „ქართული ოცნება" სწორედ 2012 წლის შემდეგ გადმორიცხული თანხების კვალს უნდა გაჰყვეს, მათი მიზნობრიობა შეისწავლოს და შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს! იმ დოკუმენტებით საბოლოოდ დადასტურდება, რომ **„იუსაიდისა" და „ნედის"** ამფსონები საქართველოში თავიანთ აგენტებს ფულს დირექტივებით უგზავნიდნენ, რათა არჩეული ხელისუფლება დაემხოთ. **იმ გაშიფრულ დოკუმენტებში აუცილებლად იქნება საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გადმორიცხული თანხებიც...** დიახ, ყველა თანხას თან მოჰყვებოდა შესაბამისი დირექტივა — რა უნდა დაენგრიათ, ვისთვის უნდა შეეტიათ და სად უნდა აემღვრიათ წყალი! სხვათაშორის, საქართველოში, სააკაშვილის რეჟიმის დროს, 2004-2005 წლებში, ციხეებში პატიმრების წამებაზე ტრენინგებს სწორედ „იუსაიდი" აფინანსებდა და ამ საშინელი პროგრამის ხელმძღვანელი იყო **გივი მიქანაძე,** რომელიც 2005 წელს ავადსახსენებელი **ზურაბ ადეიშვილის** მოადგილედ დაინიშნა. 2008 წლამდე, როგორც **ადეიშვილის** მოადგილე, სწორედ **გივი მიქანაძე** კურირებდა პენიტენციურ სისტემას და იმ საშინელი რეჟიმის ერთ-ერთი ორგანიზატორია. ამდენად, გასაკვირია, რაში სჭირდება „ქართულ ოცნე-



**„პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებასა და მკვლელობას, დიდი ალბათობით, გიგა ბოკერიაც ესწრებოდა!"**



*სერგო თეთრაძე*

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**პოლიციელზე, საჯარო მოხელეზე თავდასხმა უმკაცრესად დასასჯელია** დასავლური სტანდარტებითაც. **სულ ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას ოპონენტებისადმი ე.წ. ლმობიერების გამო,** უნდა დასრულდეს ეს ყველაფერი! **თავხედმა კრიმინალებმა უნდა დაინახონ კანონის ძალა!**

„რეზონანსი"

**ხატია დეკანოიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის" წევრი*



ესენი **არ არიან პოლიციელები,** ესენი **არიან ველურები** — არ გვეშინია!

„ახალი თაობა"

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



წინააღმდეგობის მონაწილეებს **პროტესტის გაფართოების პრობლემა აქვთ...** უფრო მეტი სოციალური თემა რომ იყოს, უკეთესია. **რაც შეეხება მაგისტრალების გადაკეტვას,** მე ასეთი რაღაცების მომხრე არ ვარ.

„რეზონანსი"

**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*



**მარტის თვიდან ძალიან ბევრი რაღაც შეიცვლება** როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ჩვენთან. **სერიოზული ეკონომიკური რყევები დაიწყება.** ჩვენ სწორად უნდა ვთქვათ: **წადი!**

„ახალი თაობა"

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



გვირჩევნია, **ნაგავი ქუჩაში დავაგდოთ, ვიდრე ურნაში ჩავაგდოთ,** მიუხედავად იმისა, რომ **სულ ევროპელობას მივესწრაფვოდით.**

„თბილისელები"

# „ყველა ლგბტ ორგანიზაციისა და სახელმწიფო გადატრიალების თითოეული მცდელობის უკან სწორედ ამერიკული „იუსაიდი“, „ნედი“, „აირაი“ და „ენდიაი“ იდგნენ!“




ბას“ ასეთი კომპრომეტირებული და ყოველმხრივ გაშიფრული კაცი? ბატონი **მამუკა მდინარაძე** ბრძანებდა — ამ რამდენიმე წლის წინათ სამართლიანობას ვერ აღვადგენდით, რადგან ჩვენს რიგებშიც იყვნენ ლიბერალები და შიგნიდან აგვაყირავებდნენო! კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, თავად **პრეზიდენტი ტრამპი** დაერია ამ გარეწრებს და აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა ნამდვილად სურს, ამაზე უკეთეს დროს ვერასოდეს ნახავს! ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოკრიბოს ის ყარტა-ყურტა ხალხი, რომელსაც ამერიკული **„იუსაიდისა“ და „ნედის“** დამნაშავე ხელმძღვანელებისაგან ფული აქვს აღებული და ხუთი-ექვსი წლით გლდანის ციხეში გამოკეტოს! ისინიც დაისვენებენ, ჩვენც დავისვენებთ და ქვეყანაც დაისვენებს!

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, სააკაშვილს ეგონა, ყველას თავის ჭკუაზე ატარებდა, მაგრამ ბოლოს თავისმა ხალხმა „შეუსრულაო!“ რას გულისხმობდით?**

— სააკაშვილის უკრაინიდან საქართველოში გამოგზავნა თავიდან ბოლომდე **ზურაბ ადეიშვილმა და გია ლორთქიფანიძემ** დაგეგმეს. ამ საქმეში ჩართული იყვნენ **დავით კეზერაშვილი, ნიკა გვარამია, ნიკა მელია და გიორგი ვაშაძე.** არსებობდა ორი გეგმა — სააკაშვილი ან უნდა შემოეყვანათ სარფიდან, ანდა გამოეგზავნათ კონტეინერით. საბოლოოდ შეჩერდნენ ბოლო ვარიანტზე. ადეიშვილის გეგმით, სააკაშვილი შემოგზავნეს საქართველოში და მერე თვითონ ნაცებმა „ჩაუშვეს“, რათა ციხეში მოხვედრილიყო!

**— რატომ?**

— **ადეიშვილს, მერაბიშვილს, კეზერაშვილს, გვარამიას, მელიას** და, ზოგადად, კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერებს, ძალიან კარგად მოეხსენებოდათ, რომ გაფარჩაკებული და მიწასთან გასწორებული ნაცმოძრაობა ვერავითარ 100 ათას კაცს ქუჩაში ვერ გამოიყვანდა, მაგრამ, თუ პროვოკაციას მოაწყობდნენ და სააკაშვილს დააპატიმრებდნენ, მაშინ შესაძლოა, ხალხი აღშფოთებულიყო და ქუჩაშიც გამოსულიყო. აი, ამ ტალღაზე უნდოდათ მოჯდომა და ხელისუფლების დამხობა, თორემ **სააკაშვილი** ყველას ფეხებზე ეკიდა და დღესაც ჰკიდია! ეს სულელი სააკაშვილიც გაბრიყვდა, დაუჯერა **ადეიშვილსა და ლორთქიფანიძეს** და ჩაჯდა კონტეინერში... **ადეიშვილმა, მერაბიშვილმა, კეზერაშვილმა, ლორთქიფანიძემ, გვარამიამ, მელიამ და ვაშაძემ** იგი უკრაინიდან ფარულად შემოიყვანეს, მერე კი თხასავით გაყიდეს და ციხეში ჩასვეს იმ იმედით, რომ 100 ათასი კაცი ქუჩაში გამოვიდოდა, მაგრამ ეს კრეტინები მოტყუვდნენ. ქართველი ხალხი, რომელსაც სააკაშვილის მხეცობები კარგად ახსოვდა, ამ პროვოკაციას არ აჰყვა და ნაცებმა იმ დღეებში ქუჩაში 3 ათას კაცს ძლივს მოუყარეს თავი. **ზურაბ ადეიშვილმა და გია ლორთქიფანიძემ** დაგეგმეს ეს პროვოკაცია თავიდან ბოლომდე... სხვათაშორის, ადეიშვილი და ლორთქიფანიძე ჩემი ძმის კურსელები არიან და ორივეს სტუდენტობიდან ვიცნობ. **გია ლორთქიფანიძე** ახმეტელია, დიდი ცოდნით არ გამოირჩევა, მაგრამ პროვოკაციების მოწყობის დიდოსტატია.

**— სააკაშვილმა დღემდე არ იცის, რომ თავისიანებმა გაყიდეს თხასავით?**

— იცის, უკვე იცის, მაგრამ რა ქნას? ახლა სააკაშვილი პოლიტიკური კვდომის პროცესშია და არავინ ემორჩილება!

**— სამაგიეროდ, სააკაშვილს აქვს მიტაცებული მილიარდები და უზარმაზარი ბიზნესები, რომლებიც არავის ჩამოურთმევია და დღემდე გუგუნებს. სააკაშვილს შეუძლია, დახარჯოს დიდძალი ფული, ბოლოს და ბოლოს, დაიქირაოს ქილერები და თავის დამღუპველ ადეიშვილს, ლორთქიფანიძესა და სხვებს დაერიოს!**

— თქვენ რასაც ამბობთ, მაგას იზამს ვაჟკაცი ქართველი კაცი, ხოლო სააკაშვილი არც ქართველია და არც ვაჟკაცი! ეს არის ფსიქოლოგიურად მოშლილი, ადამიანის ზნეობიდან გასული, შეშინებული და ჩასვრილი ვირთხა, რომელიც ახლა მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობს!

**— ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ულვთოდ ნაწამები და მოკლული პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმეს. რეალურად რა მოხდა, რისთვის მოკლეს პოლკოვნიკი თეთრაძე?**

— **სერგო თეთრაძე და გია კრიალაშვილი** მუხროვანის ამბოხებას შეეწირნენ. კრიალაშვილი დახვრიტეს... დახვრიტეს **კობა ოთანაძეც,** რომელიც სასწაულებრივად გადარჩა. სხვათაშორის, **კობა ოთანაძე** ძალიან ღონიერი კაცია, თითებით რკინის ლარიანს ღუნავს. სპეცრაზმის ერთ-ერთი მაღალჩინოსნი, რომელმაც ეს იცოდა, ძირს დაგდებულ და, ფაქტობრივად, მკვდარ **ოთანაძეს** თავზე დაადგა და ჰკითხა — რომელი ხელით ღუნავდი რკინის ლარიანებს? ცხადია, **ოთანაძემ** ვერაფერი უპასუხა, რადგან უგონოდ იყო... სპეცრაზმელმა **კობა ოთანაძეს** ავტომატით ჯერ მარჯვენა ხელის მტევანი დაუხვრიტა და შემდეგ — მარცხენა. იქვე იყვნენ **გივი თარგამაძეც და გიგი უგულავაც...** რაც შეეხება **სერგო თეთრაძეს,** პოლკოვნიკ **თეთრაძეს** შინ მიუვარდნენ და დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე, თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს შენობაში, მიიყვანეს, სადაც უნდოდათ, ჯაშუშობა დაებრალებინათ.

**— ჰქონდა ამ ბრალდებას რამე საფუძველი?**

— არავითარი საფუძველი ამას არ ჰქონდა, რადგან **პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე** სამშობლოს ერთგული, ღირსეული კაცი იყო. მის წამებაში, ფაქტობრივად, მთელი თავდაცვის სამინისტრო და სააკაშვილის ხროვა მონაწილეობდნენ — **ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა,** ე.წ. გენერალი **გიგი კალანდაძე, გია დგებუაძე,** ანუ „მასტერა“... ბრძანებებს უშუალოდ **ბაჩო ახალაია** გასცემდა. **სერგო თეთრაძის** მიმართ გუანტანამოს ციხეში არსებული პატიმართა წამების ყველა სცენარი გამოიყენეს.

**— გაუპატიურებაც?**

— არა, სერგო თეთრაძეს მხოლოდ გაუპატიურების იმიტაცია მოუწყვეს... კაცი გაგუდეს, რადგან თავზე სქელი ცელოფანი ჰქონდა ჩამოცმული. **სერგო თეთრაძის** გვამის ექსპერტიზა გაყალბებულია და მას გული არ გასკდომია, პოლკოვნიკი გაგუდეს! საინტერესოა ერთი დეტალი — როგორც კი **სერგო თეთრაძის** მკვლელობის საქმე გახმაურდა, 10 წუთში თავდაცვის სამინისტროს შენობის წინა კარიდან **გიგა ბოკერიას** მანქანა გამოვარდა!

**— ეს რაზე მეტყველებს?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ **პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის** წამებასა და მკვლელობას, დიდი ალბათობით, **გიგა ბოკერიაც** ესწრებოდა! ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როცა ამდენი შიშველი ფაქტი ცხვირწინ გვიდევს და „ქართული ოცნება“ 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად კომისიის შექმნას გეგმავს, მართლა მინდა, დავიჯერო, რომ საქმე ბოლომდე მივა და ქვეყნისა და ხალხის მტრები უსათუოდ დაისჯებიან!



> „ადეიშვილმა, მერაბიშვილმა, კეზერაშვილმა, ლორთქიფანიძემ, გვარამიამ, მელიამ და ვაშაძემ მიშა უკრაინიდან ფარულად შემოიყვანეს, მერე თხასავით გაყიდეს, „ჩაუშვეს“ და ციხეში ჩასვეს იმ იმედით, რომ 100 ათასი კაცი ქუჩაში გამოვიდოდა!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნინო შერმადინი**
*მომღერალი*



**გაუგონარი ბოროტების ზღვარზე** არიან ადამიანები მისული. ეს ხდება პოლიტიკის გამო, ეს ხდება იმის გამო, **თუ კარგად გამოიყურები,** ეს ხდება იმის გამო, **თუ კარგად ვერ გამოიყურები,** ეს ხდება იმის გამო, **თუ რაღაცას მიაღწიე ან ვერ მიაღწიე.** ადამიანებო, რამ გაგაბოროტათ ასე?

„ახალი თაობა“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ანალიტიკოსი*



როდის შეიძლება, დამთავრდეს **რუსეთ-უკრაინის ომი,** ამის თქმა ახლა რთულია. **ეს მეორე მსოფლიო ომს ჰგავს** რაღაცით და არ გამოვრიცხავ, ზუსტად ისე გაიწელოს, **როგორც მეორე მსოფლიო ომი გაიწელა ექვს წელიწადს.**

„რეზონანსი“

**გურამ ოტობაია**
*მწერალი*



რამდენი ომი და ეროვნული დაპირისპირება გვაქვს გადატანილი, **შიგნით კიდევ „მეხუთე კოლონა“ გვძიძგნის და ამ დროს ერთადერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი ახერხებს, რომ საქართველოში მშვიდობა შეინარჩუნოს და გადაარჩინოს ქართული გენი.** კაცმა საკუთარი ოჯახის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დადო, თავისი ბიზნესი გაწირა... ჩვენ მსგავსი გმირი არ გვყავს. **საუკუნეების შემდეგ დაფასდება ივანიშვილის ფენომენი და ღვაწლი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ოთარ ანგურიძე**
*ეკონომისტი*



რაც დღეს ხდება, ჩვეულებრივი პროცესია. **ლარის კურსი ხან გაუფასურდება, ხან გამყარდება.** ამდენად, განსაკუთრებული არაფერი ხდება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ალერგიის გამომწვევ საკვებ პროდუქტებს ჩამოთვლის და უკვე მერამდენედ გვაფრთხილებს, რომელი პროდუქტის რომელთან ერთად მიღება არ შეიძლება:**



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# ვინც რძის მიმართ ალერგიულია, საქონლისა და ხბოს ხორცზეც ალერგიული იქნება!

## „სამ წლამდე ასაკის ბავშვებს კვერცხი, რძე, შოკოლადი და თაფლი არ გავაკაროთ!“









## „ყველისა და ხორცის ერთად ჭამა არ შეიძლება!“

— მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც ძალიან ბევრი ადამიანი საკვებით გამოწვეული ალერგიით იტანჯება. საკვებისმიერი ალერგია სამი სახის შეიძლება იყოს — მყისიერი, შენელებული და ქრონიკული. **ალერგია მყისიერია მაშინ,** როცა საკვების მიღებიდან ძალიან მოკლე დროის მონაკვეთში, შესაძლოა, რამდენიმე წუთშიც კი, ადამიანს უვითარდება ჰინჭრის ციება, ასთმური შეტევა და ანაფილაქსიური შოკიც კი. ამ უკანასკნელის დროს, თუ სასწრაფოდ ზომები არ იქნა მიღებული, ადამიანი დაიღუპება. **შენელებული საკვებისმიერი ალერგიის დროს,** საჭმლის ჭამიდან რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ, ადამიანს ეწყება კუჭ-ნაწლავის პრობლემები, რასაც ცილოვან გასტროენტეროპათიასაც უწოდებენ. ადამიანს შესაძლოა, აღენიშნოს კუჭის აშლა, მუცლის შებერვა, ტკივილი მუცლის არეში და სხვა. ამას ხალხში საკვებით მოწამვლასაც უწოდებენ, რაც შეეხება **ქრონიკულ საკვებისმიერ ალერგიას,** ასეთ დროს, საკვების მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ ადამიანს შესაძლოა, კანის პრობლემები დაეწყოს, რასაც ატოპიურ დერმატიტს უწოდებენ.

**— უფრო ხშირად რომელი საკვები იწვევს ალერგიას?**

— არსებობს დაახლოებით ორასამდე საკვები, რომელმაც შესაძლოა, ზოგიერთში ალერგია გამოიწვიოს. უფრო ხშირად ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ალერგია უვითარდება რძეზე, ქათმის კვერცხზე, თხილზე, ნიგოზზე, მარცვლეულზე, ზღვის პროდუქტებზე, შოკოლადზე, ზოგიერთ ბოსტნეულსა და ხილზე, ასევე თაფლსა და ხორცზეც კი.

რადგან პატარა ბავშვების იმუნური სისტემა ჩამოყალიბებული არ არის, სამ-ოთხ წლამდე ისინი ალერგიისადმი განსაკუთრებით მოწყვლადი არიან. კერძოდ, **მცირეწლოვან ბავშვებში ალერგიას ხშირად იწვევს რძე, კვერცხის ცილა, არაქისი და ხორბალი.** ამიტომ სამ წლამდე ასაკის ბავშვებს კვერცხი, რძე, შოკოლადი და თაფლი არ გავაკაროთ! **განსაკუთრებით საშიშია ის შოკოლადი, რომელიც მიწის თხილს შეიცავს.** რაც შეეხება დედის რძეს, მასში ისეთი ნივთიერებებია, რომელსაც ბავშვებში რძისადმი ალერგიის საფრთხე ნულამდე დაჰყავს. აქედან გამომდინარე, ბავშვი დედის რძით უნდა იზრდებოდეს!

ქართული პედიატრიის მამა, ჩვენი მასწავლებელი აკადემიკოსი **ირაკლი ფაღავა** ლექციებზე ყოველთვის გვეუბნებოდა — **თუ გინდათ, რომ ბავშვები ჯანმრთელი გაზარდოთ, დედის რძე არ მოაკლოთ,** რადგან დედის რძით გაზრდილი ბიჭები უფრო ვაჟკაცური ბუნებისა და მტკიცე ხასიათისანი არიანო. სხვათაშორის, **ირაკლი ფაღავა** ერთ-ერთი უიშვიათესი პიროვნება იყო ქართველ ინტელიგენტთა შორის, ვინც 1983 წელს ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენი პეტიციიდან თავისი ხელმოწერა უკან არ წაიღო. მახსოვს, ერთ დღეს ლექციაზე აღელვებული შემოვიდა და ხმამაღლა გვითხრა — არც ამათი აკადემიკოსობა მინდა და არც ამათი პრივილეგიები, ხელმოწერას უკან არ წავიღებო! მაშინ ამის გაკეთება გმირობის ტოლფასი იყო...

**— რატომ ხდება შოკოლადი ხშირად ალერგიის წყარო?**

— ბევრი შოკოლადის შემადგენლობაში შედის კაკაო, არაქისის ზეთი, რძე, სოიოს ლეციტინი, ხილი და თხილი. თითოეული ეს კომპონენტი ძლიერი ალერგენია. ამიტომ, თუ შოკოლადი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ალერგიის გვეშინია, მხოლოდ ისეთი შოკოლადი მივირთვათ, რომელიც ზემოხსენებული ალერგენების უმრავლესობისგან თავისუფალი იქნება. მაგალითად, მწარე და შავი შოკოლადი, რომელშიც კაკაოს შემცველობა 85 პროცენტზე მეტია, ნაკლებად ალერგიულია. გარდა ამისა, სწორედ ეს შოკოლადებია ადამიანისთვის სასარგებლო. **გვახსოვდეს, რძიანი შოკოლადი მავნეა!**

**— რა განაპირობებს ისეთი ძვირფასი და სასარგებლო პროდუქტის ალერგიულობას, როგორიცაა თაფლი?**

— თვითონ თაფლი არ არის ალერგიული, მაგრამ ალერგიას განაპირობებს მასში ფუტკრისაგან მოხვედრილი ყვავილის მტვერი და აგრეთვე ის ანტიბიოტიკები, რომლითაც მეფუტკრეები სკას ამუშავებენ. აქედან გამომდინარე, სამ წლამდე ბავშვს თაფლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაჭამოთ!

**— ზემოთ ახსენეთ ხორცი, რომელმაც შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს. როგორ?**

— გვახსოვდეს, ვინც რძის მიმართ ალერგიულია, ის საქონლისა და ხბოს ხორცზეც ალერგიული იქნება! ამის მიზეზია ცილა, რომელიც საქონლისა და ხბოს ხორცში შედის და მოხარშვის მიუხედავად, თავის თვისებებს არ კარგავს. სწორედ იგივე ცილა გვხვდება რძეშიც... ამ ცილას ორგანიზმი უცხოდ აღიქვამს და მის მიმართ ალერგიულ რეაქციას ავითარებს. შემჩნეულია, **ვისაც კატის ბეწვზე ალერგია აქვს, ის ღორის ხორცის მიმართაც ალერგიულია! ხოლო, ვინც ქათმის კვერცხს ალერგიის გამო ვერ ჭამს, მას ქათმის ხორციც აუცილებლად ალერგიას მისცემს!**

**— რომელი შინაური ფრინველის ან ცხოველის ხორცია ნაკლებად ალერგიული?**

— იშვიათად, რომ ინდაურის, ცხვრისა და კურდღლის ხორც-

## კვირგვინოსნები

**ოთო ნემსაძე**
*მომღერალი*



ჩემს კარიერაში **ყველაზე დიდი შეცდომა, ალბათ, „ევროვიზია“ იყო.** იმიტომ არა, რომ, ვთქვათ, დაბალი შედეგები მივიღე. უბრალოდ, **გული მწყდება, რომ იქ წავედი, სადაც მუსიკა არ არის.**

„სარკე“

**ბარბარე სამხარაძე**
*მომღერალი*



ბევრი შეტყობინება მომდის, **მადლობას გიხდით, რომ ჩემს ევროვიზიაზე წარდგენას განიხილავთ** — ეს ჩემთვის დიდი პატივია. თუმცა, ამ ეტაპზე **რესურსი არ მაქვს და არც მზადყოფნა, რომ ამ გამოწვევას ღირსეულად გავუმკლავდე.**

„ახალი თაობა“

**სალომე ბეჭიაშვილი**
*მომღერალი*



4 წელი უმაღლეს სასწავლებელში არ ჩამიბარებია. სრული დაფინანსებით ვერ მოვხვდებოდი და **შეიძლებოდა, უსახსრობის გამო სწავლის საფასური ვერ გადამეხადა.** ეს 4 წელი ყველანაირ სამუშაოზე ვმუშაობდი, მაღაზიაშიც კი.

„სარკე“

**კახა ხარიძე**
*„ქუჩის ბიჭების“ წევრი*



**პოლიტიკური ნიშნითაც გაგვრიყეს.** რომ იტყვიან, ცარიელ ქვაზე აღმოვჩნდით, **არცერთ ღონისძიებაზე არ გვეძახდნენ.** 2003 წლიდან, 7-8 წელი ასე გრძელდებოდა.

„თბილისელები“

**ნია ნიჟარაძე**
*მოდელი*



**თუ ადამიანი სათანადოდ არ მაფასებს,** ოჯახის წევრიც რომ იყოს, **დისტანციას დავიჭერ.** წლის ბოლოს ყოველთვის ვიწერ, რა მინდა, შემდეგ წელს გავაკეთო.

„თბილისელები“



„ჩვენში მოდური და გავრცელებული კერძი, ე.წ. ოჯახური, რომელიც შემწვარი კარტოფილისა და ხორცის ნაზავია, ჯანმრთელობისთვის საზიანოა!“

მა ადამიანს ალერგია მისცეს!

**— მაინც რომელი ხილი იწვევს ყველაზე უფრო ალერგიას?**

— ერთ-ერთი ყველაზე უფრო ალერგიული ხილია **ლეღვი.** მისი არამარტო ნაყოფი, არამედ ფოთლები და რძიანაც ხშირად საშინელ ალერგიას იწვევს, აუტანელი ქავილის თანხლებით. იგივე შეიძლება ითქვას **კომშზეც,** რომელმაც შესაძლოა, ადამიანი დაახრჩოს. ძლიერ ალერგიულ რეაქციას იწვევს ატმის ბუსუსები... საშინლად ალერგიულია თხილიც. მის მიმართ ზოგიერთი ადამიანი იმდენად ალერგიულია, რომ შესაძლოა, დაემართოს ჭინჭრის ციება, ანუ ურტიკარია, ხორხის შეშუპება, ხველა და მოხრჩობაც კი...

**— ზემოთ მარცვლეული ახსენეთ, ხორბალი ძლიერ ალერგენებს შეიცავს?**

— ხორბალი და ჭვავი შეიცავს ძლიერ ალერგენს — **გლუტენს.** ამიტომ ბევრი ადამიანი ხორბლისა და ჭვავის პურს ვერ ჭამს. ეს უნდა განვასხვავოთ **ცელიაკიისაგან,** როცა ადამიანს გლუტენის მიმართ კი არა აქვს ალერგია, არამედ გლუტენის გავლენით ნაწლავების ხაოების ატროფია ხდება. ასეთ ადამიანებს უგლუტენო დიეტას უნიშნავენ.

**— ხშირად ჩვენი უქეიფობის მიზეზი არა იმდენად ალერგია და უხარისხო საკვებია, არამედ ისეთი პროდუქტების მიღება, რომელთა კომბინაციაც შეუთავსებელია...**

— დავიწყოთ იმით, რომ ყველისა და ხორცის ერთად ჭამა არ შეიძლება. ყველი შეიცავს ფოსფორს, ხოლო ხორცი — თუთიას. ფოსფორის გავლენით თუთია ცუდად აითვისება, რაც ხორცს სასარგებლო თვისებებს აცლის. არ შეიძლება მაკარონისა და კარტოფილის ხორცთან ერთად მიღებაც. ხორცი ცილაა, ხოლო მაკარონი და კარტოფილი — სახამებელი. ორგანიზმი მაკარონისა და კარტოფილის გადამუშავებას დიდხანს უნდება, რაც იწვევს მუცლის შებერვას და კუჭში არსებული საკვების დუღილს... აქედან გამომდინარე, ჩვენში მოდური და გავრცელებული კერძი — ე.წ. ოჯახური, რომელიც შემწვარი კარტოფილისა და ხორცის ნაზავია, ჯანმრთელობისთვის საზიანოა! იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. კარტოფილიან ხორცის სოუსზეც.

საერთოდ, ხორცისა და სახამებლის შემცველი პროდუქტების — პურის, კარტოფილის, ჭარხლის, მაკარონის, გოგრის, სტაფილოს, ყაბაყის, ფერადი კომბოსტოს ერთად მიღება დაუშვებელია! **თუ ჩვენი თავისთვის სიკეთე გვინდა, მწვადი, ხაშლამა და ქაბაბი უპუროდ და ისეთ ბოსტნეულთან ერთად უნდა მივირთვათ, რომელიც სახამებელს არ შეიცავს!**

ნამდვილი კატასტროფაა მურაბასთან თეთრი პურის მიტანება, რადგან ორივე პროდუქტი მაღალი გლიკემიური ინდექსის მქონე ნახშირწყალია. მათი კომბინაცია პანკრეასის ჯირკვალს გამანადგურებელ დარტყმას აყენებს. თუ ადამიანი თეთრი პურისა და მურაბის მოყვარულია, შაქრიანი დიაბეტი აუცილებლად დაემართება!

**— კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, როგორ ეწყობიან ერთმანეთს კიტრი და პომიდორი, ნესვი და საზამთრო...**

— ნესვი არცერთ პროდუქტთან ერთად არ უნდა მივირთვათ! რაც შეეხება კიტრისა და პომიდვრის სალათს, რომელიც საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული, პირდაპირ გეტყვით, რომ მათი ერთად მიღება არ შეიძლება! საქმე ის გახლავთ, რომ კიტრი ტუტე რეაქციის მატარებელია, ხოლო პომიდორი — მჟავე რეაქციის. სანამ კიტრი გადამუშავდება, პომიდორი დუღს და იწვევს მუცლის შებერვას. გარდა ამისა, კიტრში შემავალი ფერმენტი ასკორბატოქსიდაზა პომიდორში შემავალ C ვიტამინს ანადგურებს და უსარგებლო პროდუქტად აქცევს. დაუშვებელია რძის პროდუქტებისა და თევზეულის ერთად მიღებაც. არ შეიძლება ალკოჰოლზე გაზიანი სასმელების და განსაკუთრებით „კოკა-კოლას“ დაყოლება. ასევე სასურველია, იცოდეთ, რომ დილით ნაბახუსევზე ყავა არ უნდა დალიოთ, რადგან ალკოჰოლი ორგანიზმს აშრობს, ხოლო ყავა შარდმდენია, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

**— რამდენად მიზანშეწონილია ხილის დესერტი?**

— ხილი კუჭს სწრაფად გაივლის და მისი გადამუშავება წვრილ ნაწლავებში ხდება. როცა ხილს დესერტად მივირთმევთ, ხილი დიდხანს ყოვნდება კუჭში, რაც იწვევს დუღილს და საჭმლის მონელების დარღვევას. ამიტომ ხილი ჭამამდე ერთი საათით ადრე მაინც უნდა მივირთვათ.

**კერძზე ხილის დაყოლება რეკომენდებული არ არის!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

„თუ ადამიანი თეთრი პურისა და მურაბის მოყვარულია, შაქრიანი დიაბეტი აუცილებლად დაემართება!“



***ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა საპროტესტო შიმშილობით მანიპულაციები. ამით თვით ყოფილმა პრეზიდენტმა, ამჟამად სიმბოლურ პატიმრობაში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა, როცა გახდომის მიზნით კუჭზე გაკეთებული ოპერაციის ფონზე რეკომენდებულ დიეტას შეუდგა და შიმშილობის საპროტესტო აქციად გასაღებას შეეცადა. ამჟამად მის მაგალითს მიჰბაძა შეუმდგარი ნაცლიბერალური რევოლუციის მონაწილე ქალბატონმა მზია ამაღლობელმა. ლიბერალურ მედიაში განგაშია ატეხილი, რომ შიმშილობის შედეგად იგი კვდება! სინამდვილეში, რამდენ ხანს შეუძლია ორგანიზმს გაძლება კვების სრულად შეწყვეტის პირობებში?***
***გთავაზობთ ამონარიდებს ცნობილი საბჭოთა მეცნიერების — ნიკოლოზ აღაჯანიანის და ალექსეი კატკოვის წიგნიდან „ჩვენი ორგანიზმის რეზერვები“.***




# რამდენ დღეს გაძლებს ადამიანი სრულიად უჭმელი?

## სიტყვა შიმშილობის შესახებ

ჩვენ მიჩვეული ვართ საკვების მუდმივ მიღებას, ასე ვთქვათ, გარე კვებას. მაგრამ კვება ასევე შეიძლება იყოს შინაგანი, რაც შიმშილის დროს ხდება. შიმშილი არის ორგანიზმის არსებობა საკუთარი რეზერვების ხარჯზე. ნებაყოფლობით შიმშილობას ბოლო დროს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო მეტი ახალი მიმდევარი გამოუჩნდა.

ამ თემას ჩვენც გვინდა შევეხოთ, თუმცა, ვაფრთხილებთ მკითხველს: ჩვენ მხოლოდ ამა თუ იმ გამოცდილებას აღვწერთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გთავაზობთ მოქმედების სახელმძღვანელოს. პირიქით, კატეგორიულად ვაფრთხილებთ მკითხველს — არ მიეძალოს შიმშილობის გზით თვითმკურნალობას. თითოეულ ადამიანს მხოლოდ მისმა ექიმმა უნდა მისცეს შიმშილობის უფლება.

ცხოველებზე, მათ შორის, საექსპერიმენტო კატებზე დაკვირვებამ საინტერესო დასკვნა გაგვაკეთებინა — **ირკვევა, რომ დასნეულებისას ცხოველები ხშირად ინსტინქტურად წყვეტენ კვებას, ვიდრე არ გამოჯანმრთელდებიან.**

შიმშილის გრძნობა პირველყოფილი ადამიანისთვისაც ცნობილი იყო. მისი კვება არარეგულარული გახლდათ: მაძღარ დღეებს შიმშილის ხანგრძლივი პერიოდები ცვლიდა. ჩვენს წინაპრებს განუვითარდათ მყარი რეფლექსი — ეჭამათ იმაზე მეტი, ვიდრე ორგანიზმს სჭირდებოდა, ეჭამათ რეზერვისათვის, ეჭამათ შავი დღისათვის. **ამ გზით პირველყოფილი ადამიანი ქმნიდა გლიკოგენისა და ცხიმის მარაგს, რაც მას გადარჩენაში ეხმარებოდა.**

დღეს შიმშილი კარზე არ გვიკაკუნებს, მაგრამ შორეული წინაპრის მადა ყოველდღე იჩენს თავს. ადამიანი ხშირად ჭამს 1,5-ჯერ მეტს, ვიდრე საჭიროა.

უკვე ძველ ეგვიპტეში, ძველ ინდოეთში, ხორეზმსა და საბერძნეთში, მრავალი ექიმი და ფილოსოფოსი იყენებდა დოზირებულ შიმშილობას ზედმეტი საკვებისგან ორგანიზმის გასათავისუფლებლად.

**ჰეროდოტე** აღნიშნავდა, რომ **„ეგვიპტელები, ყველაზე ჯანმრთელნი მოკვდავთა შორის, ყოველთვიურად სამი დღის განმავლობაში იწმინდებოდნენ ღებინებების და ოყნის დახმარებით და თვლიდნენ, რომ ადამიანი ყველა დაავადებას იღებს საკვებით“.**

•

დიდი სამამულო ომის დროს, 1942 წლის ივლისში, ოთხი საბჭოთა მეზღვაური შავი ზღვის სანაპიროდან მოშორებით, წყლისა და საკვების მარაგის გარეშე ნავში აღმოჩნდა. ცურვის მესამე დღეს მათ დაიწყეს ზღვის წყლის დაგემოვნება. შავი ზღვის წყალი 2-ჯერ ნაკლებად მარილიანია, ვიდრე მსოფლიო ოკეანეში, თუმცა, მეზღვაურები მის გამოყენებას მხოლოდ მეხუთე დღეს შეეგუენ. თითოეული მათგანი დღეში უკვე ორ მათარას სვამდა. ამგვარად, უწყლობა დაძლიეს, მაგრამ საკვებით უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარება ვერ შეძლეს. და ერთი მათგანი **შიმშილით გარდაიცვალა მე-19 დღეს, მეორე — 24-ე, მესამე კი — 30-ე დღეს.** ამ ოთხიდან ბოლო, სამედიცინო სამსახურის **კაპიტანი ერესკო,** საბჭოთა სამხედრო ხომალდმა შიმშილის 36-ე დღეს გონებადაბინდულ მდგომარეობაში ბორტზე აიყვანა. 36 დღის განმავლობაში ზღვაზე უჭმელად ხეტიალის დროს მან 22 კილოგრამი დაიკლო, რაც მისი საწყისი წონის 32% გახლდათ.

შედარებისთვის, გავიხსენოთ, რომ მშვიდ გარემოში ნებაყოფლობითი შიმშილობით თუნდაც 50 დღეში, სხვადასხვა ავტორის მონაცემებით, ადამიანი თავისი წონის 27-დან 30 %-ს კარგავს, ანუ იმაზე ნაკლებს, ვიდრე მოყვანილ მაგალითში იყო.

1960 წლის იანვარში ქარიშხალმა წყნარ ოკეანეში გაიტაცა თვითმავალი ბარჟა ოთხი საბჭოთა ჯარისკაცით (ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ა. კრიუჩკოვსკი, ი. ფედოტოვი). მეორე დღეს ბარჟას საწვავი ამოეწურა, ხოლო რაცია მწყობრიდან გამოვიდა. **37 დღის შემდეგ საკვების ძალზე მწირი მარაგიც გათავდა. საკვები ჩაანაცვლეს აკორდეონისა და ჩექმების შემწვარი ტყავით. თითო ადამიანზე მტკნარი წყლის დღიური ნორმა თავდაპირველად — 5, შემდეგ კი მხო-**

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*



## კვირგვინოსნები



**ნანა ცინცაძე**
*პოეტი*

დღემდე ვერაფრით ვისწავლე, რომ **ვინც ღირსი არ არის, ჩემს ცხოვრებაში არ უნდა შემოვუშვა.** ცოტათი მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს, ეცადეთ, იყოთ ბედნიერები და გახსოვდეთ, **სხვა იმას ვერასდროს გაგიკეთებთ, რაც თავად უნდა გააკეთოთ თქვენი თავისთვის!**

„კვირის პალიტრა“



**მზია ორველაშვილი**
*სამეჯლისო ცეკვების მოცეკვავე*

ხშირად იყო ღია ბრძოლები ჩემი მისამართით, **კონკურსზე გასვლის წინ კაბებსაც კი მიფუჭებდნენ.** დღემდე პირველი ვარ საქართველოში, რომელსაც **საერთაშორისო ოსტატის წოდება მაქვს და მსოფლიოს ტოპორმოცდაათეულში ვცეკვავდი.** რატომღაც ყოველთვის ვგრძნობდი, რომ **საქართველოში არავის ვაინტერესებდი,** არადა, საერთაშორისო ასპარეზზე ყოველთვის სხვანაირად მაფასებდნენ.

„სარკე“

*დასაწყისი 25-ე გვერდზე*

# რამდენ დღეს გაძლებს ადამიანი სრულიად უჭმელი?



**ლოდ 3 ყლუპი იყო. თუმცა, ეს რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდა 49 დღის განმავლობაში, გადარჩენის მომენტამდე.**

1984 წელს 52 წლის **პაულ ნორმატასს** მოუწია მარტოს ეცხოვრა არალის ზღვის დაუსახლებელ კუნძულზე 55 დღის განმავლობაში, რადგან მისი ნავი ზღვამ გაიტაცა. საკვების მარაგმა შეადგინა ნახევარი პური, 15 გრამი ჩაი, 22 ნატეხი შაქარი და 6 თავი ხახვი. საბედნიეროდ, გაზაფხულის დინებებს ზღვაში უამრავი მტკნარი წყალი შემოაქვს, რომელიც მარილიან წყალზე მსუბუქია და ზედაპირზე რჩება. ამიტომ წყურვილი არ განუცდია. საკვებში ჩაერთო თოლიას კვერცხები, კუები და თევზები, ასევე ახალამოსული ბალახი. როდესაც მაისში ზღვის წყალი +16°C-მდე გათბა, **ნორმატასმა** 4 დღეში 16 შუალედურ კუნძულზე შესვენებებით 20 კილომეტრი გაცურა და გარეშეთა ყოველგვარი დახმარების გარეშე უსაფრთხოდ მიაღწია ნაპირს.

მოვიყვანოთ ხანგრძლივი იძულებითი შიმშილის კიდევ ერთი შემთხვევა. 1963 წლის ზამთარში კანადის მთიან უდაბნოში კერძო თვითმფრინავმა ავარია განიცადა. მისი ეკიპაჟი ორი ადამიანისგან: 42 წლის პილოტ **რალფ ფლორესის** და 21 წლის სტუდენტ **ჰელენა კლაბენისგან** შედგებოდა. თვითმფრინავი წარმატებით დაეშვა, მაგრამ სრულებით არარეალური იყო უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე ასობით კილომეტრზე თოვლიანი უდაბნოს გადალახვით მიღწევა. რჩებოდა მხოლოდ დახმარების მოლოდინი და ბრძოლა გამჭოლ ყინვასა და შიმშილთან. თვითმფრინავში საჭმლის მარაგი ერთი კვირის შემდეგ ამოიწურა, ხოლო 20 დღის შემდეგ წყვილმა თავისი ბოლო კერძი — 2 ტუბი კბილის პასტა მიირთვა. გამდნარი თოვლი გახდა მათი ერთადერთი საკვები საუზმეზე, ლანჩზე და სადილზე, **მის კლაბენმა,** რომელიც კატასტროფის მომენტში სიმპათიური მსუქანა იყო, ამ მძიმე განსაცდელის შემდეგ 12 კილოგრამი დაიკლო. **რალფ ფლორესმა** — 16 კილოგრამი. ისინი გადაარჩინეს 1963 წლის 25 მარტს, ავარიიდან 49 დღის შემდეგ.

●

ექსტრემალურ პირობებში მრავალდღიანი იძულებითი შიმშილის მაგალითებს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია მოშიმშილეებისთვის მტკნარი წყლის (განსაკუთრებით ნადნობის) რეგულარულად სმა და რამდენად არასახარბიელო ეფექტი აქვს მარილიანი ზღვის წყლის მოხმარებას.

შიმშილის დროს წყალი ორგანიზმს საშუალებას აძლევს, უკეთ შეინარჩუნოს თავისი რეზერვები. დასალევი წყლის ნაკლებობა კომპენსირდება ეგრეთ წოდებული ენდოგენური (მეტაბოლური) წყლის წარმოქმნის მატებით, რომლის 95% მიიღება ცხიმების დაჟანგვის შედეგად. **საინტერესოა, რომ უწყლოდ შიმშილისას ორგანიზმიდან უფრო მეტი წყალი გამოიყოფა, ვიდრე წყლის თანხლებით შიმშილობისას.** საქმე იმაშია, რომ ამ დროს ქსოვილები უფრო ინტენსიურად იშლება და, შესაბამისად, წარმოიქმნება მათი დაშლის პროდუქტების დიდი რაოდენობა — შარდოვანა, სულფატები და ა.შ. და ამ დაშლის პროდუქტების ორგანიზმიდან მოსაშორებლად საჭიროა მეტი რაოდენობის წყალი. თუმცა, ამ შემთხვევაში ორგანიზმის რესურსები გაცილებით სწრაფად იწურება.

იმგვარადაც ხდება, რომ იძულებითი გახანგრძლივებული შიმშილის დროს ადამიანები და ცხოველები იღუპებიან მანამდე, ვიდრე გათანგვის ღრმა ხარისხამდე მივლენ. ეს ხდება დაშლის პროდუქტებით მოწამვლის შედეგად. მაგრამ, თუ შიმშილობის დროს ეს პროდუქტები ორგანიზმიდან გამოიდევნება მთელი რიგი პროცედურებით (ოყნით გაწმენდა, აბაზანები, მასაჟი, სუნთქვითი ვარჯიშები, ფიზიკური აქტივობის გაზრდა სუფთა ჰაერზე), მაშინ ორგანიზმი შიმშილობას 30-40 დღემდე უძლებს, მოწამვლის ყოველგვარი გამოვლინების გარეშე.

ამასთან, შეიძლება აღინიშნოს კიდევ ერთი თვისება: **თუ განსაზღვრული ხანგრძლივობის შიმშილობის დროს ადამიანი მიირთმევს რაიმე საკვებს, თუნდაც მინიმალური დოზით, მაშინ მას განუვითარდება დისტროფიული მოვლენები. ეს აიხსნება იმით, რომ ორგანიზმი დროულად არ გადადის შინაგან კვებაზე და უჯრედებში ღრმა ცვლილებები, მათი დეზორგანიზაცია შეიძლება დაიწყოს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე საკუთარი შინაგანი რეზერვების გამოყენება.**

სრული შიმშილის დროს, როდესაც სხეული იღებს მხოლოდ წყალს, ადამიანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეგუება შინაგან კვებას ცხიმების, ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური მარილების მარაგებიდან და ეს საკვები ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

●

ირლანდიის ქალაქ კორკში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დარეგისტრირებული „მოშიმშილეთა გაფიცვა“ იმაზე მეტყველებს, რომ **ადამიანს შეუძლია, ძალიან დიდხანს გაძლოს საკვების გარეშე.** ციხეში მყოფმა 11 ირლანდიელი პატრიოტისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში კორკის მერი **ლორდ ტერენ-ციემ მაკსუინი** ედგა, გადაწყვიტა, თავიანთ ქვეყანაში ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შიმშილით დახოცილიყვნენ. **გაზეთები ყოველდღიურად ავრცელებდნენ ამბებს ციხიდან და მე-20 დღეს დაიწყეს მტკიცება, რომ პატიმრები კვდებოდნენ, რომ მღვდლის მოსაყვანად კაცია გაგზავნილი და პატიმრების ნათესავებიც შეიკრიბნენ ციხის კარებთან.**

ასეთი შეტყობინებები გადაიცემოდა 30-ე, მე-40, 50-ე, მე-60 და 70-ე დღეს. სინამდვილეში კი პირველი პატიმარი (მაკსუინი) გარდაიცვალა 74-ე დღეს, მეორე — 88-ე დღეს, დარჩენილმა ცხრა ადამიანმა 94-ე დღეს დაასრულა შიმშილობა, გადარჩნენ და თანდათან გამოჯანმრთელდნენ.

●

კიდევ უფრო გრძელი შიმშილობა **(119 დღე)** ამერიკელმა ექიმებმა დააფიქსირეს ლოს-ანჯელესში: ისინი აკვირდებოდნენ სიმსუქნით გატანჯულ **ელეინ ჯონსს,** რომელიც 143 კილოგრამს იწონიდა. შიმშილობის დროს იგი ყოველდღე 3 ლიტრ წყალს სვამდა. გარდა ამისა, მას კვირაში ორჯერ ვიტამინის ინიექციებს უკეთებდნენ. პაციენტის წონა 17 კვირაში 81 კილოგრამამდე შემცირდა და თავს შესანიშნავად გრძნობდა.

ბოლოს, 1973 წელს, აღწერილ იქნა ორი ქალის შიმშილობის ფანტასტიკური ხანგრძლივობა, რაც დაფიქსირდა ქალაქ გლაზგოს ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში. ორივე მათგანი 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა. წონის ნორმალიზებისთვის ერთს — 236, მეორეს კი მთელი 249 დღის განმავლობაში (მსოფლიო რეკორდი!) მოუხდა შიმშილობა.

ცხოველთა სამყაროში შიმშილობის „რეკორდებზე“ საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ინდოეთში აღმოჩენილი ობობას ახალი სახეობა, რომელიც ყველა ცოცხალი არსებისაგან იმით განსხვავდება, რომ შეუძლია საკვების გარეშე გაძლოს მთელი 18 წელიწადი!

●

შიმშილობის პირველ პერიოდში, რომელიც გრძელდება 2-4 დღე **(კვებითი აღგზნების ეტაპი),** შიმშილის სუბიექტურ განცდასთან ერთად, ხდება მეტაბოლური პროცესების ინტენსივობის მატება. ამ დროს ორგანიზმის ენერგეტიკული მოთხოვნილებები უზრუნველყოფილია სარეზერვო ნახშირწყლების, პირველ რიგში, ღვიძლის გლიკოგენის **(შიმშილობის პირველ 12-24 საათში)** გამოყენებით.

შიმშილობის პირველ დღეებში სხეული უმოწყალოდ ასუფთავებს ნახშირწყლების თითქმის მთელ მარაგს. ამიტომაა, რომ **მარხვის პირველ დღეს სხეული უფრო მკვეთრად იკლებს წონაში, ვიდრე შემდგომ პერიოდებში;** ხანდახან თავს იჩენს თავის ტკივილი, ხოლო. ნახშირწყლების ნაკლებობის შედეგად ცხიმოვანი ქსოვილის ტრიგლიცერიდების დაშლის დროს წარმოქმნილი ცხიმოვანი მჟავები იჟანგება მხოლოდ შუალედურ პროდუქტებამდე — ე.წ. კეტონურ სხეულებამდე (აცეტონი, აცეტოძმარმჟავა), რაც ზრდის სისხლის მჟავიანობას.

თავის მხრივ, მჟავიანობის მატება აღაგზნებს სასუნთქ ცენტრს და იწვევს ღრმად სუნთქვის მატებას და, შესაბამისად, ფილტვებში ნახშირორჟანგისა და კეტონური სხეულების გამოყოფის ზრდას. **შიმშილობის ამ პერიოდში ადამიანს შესაძლოა, აცეტონის სუნი ჰქონდეს.**

ბოლოს, შიმშილობის მე-7-14 დღეს, ნანატრი ნახშირწყლები პირდაპირ... ცხიმებისგან იწყებენ ფორმირებას. სისხლში კეტონის სხეულების დონე მკვეთრად ეცემა და, შესაბამისად, მჟავიანობა ნორმალიზდება.

**ამ მომენტიდან იწყება შიმშილობის ახალი პერიოდი — ე.წ. კომპენსაციის სტადია. მას ახასიათებს შინაგან კვებასთან ორგანიზმის სრული შეგუება.**

**შიმშილის გრძნობა, როგორც წესი, აღარ არსებობს და შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ საკვების დანახვისას ან სუნის შეგრძნების კვალობაზე.** შიმშილობისას ორგანიზმის ენერგეტიკული მოთხოვნილებები იფარება 82%-ით ცხიმებიდან, 15%-ით ცილებიდან და 3%-ით ნახშირწყლებიდან, რომლებსაც ორგანიზმი იღებს საჭმლის მონელებისათვის განკუთვნილი ფერმენტების კუჭში გამოყოფის წყალობით. სწორედ ეს ფერმენტები, რომლებიც შეიცავს ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს, შედიან ნაწლავებში და იშლებიან კომპონენტებად, რომლებიც შეიწოვება სისხლში და გამოიყენება, როგორც ორგანიზმის მკვებავი პროდუქტი.

**შინაგანი კვების** პროდუქტების კიდევ ერთი წყაროა **აუტოლიზი** — ნაკლებად მნიშვნელოვანი ქსოვილების თვითმონელება, რაც გამოწვეულია ლეიკოციტების ფაგოციტური აქტივობის მატებით. **სწორედ აუტოლიზია შიმშილობის დროს ორგანიზმის გაწმენდის მთავარი მექანიზმი.**

გარედან საკვების მიუღებლობით მცირდება დატვირთვა თირკმლებზე, რომლებიც პატარავდებიან და უკეთ უმკლავდებიან აუტოლიზის შედეგად გამოთავისუფლებული სხვადასხვა დაგროვილი ტოქსინების ორგანიზმიდან გამოდევნას.

შიმშილობას თან ახლავს ნივთიერებათა ცვლის საფუძვლიანი დაქვეითება. უჯრედულ მიტოქონდრიებში ლოკალიზებული ენერგიის გარდამქმნელი სისტემები გადადიან უფრო ეკონომიურ ფუნქციონირებაზე. ორგანიზმში სითბოს გამომუშავება მცირდება **(ეს დაკავშირებულია შიმშილობისთვის დამახასიათებელ სიცივის შეგრძნებასთან).** ამავდროულად, სითბოს გადაცემა მცირდება პერიფერიული სისხლძარღვების შევიწროების ხარჯზე. ამიტომ შიმშილობის დროს სხეულის ტემპერატურა, როგორც წესი, არ იკლებს.

ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ 4-დღიანი შიმშილობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გაიზარდოს ადამიანის შეგუება ჟანგბადის მწვავე დეფიციტთან, როგორც მაღალ სიმაღლეზე ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ. ამასთანავე, შიმშილობას ახასიათებს გარეგანი სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციების გარკვეული მინიმალიზაცია **(ფილტვის ვენტილაციის მოცულობის შემცირება, პულსის შენელება, არტერიული წნევის დაქვეითება).** გონებრივი შესაძლებლობები, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, არა მხოლოდ კლებულობს, არამედ ხშირად უმჯობესდება კიდეც. გასაკვირი არ არის, რომ ძველი ბერძენი მეცნიერი **პითაგორა** და მისი სტუდენტები 40 დღის განმავლობაში შიმშილობდნენ „გონების გასანათებლად“.



●

1967 წელს ამერიკელმა დიეტოლოგმა **პოლ ბრეგმა** თავის წიგნში **„შიმშილობის სასწაული“** აღწერა. მოხუცებულობის ასაკში განვლილი გზა კალიფორნიის სიკვდილის ველზე. ივლისის სიცხეში, შიმშილობის ფონზე, მან უდაბნოში 30 მილი დაფარა, ღამე კარავში გაათია და იმავე გზით მშიერი დაბრუნდა. აი, ათმა ძლიერმა ახალგაზრდა სპორტსმენმა კი, რომლებიც იმ დღეებში მას ეჯიბრებოდნენ, თუმცა, რაც სურდათ, ჭამდნენ და სვამდნენ ცივი სასმელებისა და მარილის ტაბლეტების ჩათვლით, 25 მილის გავლაც კი ვერ შეძლო.

მოამზადა
**ზაზა დავითაია**

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2025 წლის №3, 4, 6*

# ლეგენდარული ალპინისტების მემკვიდრე მოგვითხრობს



## ივანე ჯაფარიძე:

# 82 წლის წინათ ქართველმა ალპინისტებმა იალბუზიდან ფაშისტური გერმანიის სვასტიკიანი დროშა ჩამოხსნეს!

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— ზუსტად 82 წლის წინათ, 1943 წლის 12 თებერვალს, ქართველი ალპინისტები **გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გიორგი სულაქველიძე** და სხვები იალბუზზე ავიდნენ, გერმანიის სამხედრო ძალების მიერ 1942 წლის 21 აგვისტოს აღმართული ფაშისტური დროშა ჩამოხსნეს და წითელი დროშა აღმართეს. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიონის გადასასვლელებს იცავდნენ ჩვენი გმირი ალპინისტები **გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი** და სხვები. კავკასიონზე მათ ყოველი ბილიკი იცოდნენ და სამხედრო ოპერაციებში ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ.

ბედის ირონიით, **გაბრიელ ხერგიანი,** რომელსაც განხორციელებული ჰქონდა კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბის მწვერვალზე, თეთნულდიდან შხარამდე დალაშქრული ჰქონდა 20-ზე მეტი მწვერვალი, ცენტრალურ კავკასიონზე მეხუთე „ბ" კატეგორიის მწვერვალები, გავლილი ჰქონდა ტრავერსი თეთნულდიდან წურუნგილამდე, 46 წლის ასაკში ჯიხვზე ნადირობისას კლდეზე გადაიჩეხა და დაიღუპა. ეს მოხდა 1947 წელს. დაკრძალულია მესტიაში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში, საგვარეულო სასაფლაოზე.

**— ვინ ეხმარებოდა ქართველ მთამსვლელებს მწვერვალებზე გზის გაკვალვაში?**

— რომ არა **იაგორ კაზალიკაშვილი და გახა წიკლაური,** მყინვარწვერზე ასვლა ძალიან გაუჭირდებოდა **ალექსანდრე დიდებულიძის** სამეცნიერო ექსპედიციას. **კაზალიკაშვილი** იყო ცნობილი მთამსვლელი, პოეტი და სახალხო მთქმელი, მყინვარწვერზე პირველად 1907 წელს ავიდა და მას შემდეგ, ალბათ, 30-ჯერ მაინც იყო ასული. **დავით შარაშიძესთან და სანდრო გვალიასთან** ერთად, სწორედ **იაგორ კაზალიკაშვილი** იყო მეტეოსადგურის (3700 მეტრზე) პირველი მოზამთრე 1933-1934 წლებში. დაავადდა უკურნებელი სენით, გარდაიცვალა 1935 წელს. იმ დროს **დავით წერეთლის** ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ასულმა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მთამსვლელებმა ზალპით აღნიშნეს ეს წარმატება, თითქოს ამით გამოემშვიდობნენ და ქვეყანას აუწყეს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის **იაგორ კაზალიკაშვილის** გარდაცვალება. მეტეოსადგურის ახლოს არსებულ ღამის სათევს დღესაც **„იაგორას ნიში"** ჰქვია, ხოლო რაჭაში, მწვერვალ ბურჯულას აღმოსავლეთით კავკასიონის მისასვლელს — **„იაგორას მისადგომი"**. სტეფანწმინდაში, იაგორ კაზალიკაშვილის მამაპაპეულ სახლში, გახსნილია მისი სახლობის მთამსვლელთა მუზეუმი.

ქართული ალპინიზმის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფიზიკოსს, ენციკლოპედისტ-პროფესორ [?] **სიმონ (სიკო) ჯაფარიძე**? 

ალპინიზმის დაარსების სათავეებთან იდგა **ნიკო კეცხოველი,** რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც თბილისის უნივერსიტეტის ლეგენდარულ რექტორს. ათწლეულების განმავლობაში ის იყო საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომელიც სამაგალითოდ და წარმატებით ხელმძღვანელობდა ალპინისტურ ცხოვრებას საქართველოში.

**— 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის სიკვდილის შემდეგ როგორ გაგრძელდა სპორტული ასვლები მწვერვალებზე?**

— რამდენიმე წლის განმავლობაში კავკასიონზე მნიშვნელოვანი ასვლები თითქმის აღარ განხორციელებულა, მაგრამ 1948 წელს, ქართული და საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავთან დაკავშირებით, მყინვარწვერზე მოეწყო ალპინიადა **სანდრო გვალიას** ხელმძღვანელობით, რომელიც რეკორდული იყო მასობრიობის თვალსაზრისით. ვეტერან მთამსვლელებთან ერთად მწვერვალზე 502 კაცი ავიდა.

1950 წელს **ალიოშა ჯაფარიძის** მიერ დაწყებული და დაუსრულებელი ტრავერსი წარმატებით განახორციელეს **კაკო მარმა, ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა.** კაკო მარმა ალიოშას გეგმაში ერთი მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა: ტრავერსი დაიწყო არა უშბით, არამედ შხელდით. ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ჯგუფის ყველა წევრი უშბას კარგად იცნობდა, შხელდას კი — ნაკლებად. ამიტომ, უმჯობესი იყო დასვენებულ ჯგუფს ჯერ უცნობი შხელდა გაევლო. საინტერესო გახლდათ, რომ შხელდა-უშბის ტრავერსის დაწყებიდან მის დასრულებამდე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, უზარმაზარი პანო იყო გამოფენილი, რომელზეც ტრავერსის მარშრუტი იყო დატანილი. ასვლის მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ მთელი თბილისი და დედაქალაქში მყოფი სტუმრები. ჯგუფის მიერ ყოველდღიურად გავლილ გზას პატარა დროშების გადაადგილებით აღნიშნავდნენ. ეს იწვევდა მოსახლეობის არნახულ ინტერესს.



გერმანელების მიერ იალბუზზე აღმართული ნაცისტური დროშა

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ეს ტრავერსი ბრწყინვალედ დასრულდა და მთელი საქართველო აღფრთოვანებით შეხვდა შხელდა-უშბის გმირებს. შხელდის დაპყრობა მასივისა და უშბის ორივე მწვერვალის ცალ-ცალკე გავლა დღესაც ძალიან ძნელია. ამ ლეგენდარულ ასვლაზე რეჟისორმა **შოთა მანაგაძემ** ოპერატორებთან **ოთარ დეკანოსიძესა და ბორის ტრესთან** ერთად შექმნა კინოფილმი — **„შხელდა-უშბის ტრავერსი"**. მასალის ნაწილი გადაღებული იყო ტრავერსის ჩატარების დროს, ნაწილი — შხელდა-უშბის მიდამოებში. ამის შემდეგ ქართველი მთამსვლელების კავკასიონზე განხორციელებული ორი უმნიშვნელოვანესი ტრავერსი წურუნგალიდან თეთნულდამდე და შხარიდან თეთნულდამდე შეფასდა.

**— ვინ იყვნენ ექსპედიციის წევრები?**

— ორი ჯგუფი ჩამოყალიბდა. ერთის ხელმძღვანელი იყო **ალექსანდრე ნემსიწვერიძე,** წევრები: **ლევან და ზურაბ ახვლედიანები, ჯოკია და სოზარ გუგავები, გრიგოლ გულბანი, რაჟინ კვიციანი.** გაიარეს კავკასიონის ქედის მონაკვეთი წურუნგალიდან თეთნულდამდე, ხოლო მეორე ჯგუფმა: **ბექნუ ხერგიანმა, ილია გაბლიანმა, ბესარიონ ხერგიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა** — შხარა-თეთნულდის ტრავერსი. იმ წელს ეს ორივე ასვლა მთელ საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ შეფასდა. იდგა 1952 წელი, ამ დროისათვის კავკასიონის თითქმის ყველა რთული მწვერვალი (და არა მწვერვალების რთული კედლები) ქართველი ალპინისტების მიერ უკვე ათვისებული იყო.



გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები

**— 1952 წელს კლდეზე ცოცვაში პროფკავშირების ჩემპიონატზე (რაც, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იყო) შალვა მარგიანთან ერთად ჩემპიონი გახდა ცნობილი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი...**

— **მიხეილ ხერგიანი** იყო სვანეთის ერთ-ერთი პირველი მთამსვლელის **ბესარიონ ხერგიანის** შვილი, რომელსაც უშბა 1937 წელს ჰქონდა დალაშქრული. პირველი მწვერვალი, რომელზეც 15 წლის მიხეილი ავიდა, ბანგურიანი იყო. მამის და ბიძის დაუკითხავად ალპინიადას აედევნა, რომელსაც **სანდრო გვალია** ხელმძღვანელობდა. **მიხეილ ხერგიანისთვის** ყველაზე საყვარელი მწვერვალი უშბა იყო, ამბობდა — უშბაზე ჩემი მარშრუტით უნდა ავიდეო. **მიხეილ ხერგიანი,** ურთულესი ვერტიკალური კედლით — ე. წ. „უშბის სარკით", **შალვა მარგიანთან, გივი წერედიანთან, ჯუმბერ კახიანთან, ჯოკია გუგავასთან** და უმცროს **მიხეილ ხერგიანთან** ერთად 1964 წელს მწვერვალზე ავიდა. ოთხი წლის შემდეგ კი კიდევ ერთი ლეგენდა შექმნა — „უშბის ალპინიადა" მოაწყო და ჩრდილოეთ მწვერვალზე 45 კაცი აიყვანა, მათ შორის, უხუცესი მთამსვლელი, 72 წლის **ალმასგირ კვიციანი.**

ცნობილმა მთამსვლელმა **ვიტალი აბალაკოვმა** მიხეილ ხერგიანი **იოსებ კახიანთან** ერთად თავის გუნდში შეიყვანა. ქართველმა მთამსვლელებმა ჩრდილო-დასავლეთის კედლით მწვერვალ დონღუზორუნზე ასვლა გადაწყვიტეს. ეს მარშრუტი ძალიან რთულია და სარისკო, კედელს აწვება ვეება ყინულოვანი ქუდი, რომელსაც განუწყვეტლივ სწყდება ყინულის უზარმაზარი ლოდები. სწორედ სირთულის გამო იქამდე ამ კედელზე ასვლის უფლება მთამსვლელებისთვის მიცემული არ ჰქონდათ, **მიხეილ ხერგიანმა და იოსებ კახიანმა** კი ეს გზა დაძლიეს. ჯიბის ფარნის შუქზე გაიარეს ქვედა კლდოვანი სარტყელები, ზერგეწერილიც გადალახეს. ამ ასვლასთან დაკავშირებით **მიხეილ ხერგიანი** იგონებდა: *„იოსებმა სამი პალო ჩაარჭო და დაცვაზე დადგა. მე ზევით წავედი, ჩავარჭე პირველი პალო, ჩამოვკიდე კიბე და საფეხურზე შევდექი. 4 საათს ვმუშაობდი ლავგარდანზე, შემდეგ ყინული ნელ-ნელა გასწორდა და შუადღისას უკვე მწვერვალზე ვიყავით, ძალიან დაქანცული ხელებით, იოსებმა მასაჟი მიკეთებდა. მეორე დღეს ბანაკში ხმაურიანი შეხვედრა მოგვიწყვეს".*

**მიხეილ ხერგიანი** პოპულარული იყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მთამსვლელთა შორის, 1964 წელს ინგლისში მას „კლდის ვეფხვი" უწოდეს და ეს მეტსახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. **მიხეილ ხერგიანი** 1969 წლის 4 ივლისს იტალიის ალპებში, მწვერვალ სუალტოზე ასვლისას დაიღუპა, ტრაგიკულად. მასთან ერთად იყო საუკეთესო მთამსვლელი **ვიაჩესლავ ონიშჩენკო.** დილაადრიან გავიდნენ ვალცელინის თავშესაფრიდან. თოვლიან და ყინულოვან ფერდობებზე წინ უკანასკნელი მიდიოდა, როცა ურთულესი კლდეები დაიწყო, წინ მიხეილი გადავიდა. დღის პირველი საათისათვის ნახევარი თოკიღა რჩებოდათ რთულ კლდეებზე. მიხეილს ვიწრო შვერილმა გზა გადაუღობა, უკან მოიხედა, **ონიშჩენკომ** სურათი გადაიღო, სამსაფეხურიანი თოკის კიბით რამდენიმე მეტრი გაიარა, „ბუზარი" შეიდგა და თავის მიდგმა. ონიშჩენკო დაცვაზე იდგა. ცოტა ხნის შემდეგ ქვათაცვენა დაიწყო, ქვამ თოკი გადაჭრა, რამაც **ხერგიანის** სიცოცხლე შეიწირა.

1929 წლიდან 1969 წლამდე მთაში დაიღუპნენ ჩვენი უძლიერესი მთამსვლელები:

**სიმონ ჯაფარიძე** (1929, თეთნულდი), **ჯიბეე დგალი** (1929, თეთნულდი), **შოთა მიქელაძე** (1932, მყინვარწვერი), **მალხ ხაიჯაშვილი** (1939, მყინვარწვერი), **ფრიდონ ჩართოლანი** (1942, იალბუზი), **ალიოშა ჯაფარიძე** (1945, უშბა), **ძალუშბი ონიანი** (1945, უშბა), **ნიკოლოზ გუბინი** (1945, უშბა), **დავით გაბაკაშვილი** (1946, უშბა), **ილია გაბლიანი** (1961, პობედა), **თეიმურაზ კუზნეცოვი** (1961, პობედა), **ჯუმბერ მეძმარიაშვილი** (1961, პობედა), **კიმი დარსაძე** (1962, პამირი), **ზაურ ჩარკსეიანი** (1962, პამირი), **ბუზრამ თიკანაძე** (1963, შხარა), **ჯოთი ოგოლაშვილი** (1965, ნამყვამი), **დავით ხარაშვილი** (1966, რუსთაველი), **თეიმურაზ მელია** (1966, რუსთაველი), **გურამ ფოფორია** (1966, რუსთაველი), **დიმიტრი ჭავჭანიძე** (1966, რუსთაველი), **ბიძინა ოტიაშვილი** (1966, რუსთაველი), **დათო გაგაძე** (1967, წურუნგალა), **მიხეილ ხერგიანი** (1969, სუალტო, იტალია).

სწორედ მათ დაღუპულ მეგობრებს მიუძღვნა ლექსი **ნოლიკო ხაბეიშვილმა:**

*„ვიხსენებ მე იმ
თეთრ ედელვაისებს
და ყელში რაღაც მიჭერს,
შენ იმ უცნობ
თეთრ ედელვაისებს —
უდროოდ დაღუპულ ბიჭებს".*

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-6*

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი* აცხადებს, რომ გარკვეულ ეტაპზე შუმერებისა და ქართველების საერთო წარმოშობა დამტკიცებულიც კი იყო, მაგრამ საბჭოურმა ენათმეცნიერებამ და ისტორიოგრაფიამ, განსაკუთრებით ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდის ფსევდომეცნიერებმა, ამ საკითხის განქიქება თვითმიზნად დაისახეს:**

— ძველი წელთაღრიცხვის 3500 წლიდან მოყოლებული, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 1200 წლამდე, მსოფლიო ისტორიისა და კულტურის ცენტრი კავკასია, მცირე აზია, შუამდინარეთი, ზაგროსის მთები, სირია-პალესტინა და ეგვიპტე იყო. ამ პერიოდის მთავარი წყაროებია არქეოლოგიური მასალა, ლურსმული წარწერები და ეგვიპტური იეროგლიფები. თუ ეგვიპტეს მხედველობაში არ მივიღებთ, აღნიშნულ ტერიტორიაზე, მოცემულ პერიოდში, არსებობდა ასეულობით მაღალგანვითარებული სახელმწიფო და ტომთა კავშირი, რომლებსაც დაახლოებით ერთი და იგივე კულტურული დონე ჰქონდათ. როგორც ვთქვით, ყოველივე ზემოთქმული არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რაც შეეხება წერილობით წყაროებს, დღეისათვის აღმოჩენილი და გაშიფრულია მხოლოდ შუმერულ, ხურიტულ-ურარტულ, ელამურ, ხათურ-ხეთურ და თანამედროვე არამეულ-ასირიული ენის წინაპარ ენებზე შესრულებული ტექსტები.

ისტორიის ლაბირინთებში გზის გასაკვლევად ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს ის დეტალია, რომელსაც არამარტო საბჭოური, არამედ მსოფლიო ისტორიოგრაფია დღემდე საგანგებოდ მალავს. ძველი წელთაღრიცხვის 3500-1200 წლებით დათარიღებულ ლურსმულ წარწერებში ჩვენ ვაწყდებით საქვეყნოდ ცნობილ სახელმწიფოთა სახელწოდებებს — **აქადს, ძველ ბაბილონს, ახალ ბაბილონს, ძველ და ახალ ასურეთს, ამორეველების ტომს, არამეელებს, ქანაანელებს** და ა.შ. შესაბამისად, თანამედროვე ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი ტერმინები — **აქადური ენა, ბაბილონური ენა, ასურული ენა, ქანაანური ენა, არამეული ენა** და ა.შ. სინამდვილეში ყველა ეს ენა ერთი იყო და სწორედ ამ ენის მემკვიდრეა დღევანდელი **აისორების ენაც, ივრითიც და არაბულიც!**

მეორე და საინტერესო — ყველა ამ ქვეყნის არამეულენოვანი მოსახლეობის ნაკადი ევფრატის დასავლეთიდან სხვადასხვა დროს მოსული უკულტურო მწყემსები იყვნენ, რომლებსაც ძველი წელთაღრიცხვის მესამე და მეორე ათასწლეულში ამორეველებს, ანუ „დასავლეთიდან მოსულ ხალხს“ უწოდებდნენ... სხვათაშორის, ამ ამორეველების ერთ-ერთი ნაკადის მიერ ქალაქ **ურის** აღების შემდეგ **ურიდან** გაიქცა **აბრაამი** თავისი ოჯახით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ლურსმული წარწერებიდან ჩანს, ის სახელმწიფო, სადაც ამორეველების შემოსევამდე **აბრაამი** და მისი უშუალო წინაპრები ცხოვრობდნენ, **ურის** მესამე დინასტიის მმართველობის ქვეშ არსებული **შუმერული სახელმწიფო** იყო, რომელშიც ერთადერთი სახელმწიფო ენა მხოლოდ **შუმერული** გახლდათ.

**— მაშინ რა გამოდის, ებრაელთა ბიბლიურ წინაპრად აღიარებული აბრაამი ივრითზე არ ლაპარაკობდა?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ებრაელთა ბიბლიურ წინაპრად გამოცხადებული **აბრაამი** და მისი წინაპრები იყვნენ **შუმერები** და მათი სამეტყველო ენა იყო არა **ივრითი,** არამედ მხოლოდ და მხოლოდ **შუმერული! აბრაამის** შთამომავლები **ივრითზე** გადავიდნენ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი **ამორეველთა (ქანაანელთა)** და მათ მონათესავე ენაზე მოლაპარაკე ეგვიპტელთა მიწაზე აღმოჩნდნენ. შეგახსენებთ, რომ **აბრაამი** შუმერულ ქალაქ **ურს** ტოვებს მას შემდეგ, რაც ბაბილონის ამორეველმა **მეფე ხამურაბმა** (ძვ. წ.აღ. 1792-1750 წ.წ.) ქალაქი **ური** დაიპყრო. სხვათაშორის, **ხამურაბი** მსოფლიო ისტორიაში პირველ კანონმდებლად სულ ტყუილად არის გამოცხადებული. პირველი კანონმდებელი ურის მესამე დინასტიის მეფე გახლდათ, ხამურაბამდე სამასი წლით ადრე მცხოვრები **შუმერი მეფე შულგი** (ძვ. წ.აღ. 2094-2046 წ.წ.), რომელსაც თავისი კანონები მხოლოდ შუმერულად აქვს დაწერილი და ის ხამურაბის კანონებთან შედარებით ბევრად უფრო ადამიანური და სამართლიანია.



**— ე.ი. გამოდის, რომ პირველი კანონმდებლები არა ბაბილონელები, არამედ ჩვენი მონათესავე შუმერები არიან?**

— დიახ, ეს ლურსმული წარწერებით დასტურდება. საერთოდ, შუმერული და ქართული ენების ნათესაობაზე ბევრს წერდა **მიხაკო წერეთელი.** გარკვეულ ეტაპზე შუმერებისა და ქართველების საერთო წარმოშობა დამტკიცებულიც კი იყო, მაგრამ საბჭოურმა ენათმეცნიერებამ და ისტორიოგრაფიამ, განსაკუთრებით **ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდის ფსევდომეცნიერებმა,** ამ საკითხის განქიქება თვითმიზნად დაისახეს.

> საუბედუროდ, ამ საქმეში **ერთ-ერთი ცნობილი ქართველი „მეცნიერიც“** გაერია, რომელსაც, სხვათაშორის, ამ ღალატის გამო კრემლმა ყველა ორდენი, ტიტული და წოდება მიანიჭა!

ამ კაცისა და მისი მოსკოველი თანამზრახველების დასახელება მათთვის ამჯერად დიდი პატივი იქნებოდა...

ჩვენთვის ესენი უხსენებელნი არიან, განსაკუთრებით რუსი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი **ვიაჩესლავ ივანოვი,** რომელიც ნომენკლატურის წარმომადგენელ სხვა რუს „მეცნიერებთან“ ერთად არამარტო ქართველებისა და შუმერების საერთო წარმომავლობის საკითხებს ბლოკავდა, არამედ ცდილობდა, მესხები ბალკანელებად გამოეცხადებინა და ქართველური ტომები საერთოდ დაეშორებინა ხათურ-ხეთურ და ხურიტულ-ურარტულ სამყაროსგან! უფრო მეტიც, **ე.წ. რუსი მეცნიერები** ქართულ სამყაროსთან ადიღე-ჩერქეზული და ვეინახურ-დაღესტნური სამყაროს კავშირსაც კი უარყოფდნენ, რომელიც დღეს **დნმ**-ის დონეზეც კი ასი პროცენტით არის დადასტურებული. **რუსი „მეცნიერები“** ცდილობდნენ, ქართველები და ქართველური ენები ყველასგან იზოლირებულ და კავკასიაში მერე მოსულად გამოეცხადებინათ, ანუ უნათესაო და უთვისტომო-უსამშობლო ხალხად გვაცხადებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, **ნიკიტა ხრუშჩოვის, მიხეილ სუსლოვისა და იური ანდროპოვის** თვითმიზანი იყო. ეს ყველაფერი კი ნასაზრდოები გახლდათ ანტისტალინიზმით. ამ თემას შიგადაშიგ ხელს არ აკლებდნენ დიდი სტალინის მოძულე უცხოელი ანტიქართველებიც... ჩვენი უახლოესი მეზობლები — სომხები ჩვენ თხუთმეტი საუკუნის წინათ და დღესაც **„ურაცებსა“** და **„ვრაცებს“** გვიწოდებენ, რაც სომხურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც **„ურელი“...**




ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათელია. ასე რომ, შუმერულ ქალაქ-სახელმწიფო **ურს,** ხურიტების სახელწოდება **„ჰურ“**-სა და ქართულ სამყაროს შორის დიდ სულიერ და გენეტიკურ კავშირში ეჭვის შეტანა, უბრალოდ, სასაცილოა... სხვათაშორის, ზემოთ სტალინი ვახსენეთ და არ შეიძლება, არ შევეხოთ მსოფლიო ისტორიაში პირველ კომუნისტურ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 22-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა. სწორედ ამ სახელმწიფოს წარმოადგენდა ჩვენ მიერ ხსენებული **შუმერთა მეფე შულგის** ქვეყანა, ე.წ. **ურის მესამე დინასტიის** (ძვ. წ.აღ. 2112-2003 წ.წ.) სახელმწიფო, რომელიც თავისი წეს-წყობილებით სრულიად განსხვავდებოდა როგორც მანამდე, ისე მის შემდეგ არსებული ბრინჯაოს ხანის ყველა სახელმწიფოსგან, მათ შორის შუმერულენოვანი სხვა სახელმწიფოებისგან!

## სიმონ მასხარაშვილი: შუმერთა მმართველობის ეს მოდელი 41 საუკუნის შემდეგ პირწმინდად გადმოიღო იოსებ სტალინმა!

**— რას გულისხმობთ?**

— ურის მესამე დინასტიაში, რომელმაც ძლიერების მწვერვალს სწორედ **მეფე შულგის** დროს მიაღწია, სახელმწიფო საკუთრებად იყო გამოცხადებული მიწის უდიდესი ნაწილი, სახელმწიფო მონოპოლია იყო დაწესებული ხელოსნობასა და საგარეო ვაჭრობაზე. **შულგის** შუმერულ სამეფოში მეფე ითვლებოდა არა მბრძანებლად, არამედ ხალხის უპირველეს მსახურად და ქვეყნის მშენებლად. მაგალითად, ჩვენ შეჩვეული ვართ, რომ უძველესი და შემდგომი დროის ცენტრალიზებული სამეფოების თვითმპყრობელი მმართველები ყველგან გამოსახული არიან შარავანდედით და ღვთაებრივი ატრიბუტიკით. სრულიად სხვა სურათი გვაქვს **ურის სამეფოში,** სადაც მეფეები გამოსახული არიან მუშის ფორმაში, რომლებსაც თავზე სამშენებლო აგურით სავსე კალათა ადევთ.



**მეფე შულგის** მიერ მიღებული კანონებით და სხვა წარწერებით, მეფე მოქალაქეებს გარანტიას აძლევს, რომ არ მოხდება ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრა! სახელმწიფოში დაშვებულია წვრილი კერძო მეურნეობა, მაგრამ ძირითადი პროდუქტის შემქმნელი სახელმწიფო მონოპოლიებია, სადაც დასაქმებული ხალხი გასამრჯელოს ან ნატურით იღებს, ანდა ვერცხლის ნაჭრების სახით.

ურის მესამე დინასტიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო მონოპოლიას საგარეო ვაჭრობაში. ამ გზით სახელმწიფო არამარტო უცხო ქვეყნებთან ვაჭრობდა, არამედ ორგანიზებულად ეწეოდა კულტურისა და იდეოლოგიის პოპულარიზაციას. სამეფო ხელისუფლება უხვად აფინანსებდა მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს და ხელოსნებს. შუმერთა მმართველობის ეს მოდელი 41 საუკუნის შემდეგ პირწმინდად გადმოიღო **იოსებ სტალინმა!** უფრო მეტიც, **ქალაქ ურის** მთავარ მფარველებად ითვლებოდნენ — მთვარის ღვთაება მამაკაცი — **ნანა** და მისი მეუღლე **ნინქალი.** ნინქალი მიჩნეული იყო ნაყოფიერების ღვთაებად და მისი კულტი ძალიან ძლიერი და გავლენიანი გახლდათ არამარტო შუმერებში, არამედ ხურიტებში. მე-20 საუკუნეში, დღევანდელ სირიაში, ხმელთაშუაზღვისპირას მდებარე უძველეს ქალაქ უგარითში აღმოჩნდა მსოფლიო ისტორიაში დღემდე უძველესი სანოტო ნიშნებითა და ხურიტული ტექსტით დაწერილი საგალობელი, რომლის აღდგენაც და შესრულებაც მოხერხდა. საგალობელი წარმოადგენს უშვილო დედების გალობას ღვთაება ნინქალის მიმართ.

> „კახური საგალობლების დიდი ნაწილი და, უპირველესად, „ჩაკრულო“, შუმერულ-ხურიტულ-ქართული ერთობის უკვდავი დასტურია!“

**— ეს რას ადასტურებს?**

— ეს ადასტურებს **შუმერებსა და ხურიტებს** შორის არსებულ უდიდეს სულიერ და ფიზიკურ კავშირს. აქ ბუნებრივად გახსენდება, რომ ქართული საგალობელი „ჩაკრულო“, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. ერთია ამონარიდები სხვადასხვა ქართული ლექსებიდან, რომლებიც მე-18 და მე-20 საუკუნეებში დაიწერა, მაგრამ საგალობლის ტექსტის უმთავრესი ნაწილი **ხურიტულ-ურარტულ ენაზეა** შესრულებული. სწორედ ხურიტულის მემკვიდრე ურარტულმა, როგორც სახელმწიფო ენამ, თითქოს 27 საუკუნის წინათ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ ჩვენ, ქართველები, 2700 წლის შემდეგაც უფალს **ხურიტულ-ურარტულ** ენაზე ვადიდებთ და ვეთაყვანებით. კახური საგალობლების დიდი ნაწილი და, უპირველესად, „ჩაკრულო“, შუმერულ-ხურიტულ-ქართული ერთობის უკვდავი დასტურია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***მომღერალი დათო გომართელი და რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე დაბადებული არიან მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით, პირველი — 1961 წლის 13 თებერვალს, ხოლო მეორე — 1962 წლის 10 თებერვალს. რამდენად ახასიათებთ მათ მერწყულის თვისებები, ამას თავადვე მოგვახსენებენ:***




დათო გომართელი:

# რიცხვი 13 ჩემს ცხოვრებაში საოცარი მისტიკაა!

**დათო გომართელი:** — ასტროლოგები ბევრს წერენ მერწყულის თვისებებზე, მათი უმრავლესობა ემთხვევა ჩემსას.

**— 13 რიცხვში ხართ დაბადებული, ამბობენ, რომ 13 თარსია...**

— 13 არის ჩემი ცხოვრების რიცხვი, ყველგან, სადაც კი მივდივარ, ბანკში, სასტუმროში თუ თვითმფრინავით ვმგზავრობ, 13 ნომერი ჩემი განუყოფელი ნაწილია. რაღაც ნიშანივით იყო, ხშირად რიგის ნომრად 13 მხვდებოდა, ფოტოებსაც ვიღებდი, თუმცა, როცა ეს მომენტები მომრავლდა, გადაღებას თავი დავანებე. ერთხელ საზღვარგარეთ საავადმყოფოში ანალიზები უნდა ამეღო, რიგის ნომრად 14 მერგო. როცა გამოაცხადეს, მე-13 ნომრით პაციენტი შემოვიდესო, უცებ ჩემთან მოვიდა ხანში შესული კაცი და მეუბნება, მეუღლეს ველოდები, ჯერ არ მოსულა და, თუ შეიძლება, მე-13 ნომერს გაგიცვლითო. მოგონილ ისტორიას არ გიამბობთ, ჩემი რამდენიმე მეგობარი შეესწრო ამ ამბავს. ასე რომ, რიცხვი 13 ჩემს ცხოვრებაში საოცარი მისტიკაა!

**— ამბობენ, რომ მერწყულებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ...**

— მსოფლიოს შეცვლის შესაძლებლობა არ მაქვს, მაგრამ ბევრი რამ შემიძლია შევცვალო სიკეთისა და უკეთესი ცხოვრებისაკენ. ცხოვრება მტკნარი მდინარე არ არის, ყოველთვის რაღაც იცვლება, მითუმეტეს, დღევანდელ მსოფლიოში, ამ რიტმს როგორმე ფეხი უნდა აუწყო, კომფორტის ზონიდან გამოხვიდე და არ ჩამორჩე.

**— მერწყულები ყველაზე ორიგინალური ადამიანები არიან...**

— ორიგინალობას ვაფასებ, თუ ჩანს გემოვნება და სტანდარტულ ჩარჩოში არ ზის. ახალ და კრეატიულ აზროვნებას მივესალმები. ხშირად მეუბნებიან, რომ მეც გამორჩეული ადამიანი ვარ, ჩემ მიმართ კარგ დამოკიდებულებას გამოხატავენ, რაც სასიამოვნოა, ეს მაძლევს დიდ ენერგიასა და სტიმულს.

**— მერწყულებს უყვართ თავისუფლება...**

— დიახ, გალიაში ყოფნას ვერ იტანენ, ვერაფრით დაიმორჩილებ. ჩემი ხასიათიც ეს არის, ამ თავისუფლებაში, შეიძლება, გამიჭირდეს კიდეც, მაგრამ სჯობს, ლაღი ვიყო, ვიდრე ჩარჩოებში მოთავსებული. მებრძოლიც ვარ, ცოტა დაუმორჩილებელიც, მორიდებული და თავშეკავებულიც. გააჩნია სიტუაციებს, ძნელია ამაზე საუბარი.

**— კონფლიქტურ სიტუაციებს ერიდებით?**

— გააჩნია სიტუაციას, თუ საჭირო გახდა ჩემი ჩარევა, უკან არ ვიხევ, მერწყულები არ არიან მშიშრები და მხდალები, ჩემს პოზიციას ყოველთვის ვაფიქსირებ. **ხარის წელში ვარ დაბადებული, ცოტა ჯიუტიც ვარ.**

**— მერწყულები კარგი მეგობრები არიან...**

— ვამაყობ ჩემი მეგობრებით, უფალმა დამაჯილდოვა, ისინი რომ მყავს, მეც ვცდილობ, მათთვის საუკეთესო მეგობარი ვიყო. დაგისახელებთ ერთ-ერთს — **გია გორდეზიანს,** მხატვარი და ცნობილი სიმღერების ავტორია („რა დილა თენდება“, „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება...“). მეგობრებს შორის მყავს ექიმებიც, არქიტექტორებიც, მსახიობებიც.

**— სად აღნიშნავთ დაბადების დღეს?**

— ძალიან მიყვარს თხილამურებზე სრიალი, ამიტომ ამ სიტუაციაში რამდენიმე მეგობართან ერთად ჩემს დაბადების დღეს ალპებში, იტალიაში, შევხვდები.



ნანა ლორთქიფანიძე:

# ყოველ წვრილმანს იმდენად ვაქცევ ყურადღებას, რომ შემდეგ ჩემივე საქციელი მღლის!

**ნანა ლორთქიფანიძე:** — მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით ბევრი ადამიანია დაბადებული და ნუთუ შეიძლება, რომ მათი თვისებები ერთმანეთს ემთხვეოდეს? ზუსტად არ ვიცი, ასტროლოგები როგორ ახასიათებენ მერწყულებს.

**— მერწყულებს არ ახასიათებთ წვრილმან დეტალებზე ფიქრი, მთავარ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას.**

— პირიქით, ყოველ წვრილმანს ვაქცევ ყურადღებას: საოჯახო საქმეშიც და ჩემს პროფესიაშიც. იმდენად დეტალურად ვაკვირდები, რომ შემდეგ ძალიან მღლის ჩემივე საქციელი.

**— წარსულის პრობლემებს წარსულში ტოვებთ და საკითხს აღარ უბრუნდებით?**

— განწყობაზეა დამოკიდებული. ჩემი ცხოვრების გარკვეული მომენტები შეიძლება წარსულშიც დავტოვო და აღარც მინდოდეს იმის გახსენება, მაგრამ არის ეპიზოდები, რასაც ვერ ვივიწყებ, ზურგს ვერ ვაქცევ, რადგან ის არის ჩემი ცხოვრება, ჩემი ისტორია. წარსული დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, თან სდევს, მისი ნაწილია.

**— მერწყულები ცდილობენ, შეცვალონ თავიანთი პრიორიტეტები ფაქტებზე დაყრდნობის შემდეგ.**

— ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე. თუკი ფაქტები მეუბნება, რომ შევცდი, არ გავჯიუტდები და შევცვლი პრიორიტეტს.

**— მერწყულების ერთ-ერთი თვისებაა დამოუკიდებლობა. გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებთ? როდის გახდით ფინანსურად დამოუკიდებელი ადამიანი?**

— დამოუკიდებელი ვიყავი და ასეთივე დავრჩი. თუმცა, დედისა და მამის რჩევებს ვითვალისწინებდი. შეიძლება ნაბიჯი გადამედგა, მათი რჩევა არ მიმეღო, მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ისინი მართლები იყვნენ, ყოველთვის წინ დამხვედრია მათი სიტყვები. საერთოდ კი რჩევებს ვითვალისწინებ, მითუმეტეს, როდესაც ვგრძნობ, რომ ეს რჩევა ჩემ მიმართ კეთილგანწყობილი ადამიანისგან მოდის. რაც შეეხება ფინანსურ დამოუკიდებლობას — მოგეხსენებათ მსახიობების ხელფასების სიმცირე, ფინანსურად დამოუკიდებელი ახლაც არ ვარ და, წარმოიდგინეთ, მამა იმ ქვეყნიდანაც მეხმარება — ხშირად აჩვენებენ მის ფილმებს, მის სპექტაკლებს. ამის გათვალისწინებით, საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციიდან მე და ჩემს დებს გვაქვს გარკვეული შემოსავალი.

**— მერწყულებმა იციან, როგორ გახდნენ ბედნიერი სხვების გარეშე, უყვართ მარტოობა.**

— ზოგადად, მარტოობა მიყვარს, როცა ვკონცენტრირდები საქმეზე, მაგრამ ჩემი დების, ჩემი შვილისა და შვილიშვილების გარეშე ბედნიერი ვერ ვიქნები.

**— მოკრძალებული ხართ?**

— დიახ, მაგრამ არა მგონია,

*გაგრძელება 30-ე გვერდზე*

## 10 - 16 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**სანაქებო ფსიქოსომატური მდგომარეობა კარგ განწყობას შეგიქმნით. ახალი საქმეებისა და ბიზნესისთვის მშვენიერი პერიოდია. მეტად კონტაქტური იქნებით, რაც ახალი კავშირების დამყარებას, მოლაპარაკებებს, ცოდნის გაღრმავებასა და მოგზაურობას ხელს შეუწყობს. 18 თებერვლიდან მოსალოდნელია არასწორი გათვლები ბიზნესში, ამიტომ მეტი სიფრთხილე, მეტი დაკვირვება გმართებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, დახმარებისთვის ძველ პარტნიორებს მიმართეთ და შესაძლოა, ერთობლივი საქმეც წამოიწყოთ. ხელმძღვანელი პირები კი თქვენი კეთილდღეობის გარანტები იქნებიან. თვის მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვლება, გახშირდება კონფლიქტი. პრობლემური გახდება ზოგიერთი კონტრაქტი და შეთანხმება, რადგან არასწორად შედგენილი აღმოჩნდება. არავის სიტყვებს არ ენდოთ და თავად გააკონტროლეთ ყველა ინფორმაცია.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**მოსალოდნელია, აღმოჩნდეთ მკაცრი კონტროლისა და დროის ზეწოლის ქვეშ, კერძოდ, შეთანხმებებისა და ვადების დარღვევა. მოგიწევთ კრიტიკული საყვედურის მოსმენა, პირობებისა და შეთანხმების შეცვლა. საქმეში მცირეოდენი გარისკვა გამართლებული იქნება, მაგრამ, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს დამატებითი ცოდნის მიღება. თქვენი იმუნიტეტი დროებით დასუსტებულია. კარგი პერიოდია ახლო მანძილზე გამგზავრებისა და ბუნების წიაღში დასვენება-მოდუნებისთვის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**გელით წინააღმდეგობები ბიზნესში, ამიტომ იძულებულს გაგხდით, მოერგოთ ახალ პერსპექტივებსა და გარემოცვას. ამ პერიოდში შესაძლოა ფულადი დანაკარგი, კანონთან პრობლემა, ასე რომ, ამ პერიოდში არ უნდა გამოიყენოთ ბოროტად ძალაუფლება, რადგან ამ გზით თქვენ კოლეგებსა და მეგობრებს მტრად გადააქცევთ. ამ პერიოდში შეიძლება გახდეთ უფრო დაუცველი და დაგჭირდეთ გარემოს მხარდაჭერა.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ყველა ის გეგმა, რაც ცუდად შექმნილი და ორგანიზებული გქონდათ, შეიძლება ჩაგივარდეთ. თქვენს შეცდომებს, უყურადღებობასა თუ უპასუხისმგებლობას ირგვლივ ყველა შეამჩნევს. სიფრთხილით მოეკიდეთ თქვენს ჯანმრთელობას და სწორ კვებას. პირად სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობებში გადაწყვეტილებები დროულად მიიღეთ და მოქმედება დაიწყეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**საქმის წარმართვაში გელით პარტნიორებთან პრობლემები, მოსალოდნელია, დაკარგოთ მხარდაჭერა, ამის გამო ზოგიერთი გეგმა შეფერხდება. მნიშვნელოვანია, გამოთვალოთ სიძლიერე და შესაძლებლობები, წინააღმდეგ შემთხვევაში რისკავთ და შესაძლოა, ვერ გაართვათ თავი დაკისრებულ ამოცანებს. ამ პერიოდში ხშირად იგრძნობთ უკმაყოფილებასა და სასოწარკვეთას. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ერიდეთ ძალისმიერ ვარჯიშსა და სპორტის ექსტრემალურ სახეობებს.**

## 10 - 16 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**შესაძლებელია ფინანსური პრობლემები კონფლიქტურად გამწვავდეს — დაუგეგმავი გადასახადები, ფულადი დანაკარგები. დაგეკისრებათ ბევრი საზრუნავი და პასუხისმგებლობა, რაც თავის მოწესრიგებასა და ძალიან ეფექტურად მოქმედებაში დაგეხმარებათ. თუმცა, მხოლოდ იღბალს არ უნდა დაეყრდნოთ, მკაცრად გააკონტროლეთ პროცესები, რათა დადებითი შედეგი მიიღოთ. პირად ცხოვრებაში კი შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორზე გახდეთ დამოკიდებული.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**შემოქმედებითი პოტენციალი მოიმატებს და სიტუაციის შეცვლა დაიწყება. ახალი იდეები და მოლაპარაკებები სხვა დონეზე გადაიყვანს თქვენს საქმიანობას, რაც მეტად გაგახარებთ და უფრო მეტი პროექტების დაწყების საშუალებას მოგცემთ. ნუ გაიკვირვებთ, თუ ამ პერიოდში რაიმე საიდუმლოს ამოხსნით ანდა ჩახლართულ სიტუაციას გაამარტივებთ. პირად ცხოვრებაში შესაძლოა ღალატი. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კი მიზანშეწონილი იქნება ფიზიკური ვარჯიში და ბუნების წიაღში სეირნობა.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**მოგემატებათ გაღიზიანება და იმპულსურობა, ამის ფონზე შესაძლოა კონფლიქტების და წინააღმდეგობების გამოწვევა. ნაჩქარევი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. დახმარებისთვის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მიმართეთ. მოერიდეთ ხშირ გადაადგილებებსა და დიდ ფიზიკურ დატვირთვას, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**არ გადააჭარბოთ უფლებამოსილებას და არ გამოიყენოთ ძალაუფლება ბოროტად, წინააღმდეგ შემთხვევაში რისკავთ გაუაზრებლად და ნაჩქარევად. ამ პერიოდში შესაძლოა ფულადი დანაკარგი, წარუმატებლობა, საშიში და სარისკო სიტუაციები. ნაჩქარევი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. მეტად მომხიბლავი იქნებით და ამიტომ ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. მგზავრობისას ან დასვენებისას შესაძლოა, ახალ სიყვარულს ჩაეყაროს საფუძველი.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ამ პერიოდში კონფლიქტები გელით სხვა ადამიანების გავლენისგან თავის დაღწევის სურვილის გამო. მოსალოდნელია უბედური შემთხვევა, ავარია, გადაადგილების აუცილებლობა ან ახლობლებთან განშორება. კარგი პერიოდია გარიგებებისა და კონტრაქტების გასაფორმებლად, თუმცა, მანამდე სრული შესწავლაა საჭირო. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგია გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.**

**თევზები** (19.02-20.03)
**მოსალოდნელია კონფლიქტები, შეიძლება გაგაკრიტიკონ და იყოთ დაუცველები სხვა ადამიანებისგან არაპროგნოზირებადობის გამო. ცნობისმოყვარეობითა და პრაქტიკულობით ბევრ საქმეს თავს გაართმევთ. ჩანაფიქრის განხორციელებისთვის კი მცირეოდენი გარისკვაა საჭირო. ოჯახურ და პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება გამოიჩინეთ და ნუ გაიბუტებით. ასევე ნუ გადაიღლებით და მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობა არ გაიუარესოთ. მოგზაურობა და უცხოელებთან კავშირი კი დადებით შედეგს მოიტანს.**

*დასაწყისი 29-ე გვერდზე*

რომ ეს დიდი პლუსი იყოს. მეტი სითამამე რომ მქონოდა, იქნებ, სხვანაირად წამეყვანა ჩემი ცხოვრება.

**— შენიშვნას ხმამაღლა ამბობთ? რა აზრის ბრძანდებით გასულ კვირას რუსთაველის თეატრში რამდენიმე მსახიობის მიერ გამოხატულ პროტესტზე, როდესაც ე. წ. „პაკლონზე" მაყურებლის წინაშე წარწერიანი მაისურებით: „თავისუფლება სინდისის პატიმრებს" გამოჩნდნენ?**

— რასაც ვფიქრობ, ხმამაღლა ვიტყვი.

**სწორად არ მიმაჩნია, როდესაც სპექტაკლის დასრულებისას სცენაზე გამოდიხარ, პროტესტს გამოხატავ და არ ითვალისწინებ კოლეგების განწყობას. ეს არ უნდა გააკეთო იმ ადამიანების გვერდით, ვინც არ გეთანხმება და არ იზიარებს შენს აზრს. ეს იყო თავხედური ჟესტი, არ შეიძლება კოლექტივისთვის სიურპრიზების მოწყობა.**

არავინ იცოდა, კოსტიუმების შიგნით მათ რა ეცვათ. პროტესტის გამოსახატად არსებობს ქუჩა, ტელევიზია, რადიო. თუ არ მოგწონს ეს თეატრი, შეგიძლია, სხვაგან წახვიდე და იქ აკეთო შენი საქმე, ოღონდ არა რუსთაველის თეატრში.

**— ამბობენ, მერწყულები წარმოუდგენლად მამაცები არიან, პრიორიტეტს ანიჭებენ პირად ინტერესებს...**

— **ვეფხვის წელიწადში** ვარ დაბადებული და არის სიტუაციები, როდესაც მამაცი ვხდები და ვრისკავ. თუმცა, ზოგადად არ ვარ ასეთი. რაც შეეხება პირად ინტერესებს, ვერ დავეთანხმები ასტროლოგებს, არ ვარ ასეთი ეგოისტი, ჩემს ცხოვრებაში ჯერ ჩემი შვილია და შვილიშვილები, ჩემი თავი ბოლო ადგილზე მყავს, როცა ყველაფერს მოვაწესრიგებ, ჩემს თავს მერე ვუბრუნდები.

**— ბოლოს როდის გადაიხადეთ დაბადების დღე?**

— შარშან. დედასთან, ჩემს შვილთან და ჩემს დებთან ერთად ჩინურ რესტორანში ვიყავით, დედამ დაგვპატიჟა. მანამდე ბოტანიკურ ბაღში ვიყავით მიწვეული ფოტოსესიაზე, ვისეირნეთ ელექტრომანქანით, ძალიან კარგად მახსენდება ის დღე. დედა და მამა ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, რომ დაბადების დღე გადამეხადა.

**— მერწყულებმა იციან, როგორ დაუმეგობრდნენ ადამიანებს — დიდი სამეგობრო წრე გყავთ?**

— ბევრი მეგობარი გარდამეცვალა, წრე შემიმცირდა. ზოგზეც ამ პოლიტიკურმა ამბებმა მოახდინა გავლენა, დამკარგეს ძალიან ახლო მეგობრებმა, ისინი სხვა მხარეს აღმოჩნდნენ, მე — სხვა. არ ვიცი, შეიძლება, დროებითია ეს დაშორება, არ მნახულობენ იმის გამო, რომ არ გამწვავდეს ურთიერთობა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მე ძალიან მიყვარს. იმედი მაქვს, ხალხი დაწყნარდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# მერწყულის ზოდიაქოს ნიშანი -

***ასტროლოგების მოსაზრებით, მერწყულები მომავლის ხედვის მქონე ადამიანები არიან, გამოირჩევიან არასტანდარტული აზროვნებით, დამოუკიდებლობითა და სიახლისადმი სიყვარულით. მათთვის წესები მხოლოდ გამოწვევაა, ხოლო ჩარჩოები — გადასალახი ბარიერი. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები ხშირად ხდებიან გამომგონებლები, რეფორმატორები და საზოგადოებრივი ცვლილებების ინიციატორები. გამოირჩევიან თავისუფლების სიყვარულით, წინდახედულობით, არ ეშინიათ სიახლეების, ხშირად ფიქრობენ ათწლეულებით წინ და სხვებსაც უბიძგებენ პროგრესისკენ.***

## მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ, 10 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით დაბადებულნი არიან ცნობილი ქართველები:



**1984 წლის 10 თებერვალს, ვირთხის წელიწადში** დაიბადა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი, პირველი ქართველი, რომელმაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია მოიგო, **ზაზა ფაჩულია.** ორი წლის წინათ საკუთარ დაბადების დღეზე გადაღებულ ფოტოებს დააწერა: „ეპიკური ღამის" საუკეთესო მომენტები.



**1953 წლის 11 თებერვალს, გველის წელიწადში** დაიბადა მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგი, ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი **პაატა იმნაძე.** ხალხს თავი დაამახსოვრა კორონავირუსზე სასწრაფოდ აცრების დაძალებითა და დევიზით: აცრილებისთვის შეზღუდვები არ იყოს, აუცრელებისთვის — იყოს!



**1935 წლის 12 თებერვალს, ღორის წელიწადში** დაიბადა მომღერალი, საბჭოთა კავშირში პირველი ჯაზ-მომღერალი ქალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **გიული ჩოხელი.** 90 წლისას აქვს ოპტიმისტური განწყობა, არის ენერგიული, წლებს არ ემორჩილება.



**1955 წლის 12 თებერვალს, თხის წელიწადში** დაიბადა ოპერის მომღერალი **პაატა ბურჭულაძე.** ასაკის მომატების მას არ ეშინია, საერთაშორისო აღიარებას იღბალს აწერს, როდესაც ერთმა ბანმა უარი თქვა სპექტაკლში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად მოუწია გასვლა „კოვენ გარდენის" სცენაზე ლუჩანო პავაროტისა და კატია რიჩარელის გვერდით.



**1962 წლის 12 თებერვალს, ვეფხვის წელიწადში** დაიბადა მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ქალთა შორის **ნანა იოსელიანი.** მარცხს ძალიან მძიმედ განიცდიდა, მისი საყვარელი ფიგურა იყო კუ.



**1969 წლის 12 თებერვალს, მამლის წელიწადში** დაიბადა მომღერალი **ლელა წურწუმია,** წლებს არ მალავს, სხვებსაც სტიმულს აძლევს, არწმუნებს, რომ ასაკშიც კი შეიძლება ქალი კარგად გამოიყურებოდეს.



**2001 წლის 12 თებერვალს, გველის წელიწადში** დაიბადა ფეხბურთელი, ამჟამად საფეხბურთო კლუბ „პარი სენ-ჟერმენის" წევრი **ხვიჩა კვარაცხელია.** არის შრომისმოყვარე, მასში გამოვლინდა მერწყულის უნიკალური თვისებები, რეალურად შეაფასოს ვითარება, იყოს გუნდური, თუმცა, მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობას დაეყრდნოს.



**1966 წლის 13 თებერვალს, ცხენის წელში** დაიბადა მუსიკოსი, მსახიობი და შოუმენი **ბია ბაჩეჩილაძე.** მას ახასიათებენ, როგორც პიროვნებას, ვისაც არ ეშინია საკუთარი თავის გამოხატვა, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ გალაშქრება, თუკი დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში.



**1972 წლის 13 თებერვალს, ვირთხის წელიწადში** დაიბადა იურისტი, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი.** პრიორიტეტს ანიჭებს ოჯახს, ერიდება კონფლიქტურ სიტუაციებს.



**1975 წლის 14 თებერვალს, კურდღლის წელიწადში** დაიბადა 2009-2012 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ნიკოლოზ გილაური.** როგორც ეკონომისტი და ფინანსისტი, დარწმუნებულია საკუთარ პროფესიონალიზმში. ამბობენ, რომ ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებში ყველაზე ერთგულ მოკავშირედ მიაჩნია დედა.



**1991 წლის 16 თებერვალს, თხის წელიწადში** დაიბადა ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპისა და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატების გამარჯვებული **ზებედა რეხვიაშვილი.** ახლობლები მას ახასიათებენ, როგორც „საამაყო და ჯიგრიან" ზებედას.



**1984 წლის 17 თებერვალს, ვირთხის წელიწადში** დაიბადა ქართველი მორაგბე **ოთარ ბარქალაია.** არ უყვარს წვრილმანებზე ფიქრი, ყურადღებას ამახვილებს მთავარზე და პრობლემის მოგვარებაზე.

**1958 წლის 17 თებერვალს, ძაღლის წელიწადში** დაიბადა ქართველი პოლიტიკოსი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი 1995 წლიდან **შალვა ნათელაშვილი.** როგორც მერწყულის ნიშნით დაბადებულს, უყვარს სწავლა და სხვებისთვის ცოდნის გაზიარება.



## მერწყულის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1890 წლის 10 თებერვალს, ვეფხვის წელიწადში** დაიბადა რუსი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და ნობელის პრემიის ლაურეატი **ბორის პასტერნაკი.** გარდაიცვალა 70 წლის ასაკში.



**1934 წლის 10 თებერვალს, ძაღლის წელიწადში** დაიბადა ქართველი მხატვარი და გრაფიკოსი **თენგიზ (ჩუბჩიკა) მირზაშვილი.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში.



**1847 წლის 11 თებერვალს, თხის წელიწადში** დაიბადა ამერიკელი მეწარმე, ელექტრიფიკაციის სფეროში გამომგონებელი **თომას ედისონი.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში.



**1809 წლის 12 თებერვალს, დრაკონის წელიწადში** დაიბადა ამერიკის მე-16 პრეზიდენტი **აბრაამ ლინკოლნი** (ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, 1809 წელს გველის წელი იწყებოდა 14 თებერვლიდან). მოკლეს 56 წლის ასაკში. **ამერიკის პრეზიდენტებიდან, აბრაამ**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 10 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.03 საათზე, ჩადის 17.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში (20.54). ამოდის 15.01 საათზე, ჩადის 06.03 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 15.21 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** გზაში იყავით ყურადღებით, რადგან სხვა მძღოლების მოქმედება წინასწარ განუსაზღვრელი იქნება. ცუდი დღეა ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობის დასაწყებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად. დაპირებებს ნუ გასცემთ, სიფრთხილე გმართებთ ცეცხლთან, მჭრელ საგნებთან მიმართებაში. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. სასიკეთო დღეა კულინარიისა და ფოტოგრაფიისთვის, ვაჭრობისთვის, ხალხური შემოქმედებისა და მათი ნიმუშების შესაძენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, სასამართლო პროცედურებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის და მორწყვისთვის, ცხოველების შესაძენად, საჩუქრებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, მოიმატებს ინტუიცია. კარგი დღეა ტრადიციებში ჩასაღრმავებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, გული. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარგალიტი, ოპალი, ყვითელი იასპი. **ფერები:** მწვანე, თეთრი, ვერცხლისფერი, იისფერი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 11 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.02 საათზე, ჩადის 17.29 საათზე. **მთვარე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 16.12 საათზე, ჩადის 06.40 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.49 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ცვლილებების დროა, მცირეოდენი შეჩერება დიდი და მნიშვნელოვანი საქმის დაწყების წინ. კარგია არომათერაპია, აბაზანა, ბავშვები მეტად შეეწინააღმდეგებიან მშობლებს, მოიმატებს აზარტი, დინამიურობა. ნეგატიური დღეა ფინანსური გარიგებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ნიშნობისა და ქორწინებისთვის, ცხოველებით ვაჭრობისთვის, ყურების გასახვრეტად, აბანოსა და სოლარიუმისთვის. ნუ ინერვიულებთ. მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას, გაუფრთხილდით გულს. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, კოსმეტიკის, პარფიუმერიის, საჩუქრების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ძვირფასეულობის შესაძენად, ახალი თანამდებობის დასაკავებლად, ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელებთან ურთიერთობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ლატარიის ბილეთების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მშენებლობისთვის, თმების შეჭრა-შეღებვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ქარვა, ბრილიანტი, სერდოლიკი, მთის ბროლი, სარდიონი. **ფერები:** წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, ბეჟი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, მშვილდოსნისთვის, თხის რქისთვის.

### 12 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 17.21 საათზე, ჩადის 07.09 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 18.16 საათზე. **სავსემთვარეობა** — 17.54 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია (23.13-01.00). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს სავსემთვარეობაა — მძიმე ენერგიების დღე,** მზის და მთვარის ენერგიათა დაპირისპირება. ლომი მერწყულის ზოდიაქურ ღერძზე მეტად განაპირობებს აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, ტრავმებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ გამოვლინებას. მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, სესხის აღებას ან გასესხებას, პრეტენზიების გამოხატვას, ეგოიზმს, სულსწრაფობას. ნეგატიური დღეა ფინანსური გარიგებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ნიშნობისა და ქორწინებისთვის, ცხოველებით ვაჭრობისთვის, ყურების გასახვრეტად. სასიკეთო დღეა ხელოვნების ფართო სპექტრთან ურთიერთობისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საჩუქრებისთვის. მოერიდოთ აბანოს, სოლარიუმს, გადაღლას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გული, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **ფერები:** წითელი, ბეჟი, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

### 13 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე. ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია (04.58). ამოდის 18.28 საათზე, ჩადის 07.33 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 19.38 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 05.08 საათამდე. **ტენდენციები:** ნაყოფიერი დღეა კარგად მოფიქრებული საქმეებისთვის. ნეგატიური დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, მეგობრობისა და ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, სარისკო მოქმედებისთვის. პოზიტიური დღეა საფინანსო საბუთების გასაფორმებლად, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, მიწათმოქმედებისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ქიმწმენდისთვის, დიეტის დასაწყებად, მანიკიურსა და პედიკიურისთვის, თმების შეჭრისთვის. აკონტროლეთ საკვების და სასმელის ხარისხი — მოწამვლის ალბათობა მაღალია. პარტნიორულ ურთიერთობაში ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და პირდაპირი. სხვათა საქმეებში ნუ ჩაერევით მათი თხოვნის გარეშე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **ფერები:** ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, მწვანე. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, თევზებისთვის.

# 20 იანვარი – 18 თებერვალი






**ლინკოლნის** გარდა, მერწყულის ნიშნით დაბადებული იყო კიდევ ოთხი პრეზიდენტი: **უილიამ ჰენრი ჰარისონი** (მე-9 პრეზიდენტი), **უილიამ მაკ-კინლი** (25-ე პრეზიდენტი), **ფრანკლინ დელანო რუზველტი** (32-ე პრეზიდენტი), **რონალდ რეიგანი** (მე-40 პრეზიდენტი).



**1809 წლის 12 თებერვალს, დრაკონის წელიწადში** დაიბადა ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ბუნებრივი გადარჩევის გზით ორგანიზმთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ მოძღვრების ავტორი **ჩარლზ დარვინი.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში.

**1941 წლის 16 თებერვალს, გველის წელიწადში** დაიბადა ჩრდილო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური, კორეის შრომის პარტიის გენერალური მდივანი **კიმ ჩენ ირი.** გარდაიცვალა 70 წლის ასაკში.





## მერწყულები არიან:



ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, მწერალი და პროდიუსერი **ელიზაბეტ ბენქსი,** დაიბადა 1974 წლის 10 თებერვალს, **ვეფხვის წელიწადში.**



ინგლისელი მომღერალი **რობი უილიამსი** — დაიბადა 1974 წლის 13 თებერვალს, **ვეფხვის წელიწადში.**



ამერიკელი მსახიობი **მინა სუვარი,** დაიბადა 1979 წლის 13 თებერვალს, **თხის წელიწადში.**



ამერიკელი მსახიობი **ჯენიფერ ენისტონი,** დაიბადა 1969 წლის 11 თებერვალს, **მამლის წელიწადში.**



ამერიკელი კალათბურთელი **მაიკლ ჯორდანი,** დაიბადა 1963 წლის 17 თებერვალს, **კურდღლის წელიწადში.**



ამერიკელი მსახიობი, მომღერალი და დიზაინერი **პერის ჰილტონი,** დაიბადა 1981 წლის 17 თებერვალს, **მამლის წელიწადში.**




## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 14 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 19.32 საათზე, ჩადის 07.53 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 20.57 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გაზომვითი ოპერაციებისთვის კარგი დღეა. აკონტროლეთ ემოციები. მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს, მეგობრებს, შემოქმედებით მუშაობას. რთული დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, სარისკო მოქმედებისთვის. ნუ ჩაერევით სხვათა საქმეებში მათი თხოვნის გარეშე. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, ქიმწმენდისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, დიეტის დასაწყებად, თმების შესაჭრელად. კარგია ურთიერთობა ცხოველებთან, მანიკიურ-პედიკიურის გაკეთება. მაღალია მაქინაციების, ინტრიგების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **ფერები:** ყვითელი, ყავისფერი, ბეჟი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 15 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 17.34 საათზე. **მთვა**[illegible]ვლებს სასწორის ზოდიაქოში. ამო[illegible] საათზე, ჩადის 08.12 საათზე (მთვა[illegible]ღე იწყება 22.14 საათზე. მე-3 ფა[illegible]**თულებადაკარგული მთვარის** პე[illegible]დი 12.37 საათიდან 15.45 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა შრომისა და დასვენებისთვის. დღის პირველი ნახევარი ნეგატიურია ქორწინებისა და სიყვარულისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველთა კასტრაციისთვის. მართველი პლანეტა მერკური 3 მარტამდე გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში და ამ ზეგავლენის შედეგად განავითარებს ადამიანთა აზროვნებაში შემოქმედებით ნიჭს, ინტუიციას, ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, დახვეწილ იუმორს, ემოციურობას, მგრძნობელობას, ქველმოქმედებისა და კოსმიური საიდუმლოებებისადმი მიდრეკილებას, ამავდროულად გააღვივებს ილუზიებს, ფანტაზიებს, გადამეტებულ თანაგრძნობას, ტყუილებს, შიშებს, ცუდ აზრებს, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიდრეკილებას. სასიკეთო დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმებთან კონსულტაციისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის, მოერიდეთ ციტრუსებს, თხილს და სხვა ალერგიულ საკვებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ყელი, თირკმლები. **ქვები:** მალაქიტი, ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აქატი. **ფერები:** ვერცხლისფერი, ბეჟი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 16 თებერვალი , კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.55 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 21.35 საათზე, ჩადის 08.30 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.30 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა აქტიური ადამიანებისთვის. მოერიდეთ ფინანსურ ურთიერთობებს. ნუ მიიღებთ ზედმეტ სითხეს, ციტრუსებს, თხილს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს. პარტნიორულ ურთიერთობაში საკითხები მოაგვარეთ მშვიდობიანად, დიპლომატიურად, კომპრომისების მიხედვით. კარგი დღეა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატების შესაძენად, შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად. არ ვარგა მანქანის ყიდვა-გაყიდვა, მარილიანი საკვების მიღება, ცხოველთა კასტრაცია. პოზიტიური დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, მკურნალობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელოვნების ნიმუშების შესაძენად, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, დიზაინისა და ინტერიერის შესაცვლელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ტოპაზი. **ფერები:** ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, მწვანე. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 11,12,14 და 16 თებერვალი

**12 თებერვალი — სავსემთვარეობა;**
**28 თებერვალი — ახალმთვარეობა**






# გთავაზობთ

**ბეტონის მშრალი იატაკის დამცავ და წყალგაუმტარ ლაქს შიდა და გარე გამოყენებისათვის**

**უზრუნველყოფს ბეტონის ზედაპირის დაცვას ამტვერებისაგან და მექანიკური ზემოქმედებისაგან ქარხნებში, საწყობებში, პარკირების ადგილებში, საფეხმავლო ბილიკებსა და ტროტუარებზე.** ხელს უშლის ბზარების გაჩენას, არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, მედეგია ქიმიკატების მიმართ.

**თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29**
**+995 511 239 088, +995 591 502 580**
**info@iway.ge**



# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

**574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90**

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**

## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, ბულძმარვას, კუჭის წყლულს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას), თმის ჩაბრუნებას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. იატაგანი; 7. დემეტრე; 11. რევიზორი; 12. ბასტიონი; 14. ნესტარი; 15. ბრაილი; 16. სიამანგი; 18. დონატელო; 19. კი; 20. არი; 22. პინო; 24. სპირიტი; 29. სიმენსი; 32. კრიმინალი; 34. ესკადრონი; 35. ჰაიტ; 36. ანტილოპა; 39. ფარაონი; 40. ალოე; 42. ბრიუსელი; 43. ნაილონი; 46. ბლანკა; 49. ბალისტიკა; 52. პეტუნია; 53. ზაფრანა; 54. სანდალეტი; 57. სანტიმი; 58. სალტო; 59. ამირეჯიბი; 60. გაგარინი.

შვეულად: 1. ირბისი; 2. ტოსკანინი; 3. ალო; 4. ირიბი; 5. ავდარი; 6. იზოლდა; 7. დინგო; 8. მასკანი; 9. ტრაპეზი; 10. ეპილოგი; 13. იკაროსი; 17. გერმა; 19. კანი; 21. რეკეტი; 23. სინაგოგა; 25. პლაკატი; 26. რურუა; 27. ტენანტი; 28. რკია; 30. ინრო; 31. ელდა; 33. მაიმუნი; 37. ნერპა; 38. პულტი; 41. ინა; 44. ლიტანია; 45. ნანკინი; 46. ბაზისი; 47. ნარიტა; 48. ბადიში; 49. ბასმა; 50. ლანდი; 51. ტილ; 52. პასკა; 55. ავე. 56. ელი.

**პეროვიოლარიწარაფინადირიხისტიმულინესტატორი**
**კადრილიმონიავატარიფიაკრიბიაბრუნომერიამალა**

| რუსი მხატვარი | მღვდლის სამოსის ნაწილი | წაგრძელებული კლდე | მხეცი | ხეშეში, ხმელი | საქარგავი ქაფი | გენერატორის ძრავის ნაწილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| იტალიელი მწერალი | ვიოლინოს წინაპარი | ტბა აფხაზეთში | წმენდილი შაქარი | აალომბი | ხალისის აღმძვრელი მიზეზი | იტალიელი ფეხბურთელი | ნადირის ფეხი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |



თარაზულად: 1. იანიჩარების ორლესული ცივი იარაღი; 7. ქართველი მეფე ... თავდადებული; 11. გოგოლის პიესა; 12. ძველებური ციხესიმაგრის წინგამოწეული ხუთკუთხედის ფორმის ნაწილი; 14. ფუტკრის „იარაღი“; 15. უსინათლოთა შრიფტი; 16. გიბონების ოჯახის მაიმუნი; 18. იტალიელი მოქანდაკე; 19. დასტურის სიტყვა; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული 100 კვ. მეტრი; 22. ფრანგული ვაზის ჯიში; 24. სპირიტიზმის მიმდევარი; 29. ელნაწარმის გერმანული ფირმა; 32. სისხლის სამართლის დანაშაული; 34. კავალერიის ქვეგანაყოფი; 35. გაწყრომის, დატუქსვის შორისდებული; 36. მცოხნელი წყვილჩლიქიანი ცხოველი, რასაც წარმოადგენს გნუ; 39. ძველი ეგვიპტელი მეფეების ტიტული; 40. სამკურნალო მცენარე; 42. ბელგიის დედაქალაქი; 43. ხელოვნური ბოჭკო; 46. ერთჯერადი სუპი „გალინა ...“; 49. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში ჭურვის მოძრაობას; 52. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე; 53. ყვითელი ყვავილი; 54. ერთგვარი საზაფხულო ფეხსაცმელი; 57. წვრილი ფული საფრანგეთში (ფრანკის მეასედი); 58. აკრობატული ნახტომი; 59. ქართველი მწერალი („დათა თუთაშხია“); 60. რუსი კოსმონავტი (პირველი).

შვეულად: 1. მტაცებელი ცხოველი ე.წ. თოვლის ჯიქი; 2. იტალიელი დირიჟორი; 3. სატელეფონო შორისდებული; 4. დამრეცი, ალმაცერი; 5. ცუდი ამინდი; 6. ტრისტანის სატრფო (ლიტ.); 7. ავსტრალიური ველური ძაღლი; 8. იტალიელი კომპოზიტორი; 9. სადილი, ნადიმი; 10. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 13. დედალოსის ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ბატის წმინდა ბუმბული; 19. კინოსაფესტივალო ქალაქი საფრანგეთში; 21. ფულის გამოძალვა; 23. ებრაელთა სამლოცველო; 25. სარეკლამო, სააგიტაციო ნახატი; 26. ქართველი ექსმოჭიდავე; 27. ამერიკელი რეჟისორი; 28. კივილი მეგრულად; 30. კოლოფი, რომელსაც იაპონელები მუდამ ჯიბით ატარებენ და რომელშიც უდევთ ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია პატრონის გვარი; 31. თავზარის დაცემა; 33. ადამიანის „წინაპარი“; 37. სელაპის სახეობა; 38. ქვესადგამი ნოტებისთვის; 41. ერთგვარი თმის საღებავი; 44. საყოველთაო ლოცვა; 45. ქალაქი ჩინეთში; 46. საფუძველი (ბერძნ.); 47. აეროპორტი ტოკიოში; 48. შვილიშვილი; 49. ლითონის ფირფიტა, რომელზეც გამოსახული იყო თათრის ხანი, წარმოადგენდა რწმუნების სიგელს; 50. აჩრდილი; 51. შ. დე კოსტერის გმირი „... ულენშპიგელი“; 52. სააღდგომო ნამცხვარი; 55. საგალობელი „... მარია“; 56. ინგლისური ლუდი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ძველი სამეჯლისო ცეკვა | ქართველი მსახიობი მამაკაცი | ნიხრი | დიდი სიზუსტე | იტალიელი ფილოსოფოსი | მუნიციპალიტეტი | ხერხემლის ძვალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| ფილმის ცალკე სცენა | ციტრუსი | ჯ. კამერონის ფილმი | საქირაო ეტლი ევროპაში | არაფრად ჩაგდება, დამცირება | ოთახი სასტუმროში | მეფის მხლებლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2025 წლის 10 – 16 თებერვალი №7 (1578)

გამოდის ორშაბათობით

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296

